

ლიტერატურული გაზეთი

№7 (167) 8 - 21 აპრილი 2016

ბამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

ტარიელ ჭანტურია

პლანეტას ჩვენსას საჭე აქვს,
ჩემი აზრით, მარცხნივ!

ერთ ნაწილს პოეტებისას
საჭე აქვთ თურმე მარჯვნივ!
აქვთ ლექსი ოქრო-ვერცხლის,
ბრილიანტის და მარჯნის...
თუ წერილებსაც წერენ,
ყველას საჭე აქვს მარცხნივ,
არ ეშინია — ხნიერს —
არც სიკვდილის და არც ხნის...
ეს აქვთ — მემარცხენე!
ის იქვით — მემარჯვენე!
უყვართ რატომღაც მტრები —
ვერ ეწყობიან ჩვენებს!
ის აქვთ — მემარჯვენე!
ეს იქვით — მემარცხენე!

არც მჯდარან მანქანაში —
დააჭენებენ ცხენებს!
შლიან ქვეყანას, შლიან —
უკვე დაანანვერეს!
წრე, პარტიები, ჯგუფი —
ვიცნობთ ჯგუფების წევრებს! —
ზოგს რომ საჭე აქვს მარჯვნივ,
ზოგსაც — საჭე აქვს მარცხნივ...
არიან ოსტატები
ქვეყნის ტანჯვის და მარცხის...
ჩვენს ძვირფას დედამიწასაც
საჭე აქვს (ხშირად) მარცხნივ!
არც რამ სისუსტე ეტყობა,
წარმოიდგინეთ — არც ხნე...

IV-V

ჯუანშერ ტიკარაძე

RESPECT-0

თერთმეტი საათი ხდებოდა,
მეგობრის სახლიდან რომ გამოვედი.
ნოემბრის ცას მსუბუქი ლიბრი გადაჰკვროდა კანზე
და მბუბუტავი მთვარეც მალლა ატყორცნილ ლამპიონს წააგავდა,
მაგრამ ჯერ კიდევ არ ყინავდა.
ამიტომაც ვიფიქრე,
მეტრომდე ფეხით ჩავივლი-მეთქი.

ორასიოდე მეტრის შემდეგ ბევრი ლუდის ცუდმა ზნემ წამომიარა.

თავიდან მეგონა, შინამდე უხიფათოდ მივალწვედი;
მერე ვიგრძენი,
ეს ამბავი როგორ გამიჭირდებოდა;
კიდევ ას ორმოცდაათი მეტრის შემდეგ საბოლოოდ დავრწმუნდი,
რომ მშობლიურ უნიტაზამდე შარვალს მშრალი ვერ მივიტანდი.

ჰოდა, მეც იქვე,
ორ ხუთსართულიან კორპუსს შუა,
მომცრო ხეივანის ჩრდილებს შევაფარე... ეე... ტანი.

პირველმა ჩამომვლელმა დამინახა,
როგორ ვცხრებოდი;
მეორემ — უკვე შემსუბუქებული ხვანჯარს რომ ვიკრავდი;
მესამემ — ჩრდილიდან სალამპიონოზე გამოსული
და ზუსტად მიხვდა,
იქ რასაც ჩავიდენდი;
მეოთხე ამას გულში მხოლოდ ეჭვად თუ გაივლებდა;
მეხუთეს უკვე მე გავხედე ცოტა იჭვნეულად;
მეექვსის გვერდით არეული ნაბიჯით ჩავიარე;
მეშვიდე — გულთმისანიც რომ ყოფილიყო — სათაკილოს ველარაფერს იგუმანებდა;
მერვეს თბილად გავუღიმე;
მეცხრეს ვკითხე,
მეტროს სადგურს ხომ ვერ მიმასწავლით-მეთქი;
მეათემ მითხრა:
აი, აქ გახლავთ, ჩემო ბატონო.

VIII-IX



დასაწყისი №160-166

1.

მაშინ კი სექტემბერი იდგა: ასურასტან ასურასტანი თავის კაბინეტში ინვა ტახტზე და წიგნს კითხულობდა.

ნიაღვრის ქუჩა კარგი იყო ნელინადის ამ თვეს, გვიანი შემოდგომის წვიმები და ნიაღვრები ჯერ შორს იყო და ქვაფენილის ქსოვილი თვალს ასვენებდა. ასურასტანს უყვარდა ფანჯრის შორიხლოს დგომა და გამკვლელების თვალთვლება, მაგრამ ახლა ჯანზე ვერ იყო, თითქოს ჭიანჭველები დაუდიოდა მთელს ხეულში. აქი ციურიხშიაც გაემგზავრა ყველასგან უჩუმრად, პროფესორ ემპიოდოკოს გაესინჯა იქაურ კლინიკაში. პროფესორმა უთხრა, თქვენ რომ ჭიანჭველები გგონიათ, სინამდვილეში სისხლძარღვების დაავადება გახლავთ, რასაც წამლობა სჭირია, მაგრამ, თუ ცხოვრების ნირი არ შეიცვალეთ, მაგ მხრწოლავ პაპიროსებს თუ არ შეეშვით და ჩემგან მორთმეული სამკურნალო რეჟიმი არ დაიცავით, ავადმყოფობა უმძიმეს სახეს მიიღებს და იქედან სიკვდილამდე ნაბიჯიც აღარ არისო. ასურასტანი აბა რის შაითანბაზრელი იყო, ბოლომდე ექიმის ჭკუაზე ევლო და მის წამლებს თავისი პაპიროსები და დილამდე საწერ მაგიდასთან ჯდომა შეუხამა.

ამიტომ, საიდუმლო მრჩეველი დღის ბარე ნახევარს გადადებული კაცი იყო. სახელმწიფო საქმეს ჩაუჯდებოდა თუ არა, ეს ნყელი ჭიანჭველებიც იღვიძებდნენ და ქვეყნის მართვა ნანყვეტ-ნანყვეტლა შექმლო. წამოწვებოდა და ჭიანჭველები თითქოს მიწყნარდებოდნენ.

სწორედ იმ სექტემბრის დღით მისთვის მოეტანათ შაითანბაზრის სტამბის მიერ გამოცემული პირველი თავისუფალი ნაშრომები, აფსუსის ხეცს გაღმა, ახალ ინსტიტუტში, მალე კი უნივერსიტეტში გამოკეტულ მეცნიერებს რომ შეექმნათ.

აქ იყო მინჩი კაჭკაჭულის მათემატიკა ყოველდღიურობაში, სოლომან ოსტატის ძველ ლიტერატურათა გარჩევა და ილია აბულასანის ფრანსუა ვიოონის ცხოვრება.

ასურასტანი შუიდან კითხულობდა ხოლმე წიგნებს, ვიოონის ცხოვრების კითხვა კი თავიდან დაიწყო.

წიგნის პირველ გვერდს შემოწმების სამსახურის უფროსის ზირაქ ალალის ხელმოწერა ამშვენებდა. ასურასტანი ადრევე გაესაუბრა ალალს ამ სათაურის გამო, ვინაიდან გამოსაცემ წიგნთა ნუსხაში აბულასანის გვარის გასწვრივ სულ სხვა სათაური ეწერა, რომელიც ლურჯი მელნით გადახეხა და იმავე მელნით ვიოონის ცხოვრება ჩაენერათ. ალალმა აუხსნა, აბულასანს ეს წიგნი მზად ჰქონია და ახლის დაწერამდე კარგახანი გამოსდებოდა, ამიტომ დავეთანხმე, რადგან შიგ მეფეთა გინებაა და ლექსებია ახსნილიო.

ეს იყო სამინილი საუკუნე. ის იყო, მთავრდებოდა დიდი, ასწლიანი ომი. ახლა აღარ მახსენდება, მგონი გონზავის წიგნში წამიკითხავს, რომ ადამიანებს ეშინოდათ კიბის ჭრილისაც კი. კაცი ვერ მოისვენებდა ღამით, თუკი კიბის ჭრილს მოჰკრავდა ყურს, რადგან იცოდა, რომ მასთან ყაჩაღი მოდიოდა, ან სასამართლოს გამოგზავნილი მოხელე.

პარიზი მაშინ მყრალი ქალაქი იყო — მოედანზე, მგონი სენ გრევისა, თავებს სჭრიდნენ ხალხს, მარკიზებს კი ვალებში ჩაფლულიყვნენ.

ეს იყო ხანა ძლივს დამყარებული სამხედრო მშვიდობისა. სტუდენტები შეძლებულთა სახლებს ძარცვავდნენ, ბერები ქალებს აუპატიურებდნენ და ყოველდღე ხუთი მეძავი მაინც სახიჩრდებოდა სხვადასხვა ჭრილობით.

ზამთრობით, როცა ინათებდა ხოლმე, ქუჩები მოფენილი იყო ყინვისგან დახოცილთა გვამებით. ცხოვრება უკულმა დადიოდა. იკენსი ერთ თავის რომანში წერდა, საფრანგეთის ტახტზე იჯდა ცარიელთა ვიანი კაცი მძიმე ყბითაო. ახლა აღარც მაგონდება, ვინ იყო მაშინ მეფედ, ვინმე ასეთი იქნებოდა.

ქუჩებზე გუბებები იდგა, ვერ იტყოდი შარდისა თუ წვიმის.

სასახლებში კი მეჯლისობდნენ. მაშინდელი სასახლები ციხესიმაგრეებს ჰგავდა.

ხალხს ომებში დაატარებდნენ, როგორც ღორების კოლტს.

არ იპოვებოდა ადგილი, სადაც სიტყვა ბებუთზე უკეთ გასჭრიდა. თეთრი სამოსი მალე ცვდებოდა და ჭუჭყიანდებოდა, ამიტომ ხალხს თალხი ემოსა. ერთი ხელი ფერადი სამოსი და ბენვეული აუსრულებული ოცნება იყო. ყველაფერი უხეში და მოუხერხებელი ჩანდა: ქუდი დაწყებული, საგრავეურო დაზვით დასრულებული.

ხალხი შეჩვეული იყო, სხვაგვარი არაფერი ენახა. საოცრებად ჩაითვლებოდა აბრეშუმი, სანელებლები და აღმოსავლური ტკბილეულობა. ეს განსხვავდებოდა მარხის უხეში კენჭებისაგან, სადილის ქვაბში რომ ჩაუძახებდნენ მზარეულებს.

ტავერნა თავმყერის ადგილი იყო, მა-

აკა მორჩილადე

ნანერები პარდის და გულბულისა სუმბუქი საგაზეთო სერიალი მერვე სერია — ნაცარი და წყალი



გრამ იქ მაინცდამაინც მეგობრები როდი უსხდნენ ტაბლას. თანდათან იღუშებოდნენ და სიავიც ამოხეთქავდა ხოლმე. მერე ატყვებოდა დანების ფრიალი და სკამების მტვრევა.

ზოგჯერ ჭირი გადაუვლიდა ხოლმე ქალაქს. რა იყო და როგორ, ამას ბოკაჩო აღწერდა თავის წიგნში. ცხადია, კიდევ უფრო ჩაიგმანებოდა და ჩაშავდებოდა ყველაფერი. ტროგლოტიდური მეხსიერება იმარჯვებდა. წინა დღისა არავის არაფერი ახსოვდა.

ღრუჭლების სიმძიმე იგრძნობოდა. რა რჩებოდა ამ ქალაქში სიბნელის გარეთ?

შეიძლება, ეს სიყვარულიც იყო. მაგრამ ძალიან მკრთალი, მჭუჭტავი, მოცახცახე, თითქოს შეშინებული, თითქოს ძლივს მფეთქავი. ისიც მოსილი იყო პირქუში სურათებით, ჯვალთით და სისხლით.

გაურკვევლობა და ფსალმუნის ზეპირობა. უპასუხო კითხვები, რომლებიც არ არსებობდა. უსახელო მხატვრები ეპისკოპოსებს ლუციფერის სახით ხატავდნენ. ჩამოხრჩობილი ხმებოდნენ შარავზეზე და მოხელენი სწერდნენ და სწერდნენ გაუთავებლად — გაქვავებული, მელანში ამოსვრილი თითებით აწრიპინებდნენ ბატის ფრთებს და უხაროდათ, როცა ვინმე დილეგში ამოჰყოფდა თავს. კანონები კი არსებობდა, თანაც ძალიან ბევრი. ათი დამცველი ბევრად მეტი იყო, ვიდრე დამრღვევი.

ასეთ ცხოვრებაში იბადებოდნენ ადამიანები და კვდებოდნენ, ხოლო ზოგიერთს საფლავიც არ ედირსებოდა, რადგან არავინ იყო მაშინ ქალაქ პარიზში ისე კეთილი, რომ უპატრონო დაემარხა. მკვდარს მენავებები შეაგებდნენ თავიანთ

ურიკაზე და ქალაქგარეთ გადააგებდნენ ხოლმე.

აქ იზრდებოდა ობოლი ფრანსუა ვიოონი, რომლის იდუმალი ცხოვრებაც მსოფლიო ლაპარაკის მიზეზია დღესაც. აქ გაატარა მან სიყმანვილე, სიჭაბუკე და მერე სადღაც გადაიკარგა. არავის უნახავს ის მოხუცი და თუნდაც ჭარმაგი. თუკი მაშინდელი ცხოვრების კვანტისტრიას გაეცხებებო, ალბათ, სავარაუდოა, რომ ის, ფრანსუა ვიოონი, სადღაც ჩაკლეს.

მის ცხოვრებაში ყოფილა ამბები, რომლებიც გვარწმუნებს, რომ ის არაერთხელ იდგა სიკვდილის პირას. იქნებ ერთხელ ფეხი დაუცდა. ეს მაშინ ჩვეულებრივი ამბავი იყო, მითუმეტეს იმ წრეში, ვიოონს რომ შემორტყმოდა გარს.

ასურასტანმა კითხვა შეწყვიტა და წამოჯდა. ჭიანჭველები დარბოდნენ.

სიცილი კიდევ ქუჩურ ლექსებში ჩანდა. სანამ ადამიანს შეეძლო სისულელისა და ბოროტებისთვის დაეცინა, მას კიდევ არაფერი უშავდა. ეს ლექსები ყველამ ზეპირად იცოდა. მათი ავტორები, არავინ.

ფრანსუა ვიოონი არ იყო უსწავლელი კაცი. მაშინდელი უნივერსიტეტისა ყველაფერი შეეთვისებინა. მას შეეძლო, რაიმე სამოქალაქო, ან სასულიერო ადგილი ეშოვნა, მაგრამ ამაზე არ უფიქრია. ჩანს, ამიტომაც მოიძულა გამზრდელმა ბიძამ, რომელმაც მანამდე თავისი გვარიც კი აჩუქა. ვიოონი სტუდენტად დარჩა. ეს როლი, რომელსაც ვიოონისთვის როლი არც დაერქმეოდა, საკმაო თავქარიანობას მოითხოვდა. უსაქმურობა მისთვის ხელობად იქცა. ის ბალადებს...

— ბოგდისან, ჩაი! — კვლავ წამოჯდა ასურასტანი.

ჭიანჭველებს სირბილი არ შეუწყვეტიათ. პირველად იყო, რომ წამოწოლა არ შეელოდა ამ საქმეს.

— სირინოზი! სირინოზი! — სირინოზი ასურასტანის პირადი ექიმი იყო, ცნობილი გაქცეულის შვილი. ოდესღაც, მამამისმა შაითანბაზარში დაბრუნება ითხოვა და ალბერვილში დალია სული. შვილი კი მამის საფლავის მოსანახულებლად მოიწვიეს და აქვე დატოვეს იარაღის წესით. ასურასტანმა სამედიცინო მოწყობილობა და სხვა რამეები უყიდა, მერე თავის პირად ექიმადაც დანიშნა.

სწორედ იმ დღეებში საექიმო სამინისტროს დაფუძნებასაც აპირებდა და მინისტრადაც სირინოზის დანიშვნა გადაწყვიტა, თუმცა ექიმები შაითანბაზარში ცოტა ანილა დარჩენილიყვნენ. ყველანი ნაალბერვილში კაცები იყვნენ და რიგრიგობით გამოჰყავდათ ციხიდან. შაითანბაზარში ექიმის არსებობა გადავინყებულაც კი ჰქონდათ. ქვაბლიანისთვის წარდგენილ საინსტიტუტო ნუსხაში ექიმთა საქმე არ ერია, მაგრამ ასურასტანმა მაინც მოახერხა და ქალაქში პოლიკლინიკა გახსნა, სადაც მორიგეობით, წყვილ-წყვილად მოჰყავდათ ექიმები, რომლებიც ახალი ინსტიტუტის მესამე სართულზე დაებინავებინათ. ყოველ ამათგანს გაუსვლელობის ქალაღზე მოენერა ხელი.

გაუსვლელობის ქალაღი კი ნიშნავდა: ნერე, იკითხე, დაისვენე, ჭამე და სვი, ოღონდ ეზოს გარეთ არ გახვიდე, თორემ ალბერვილში დაგაბრუნებენ. ექიმები პოლიკლინიკაში გამომტყველთა ეტლით დაჰყავდათ და საღამოს უკანვე აბრუნებდნენ.

2.

ეს შენობა აფსუსს ხევის გადაღმა წამოეჭიმათ.

შემდგომში მას ახალი ციხე დაერქვა. ასურასტანმა კი ამ ტიტველ ბორცვზე შემომდგარ ულამაზო სახლს ასტრონომიის, ფიზიკის, სიძველეთა, მწერლობის და ექიმობის ინსტიტუტი უწოდა.

დიახ, ბევრნი აქ იყვნენ: ვინც კი გადაჩრა, ვისაც კი დრომ და ალბერვილმა არ მოუთავა ხელი; მსოფიანნი, ჭარმაგნი და შედარებით ახალგაზრდანი.

ორადგილიანი უსაკეტო საკნები მოეწყოთ მათთვის, ქვემოთ კი სამუშაო ოთახები და სასადილო იყო. ასურასტანმა ქვაბლიანის სასახლის სარდაფიდან მთელი ბიბლიოთეკა გამოვიდა და აქ მოათვინა თავის მედროგეებს.

საუცხოო ბიბლიოთეკა იყო, ჯერ კიდევ ამირბარის და მის წინამორბედ ნაცვალთა ნაგროვები. ყველაფერი დარჩენილიყო, დეკარტიდან ჯორდანო ბრუნომდე და ფარადეიდან შოპენჰაუერამდე.

აბულასანი მეორე სართულზე, კუთხის ორფანჯრიან ოთახში ცხოვრობდა ერთ წესიერ, ჭრელთვალე ფიზიკოსთან ერთად, რომელსაც ემანუილ არდაშირი ერქვა.

არდაშირი ძველი დროის ცნობილი მოსამართლის ვაჟი გახლდათ. მთელი ახალგაზრდობა ევროპის უნივერსიტეტებში გაეტარებინა და უფრო იქაური იყო, ვიდრე აქაური. ალბერვილში გდებას ბევრი ვერაფერი დაეკლო მისთვის. შაითანბაზარში არდადეგებზე ჩამოსული ვინაობის დადგენის საბაბით დაეკავებინათ გადატრიალების მესამე დღეს და ალბერვილში გამოეკეტათ.

სამ წელიწადს თავისუფალი იყო. რალა-

ცის სანახევროდ აგრეგატთან იჯდა და ბერკეტს აწვებოდა. მერე, სამ წელიწადს ისევე ციხედ იყო, ერთ წელიწადს კი ისევე გარეთ. ასე ცხოვრობდა.

ინსტიტუტის შექმნიდან რამდენიმე წლის შემდეგ ემანუელ არდაშირმა აკადემიკოსობა მიიღო და მამისეული სახლიც დაიბრუნა, საიდანაც ასურასტანმა სანიტარული საზოგადოება გამოაძევა.

მანამდე კი ფანჯარასთან მიდგმულ სანოლზე იწვა და ფიზიკის ინსტიტუტის მესაძირკვლეობაზე მეტად სხვა რამეებზე ფიქრობდა. ბიბლიოთეკაში ეპოვნა ბავშვობისდროინდელი, საყვარელი წიგნები და მათი ფურცლებით იქცევდა თავს.

— რა უნდა ვიკეთო? — ეკითხებოდა აბულასანს, — ფიზიკა ის კი არ არის. ოცი წელიწადია, არ ვიცი, რა ხდება. აინშტაინი ამერიკაშია...

აბულასანი მეოთხე კლასის არაბულ პაპიროსს ეწეოდა და ეთანხმებოდა. თვითონაც მიწვევდა ხოლმე და ფურცლებზე და ძველისძველ წიგნებს — სიურტეს ისტორიას და გრაფინია რუდოლფშტადტს.

წესით, მთელი დღეები სამუშაო სართულზე უნდა გაეტარებინათ, მაგრამ სადილის შემდეგ კოტორიალი ყველას მონატრებოდა და სანამ ძებნა-გამოტყვის ზემდეგი ყვირილით არ ჩამოვილიდა საძილე სართულის დერეფნებს, ქვემოთ არავინ ჩადიოდა. როდის-როდის აიკრიფებოდნენ და დაბრუნდებოდნენ თავიანთ კაბინეტებში, სადაც შაშის თამაშით იქცევდნენ თავს, ან ბიბლიოთეკაში ჩამოსხდებოდნენ. სადილი დიდი ვერაფერიშვილი იყო: ფაფა, ჩაი, სუფი, ნინიზურა და კოტლეტები, კვირას: კარტოფილის პიურე და ბრონეულის წვენი. თუმცა, ალბერვილური სალაფავის შემდეგ შთამბეჭდავიც კი ექცმოდა.

ერთ ოთხშაბათს გარდაიცვალა მხცოვანი პროფესორი ისიდორე ჟამიანი. დაიძინა და აღარ გაიღვიძა. მისი ცხედარი გრძელ სკამზე დაასვენეს სასადილოს ჰოლში.

პროფესორი იწვა წყნარი და თითქოს მტვერდადებული. ძველი ქურთუკი ემოსა და ქუსლებდაცვეთილი უზონარო ფეხსაცმელები.

ნაშუადღევს ასურასტანი მოვიდა, ოდნავ მღელვარე და თვალმდინარეული. თორმეტი კაცი ახლდა.

სწრაფად შემოვიდა ჰოლში და გვამის დანახვისთანავე შედგა, შლაპა წაიძრო თავიდან და იქ შეკრებილთ მდაბლად დაუქრა თავი.

— ძალიან გვიან გამოფხვიზდით, — თქვა ხანმოკლე დუმილის შემდეგ. ხმა არავის ამოუღია.

— ხვალ დილით პროფესორი ჟამიანი დაიკრძალა თავისი მეუღლის გვერდით, მეშვიდე სასაფლაოზე.

— ეგ რომელია? — ეს იყო ვალთანგ ალათანგის, მთლად უკბილო ბერიკაცის ხმა. ქვაბლიანამდე მას თავისი ობსერვატორია ჰქონდა, დიდი ტელესკოპი ჩამოეტანა გერმანიიდან და იმ ობსერვატორიიდან იშვიათად გამოდიოდა. მეტად მკაცრი და უხეში კაცის სახელი გაგარდნოდა, სტუდენტებს ტანჯავდა და ამაზე არც დარდობდა, სწავლის საქმე ასეაო, ამბობდა.

— არლიანთა სასაფლაო, სადაც თქვენი მეუღლეც მარხია, — ცივად მიუგო აბულასანმა, — ჩვენ ვაფასებთ თქვენს პრომას და პროფესორ ჟამიანის ღვაწლს.

— გეტყობათ, — არ დაცხრა პროფესორი ალათანგი.

— პატივი ეცით მიცვალებულს, — უხალისოდ თქვა ასურასტანმა და გატრიალდა.

მეორე დილით ყველამ დაინახა, როგორ შეაცურეს დახურულ ეტლში უკვე კუბოში ჩასვენებული ჟამიანის ცხედარი.

— ჩვენც ასე გავგასვენებენ? — იკითხა ფანჯარასთან მდგომმა ემანუელ არდაშირმა.

აბულასანს საფეთქლები აენვა და მოულოდნელად წამოისროლა:

— ძირს ქვაბლიანი!

— ყმანვილო, — მიუახლოვდა პროფესორი რამიზ ირუბაქი, — გაუფრთხილდით თქვენს თავსა და ჩვენცა, რადგან წყეული გამომტყნებელი ყველაფერს ჩაუჭიკჭიკებენ ბოროტ მმართველებს. ამ ქცევისათვის კი ქათინაური გერგებათ...

რალა ყმანვილი იყო, თმა აღარ შერჩენოდა თავზე.

თვეში ერთხელ ამალია მოვიდოდა ხოლმე რამერუმეებით გამოტენილი ჭრელი ჩანთით. აბულასანი ხედავდა, რომ ქალი დღითიღვე ბერდებოდა. ისინი მზეს ეფიცებოდნენ ხოლმე ინსტიტუტის ტიტველ ეზოში და ხმადაბლა, მშვიდად და ეგებ მოსანყენადაც ლაპარაკობდნენ.

— რა გჭირს? — ფრთხილად ჰკითხავდა ხოლმე აბულასანი.

— სულ ყველაფერი მტკივა, — პასუხობდა ამალია, — ეს ანვარა მთლად გიჟი ყოფილა. ქალს არ გაატარებს, არ უზნკინოს. თუ ეგრე უნდოდა, ცოლი მოეყვანა. აი, ეგ პაპიროსები მაგისია, შენთან წამოსვლის წინ ვპარავ.

— სახლი მომენატრა, — აღმოხდებოდა აბულასანს.

— დიდი რამეც ეგ არი. ეტაჟერკა გადავავდე ქუჩაში. ადრე სულ ვსუქდებოდი, ეხლა სულ ვხდები.

ამალია ერთ ღამე რჩებოდა ნათესავების ოთახში, აბულასანის გაცრეცილი პერანგები მიჰქონდა და შემდეგ მოსვლაზე კიდევ მეტი ჭალარით და კიდევ უფრო გაფართოებული თვალეებით ბრუნდებოდა.

— აი, აქ მტკივა, — თქობებზე იდებდა ხელს, — როდის უნდა გამოვაშვებინონ წიგნები?

— რამდენი წლის ხარ ახლა შენ? — აბ-



ულასანი უჩუმრად ათვალეებოდა ცოლს.

— უუ, სამასისი. იქ ერთი ქალია, სენო, ჯემპრებს ქსოვს. მოვაქსოვინო? ახლა ჩვენ რო შვილი გვყავდეს, რა ჭკვიანი გამოვიდოდა, იცი? თორმეტი ნაჭერია, ცოტა შეინახე. უცბათ არ ჩააცვიცხო იმ ბებრებს. რამ გამოათყვანათ? ალბათ, წიგნების კითხვამ. შენ არ გაათყვანებს? თუ, შენ ვერ მოასწარი... ძალიან გამოათყვანებულეები არიან.

— ალბათ, ყველაფერმა ერთად. — ისმაილზე დუქანი გაიხსნა, მწვადიო, ყველაფერიო. მთელ ქალაქში გაიხსნა...

მერე ამალია მიდიოდა, გზას დაუყვებოდა აფსუსს უზნისკენ. ხელში ცარიელი ჩანთა ეჭირა და მძიმედ მიაბიჯებდა. აბულასანს უჭირდა მისი ცქერა.

აფსუსს იქეთ ქალაქი ჩანდა. შაითანბაზარში ბევრი რამ შეცვლილიყო, არაფრისგან გადაექციათ მყრალ და არეულ, მოუნესრიგებულ და წესრიგით გაჯერებულ ქალაქად. ინსტიტუტში გამოკეტილებს არ ენახათ ახალი ქალაქი, მაგრამ აქაც კი იგრძნობოდა, რომ ბევრი რამ გადასხვაფერდა.

თავისუფლება იქ არ იყო. იყო მხოლოდ ჭიანი ვაშლი ახალგახსნილ მაღაზიებში. ის ვაშლი ქვაბლიანისთვის საყვარელ ვირემ-მაკა გლეხებს მოჰქონდათ. ქუჩებზე ქვიშა მოებნათ და საჭიდაო მოედნები გაეხსნათ. ყოველ საღამოს დაფა-ზურნა მოსმოდა. მთელს შაითანბაზარს ევალებოდა, ეჭიდავა. შესაბამის ასაკთა შორის, გინდობდა, თუ არა, წელიწადში ექვსი სავალდებულო ორთაბრძოლა უნდა გაგემართა, რასაც შესაბამის წიგნაკში აღგინიშნავდნენ. ასურასტანს რომ არ ევაჟკაცა, ეს რიცხვი ოცს არაფრით ჩამოცდებოდა.

ამასთანავე, ქალაქში აკაცობის დარგვა დაიწყეს და ოთხი სკოლა გახსნეს. ვინ ასწავლიდა ამ სკოლებში ძნელი მისახვედრი იყო, მაგრამ ესენი საგანგებო დაწესებულებებად ითვლებოდა. ერთში

მძებნელ-გამომტყხელთა შვილები დადიოდნენ, მეორეში მაღალი კატეგორიის მოჭიდავეთა, მესამეში მინისტრებისა და სხვა მოხელეებისა, მეოთხეში კი სხვა დანარჩენისა. იყო ერთი სკოლაც, საგანგებოდ გლეხთათვის, რომელთა რჩეული შვილებიც სასკოლო დროგებით მოჰყავდათ ქალაქის ზემოთა ჭიშკრიდან, დაცემულ გენერალთა ბჭიდან.

წამოზრდილი ნორჩი ასურასტანი სორბონაში სწავლობდა.

მამა ასურასტანი კი დივანზე იწვა თავის ბინიდან კაბინეტში და ჭიანჭველებზე ფიქრობდა. წიგნი კვლავინდებურად ხელში ეჭირა, მაგრამ სტრიქონები თვალსა და ხელს შუა უჭრებოდა. რალაც აუნერული სისწრაფით დარბოდნენ ეს ოხერი ჭიანჭველები.


— მოკლავს ამდენი ჩაი, მოკლავს ამდენი პაპიროსი, — ლელავდა ქალბატონი ასურასტანი.

— ახლა გამაყურებელს გაეუკეთებ, — გულსგარეთ ბურტყუნებდა სირინოზი.

— ბევრი გაუკეთე, ბევრი, — გული შესტკიოდა ბოგდისანს.

გენერალ-პრეზიდენტი კი სწუხდა და თავისთავს ეკითხებოდა საწოლ ოთახში: ასიკო, ასიკო, შე ნუნუნა, რაებას შვები? ასე მიედინებოდა ცხოვრება.

ჰერცოგი გლორესტერი პირობას ასრულებდა.



შაითანბაზარში ლუდის სახდელი მანქანა ჩამოიტანეს და ერთ ძველ საამქროსაც მიანეს. პარუსინის ფაბრიკა ამუშავდა. სახლებს ნომრები დაანერეს. სამი დღის გაუპარსავობა დანაშაულად აღარ ითვლებოდა.

აქ სვამდნენ ლუდს, რომელსაც არავინ დალევედა, ეწოდებოდა თამბაქოს, რომლის კვამლიც ძნელად გადასაყლაპი იყო და სათუთად აპრილებდნენ მოჭიდავის სამკერდე ნიშნებს, რომლებსაც ქვაბლიანი ლამის ორდენებად თვლიდა.

ყარა ისმაილის აღმართი, ოდესღაც განთქმული მზესუმზირით და აღმოსავლური კონტრაბანდით, კვლავ გამოცოცხლებულიყო. ახლა აქ შებოლილი თევზის ნახევრადკანონიერი საამქრო ამოქმედებინათ.

ამალია ქაშაყს ყიდდა სახლის წინ, იმ პატარა სკამზე მჯდომი. სუნთქვა უჭირდა და დამძიმებული ძლივსა ადიოდა თავისი სახლის კიბეზე.

ერთთავად წოლა უნდოდა და მაშინლა გამოცოცხლებოდა ხოლმე, აფსუსს გადალმა ნასვლის დღე რომ მოანევედა: რეცხავდა, აუთოვებდა, მივიწყებულ კექსებს და ფუნთუშებს აცხობდა იმ თავის პატარა ლუმელში და ღლინებდა კიდევ.

სასახლეში კვირაში ერთხელ უხდებოდა მისვლა, ერთს მიუსვ-მოუსვამდა ცოცხს, მორიგე გამომტყხელს თვალს ჩაუკრავდა და გამოილალებოდა. ცაულა აბრაგანი ეუბნებოდა, ძველი მედუდუქი და მეზობელი, ქვემო ლუდხანაში ჩაგვიდექი დახლში, ცოტა ხელის ჭუჭყი რამე შემოგივა და ილუმასაც დაეტყობა, ლანდისგან კაცს გამოიყვანო.

ახლა, რამხელა ამბავი იქნება, რომ ამალია შვიდკაცა, თავისი სიტყვა-პასუხით იდგება ლუდის ონკანთან. მთელი უბანი დაგვესვენაო.

— შენა, ჩემი იმასქნა ხო არ შემოგრჩა? — ჰკითხა ამალიამ.

აბრაგანმა ნალვლიანად ჩაიღიმა:

— სანამ კაცი მერქო, მანამ შორები დამიჭირე და ახლა რალა დროს. რალაცა ცუდი ფერ-ფური გადაგდის სახეზე და ვიფიქრე, საჭმელი არ აკლდეს, ცოტას გაიმართებათქო.

ინსტიტუტში კი სინყნარე სუფევდა.

გამომტყხლები თვლემდნენ, მეცნიერები კი მოდაში შემოსულ ქალაქობანას თამაშობდნენ. ამ საქმეში ყველაზე ძლიერი ერთი ბერიკაცი აღმოჩნდა. აბულასანმა ვერაფრით მოიფიქრა ქალაქი ასო ყან-ზე. ფანჯარასთან მდგომი არდაშირი სულ ტყუილად ჩურჩულებდა: ყან-ვინი, ყან-ვინი, ყან-ვინი... ყ... ყვავი, ყოჩი-ვარდა, შაითანბაზარის ასტროფიზიკური ობსერვატორია, ფუნავორია, დისპარმონია, აგონია...

ცხელოდა და ყველანი ერთობ შილიფად იყვნენ.

— ახალგაზრდაც, ყმანვილო, — ნუხდნენ მოხუცები, — რას ბუტბუტებთ. თუ გნებავთ, ჩაერთეთ თამაშში...

— ძალიან დიდი უნამუსობა იქნებოდა... — ხითხითებდა არდაშირი.

— რატომ, რატომ, თქვენ ნასწავლ კაცად გიცნობთ, — მათი ლომობიერება მართლაც შესაშური იყო.

სამაგიეროდ არდაშირი იყო ულმობელი:

— არა, არა... თქვენ ვერ მიმიხვდით. მე ძალიან ძლიერი ვარ მაგ საქმეში.

აბულასანი ფურცლებში თავჩარგული იცინოდა.

— რაში, ყმანვილო? — ქალაქობანაში...

— აჰ... ასეთი განსწავლული ბრძანდები-ით?

— დიახ, გახლავართ განსწავლული... ბევრგან.

— ეს თამაშში გამოჩნდება, თქვენ კი არ თამაშობთ.

— ძალიან ოლია და იმიტომ.

— მაშ, სხვა საგანში გავეჯობროთ.

— სხვა საგანში? დაშნაში ხომ არ გავეჯობრებით? აბულასანი ჩემი სეკუნდანტი იქნება...

— გეყოფათ ქილიკი. მოდით, პიროვნებათა ჩამოთვლაში გავეჯობროთ.

— რომელ ასოზე?

— რომელზეც გნებავთ. ოლონდ არალათინური ნუ იქნება. აღმოსავლეთი მძაგს.

— მაშ, დაასახელეთ ასო.

— უფროსი ბრძანდებით, თქვენ დაასახელეთ.

— ეგლა მაკლია, დოქტორანტთან ავირჩიო პირობები. ეგებ დოქტორანტიც არ ყოფილხართ...

— კარგით და, გამარჯვებულს რალა?

— მე რა ვიცი... კომპოტი.

— თუ პაპიროსები?

— პაპიროსები? არა, გეთაყვა, უპაპიროსოდ მოვკვდები.

— მაშ უკან იხვეთ?

— მე? ფიზიკოსთან? ყმანვილო...

იქნებ, ეს აკადემიური საუბარი სალა-მომდეც გაგრძელბულიყო, მაგრამ გაისმა ზარის ხმა, რომელიც სასადილოში ერეკებოდა ხოლმე ინსტიტუტელებს.

— ოთხჯერადზე ხომ არ გადაგვიყვანეს? ახლა არ ვისუზმეთ?

— თუ მაგასაც საუზმე ჰქვია, ძვირფასო ეგვმე...

— მაშ, კიდევ ერთხელ ვისაუზმოთ.

— არველოდ ალავერდს საშინელი სტილი ჰქონდა წერისა, ამ ზარს რომ ვისმენ, სულ ის მაგონდება.

ამის მიუხედავად კიბეს ჩაუყვენს. სასადილოში კი მაგიდები მიწ-მოწინათ და შუაში დიდი სავარძელი ჩაედგათ.

სავარძელში უფერული და უპეებჩამ-ჭკნარი ასურასტან ასურასტანი იჯდა. ის მოთმინებით ელოდა ინსტიტუტის მკვიდრთა მონესრიგებას და დასხდომას. სალამი არ უთქვამს და არც გაუღიმა.

ბოლოს, როგორც იქნა, სიჩუმემ დაისადგურა.

ასურასტანმა საქალადე გამოართვა ბოგდისანს და ხმადაბლა დაიწყო:

— დიდი ხანია, არ გვიანახავს ერთმანეთი. არ დაგიმალავთ, შეუძლოდ ვიყავი და შეუძლოდ ვარ, სიარული მიჭირს...

შენს პირს შაქარი, გაიფიქრა აბულასანმა.

სანსაციური ლექსრომები

— როცა ვფიქრობდი, რომ ვკვდები და უკვე ჩემი ჯერია —
ჭალარა თმაში უეცრად შავი თმა გამომერია...
ჩემს ნათქვამს ნაღდად მოყვება, ვიცი, თომარი ქუჩური, მაგრამ ფაქტია — მე უკვე თავს მადგას შავი ქოჩორი...
რა, არ ვიფიქრო? — სიკვდილი ალბათ სიცოცხლით იცვლება! რა ვქნა! რა გინდათ! არ მოგწონთ? არ გჯერათ? არ შეიძლება?
ღმერთს, ყოვლისშემძლეს, ეს საქმე, რას ფიქრობთ, არ შეუძლია! სხვა პლანეტებზე სიკვდილი სიცოცხლით არ შეუცვლიათ? იცით თქვენ? არ შეუცვლიათ?

წვიმს... წვიმს...

თავსხმა წვიმა! — ღვთაებრივ წიგნს — დაუსველდა ცას ყდა...
ან ასე ვთქვათ: დედას ჩვენსას ჩვენთვის ცრემლი წასკდა... — ასნაირი ლეგენდა და ზღაპარი და მითი... —
პოეტი ხარ! — გვეალება, მოიფიქრე! მიდი...
რა გამოდის! — არაფერი ამ ცისა და მიწის არც მე ვიცი; არც შენ იცი, არც არავინ იცის...

თავს ლექსებით, თავს მუსიკით, თავს გალობით ვიქცევთ! —
ვლამობთ, უფლის საიდუმლოს მცოდნე ხალხად ვიქცევთ...
კიდევ კარგი, ვიცით წესი მუდარის და ლოცვის...
...რა კარგია...
რა ცუდია, ასე მაგრა რო წვიმს...

მწუხარება ძველის ძველის ძველის ძველის ძველი —
ჩვენს გამოა — უფალს თვალი ჩვენს გამო აქვს სველი... —

ებრალება კიდევ ერთი საცოდავი შვილი...
...
კიდევ კარგი, იცის წვიმამ სიზმარი და ძილი...

...თვლის ამინდის ბიურო, რომ ჩვენზე მეტი იცის ამ თოვლის და ამ წვიმის და, ესე იგი — იმ ცის...

— რა საკამათია — ჭკვიანია კაცი, მაგრამ ათჯერ უფრო ჭკვიანია ქალი! —
ქალიშვილი. ცოლი. საყვარელი. ხასა... —
თავის ბეჭდებით და ფირუზით და ლალით!
გათხოვილი — ნებით! გათხოვილი — ძალით! —
მუდამ ქმარზე უფრო ჭკვიანია ქალი!
(აქ არ იგულისხმობთ სილამაზე მისი — ყელსაბამი ბროლის, ფირუზი და ლალი).
წევს თუ არ წევს კაცთან — ჭკვიანია ქალი! —
კაცზე ოცჯერ უფრო ჭკვიანია ქალი...

გოზანდარა

...თავის დროზე დედოფლად გვერდით ედგა ოც ნეფეს! —
ზოგს — იდიოტს, ზოგს — ჭკვიანს, ზოგ ბლუსს, ზოგ მეოცნებეს...
ახსოვს სხვადასხვაგვარი ალერსები, კოცნები...
ინჟინრები! შოფრები!
პრარაბები! მგოსნები...

დღეს ფეხების მაგიერ ხელი გაუშვერია:
ხურდას ხან არ აძლევენ, ხან აძლევენ — შველიან...
პროფესია მათხოვრის —
ძველის-ძველის-ძველია...
შეეჩვია! და მაინც თვალი ზოგჯერ სველია...

ტარიელ ჭანტურია



ნიგნიდან: სიყვარულის შავი ყუთი

...
რა მოხდება — ზოგჯერ თქვენც მიიტანოთ გულთან! —
განა რამეს ბევრს ითხოვს — ხურდა... ხურდა... ხურდა...

ინფანტილური

— არ ვიცოდი! — კაცი თურმე სიცოცხლითაც იღლება! —
ქალი? —
ქალი მით უმეტეს — ორჯერ უფრო იღლება!
დედამთილი — იწყევლება, ქმარი — სულ ინიხლება!
მოკლედ, კაციც, მოკლედ, ქალიც, მოკლედ, ყველა იღლება! —
სიცოცხლისგან იღლება!
სი-ცოც-ხლის-გან იღლება!

მაგრამ კაციც, როგორც თავი, ბოლო-ბოლო იცლება, როგორც ყანნი, როგორც ჯიბე —
ბოლო-ბოლო იცლება, თუ ცნობილ ზმნას დავიხმარებთ —
ბოლოს გარდაიცვლება!
თუმც ამითაც საბოლოოდ არაფერი იცვლება!

ისე, საინტერესოა —
სიკვდილითაც იღლება?
ამ სიცოცხლით გადაღლილი —
სიკვდილითაც იღლება!

ორი გოგო მიყვარს ერთდროულად მიყვარს
ორი რატომ მიყვარს ზოგჯერ თვითონ მიკვირს
ერთი — აქეთ მოგყავს ერთი — იქეთ მიგყავს
ეს აქეთაც — გიყვარს ის — იქეთაც — გიყვარს
არც კი ვიცი უფრო დღეს რომელი მიყვარს
ხან ესა და ხან ის სიტყვას გადამიკრავს
მე ვერ ვეტყვი ამას მის სახელს და მის გვარს
მე ვერც იმას ვეტყვი მის სახელს და მის გვარს
შევეჩვიე თითქმის წლები წლებს რომ მიჰყვა
რა შეცვალეს წლებმა —
ესეც ისიც — მიყვარს რომელიმე ალბათ
გზიდან გადამიყვანს
მე ორივე მაინც ძველებურად მიყვარს
...ვინც ჭკუიდან უფრო ადრე გადამიყვანს
ვეტყვი — მეორეზე უფრო ის რომ მიყვარს...

ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი —
ფრინველების პო... პაუნდი... ჟიდი...
უცხო ქვეყნის ზნემაღალი გიდი...
სამოსელი — სულ უბრალო ჩითი...
სამოთხისკენ გამვერილი თითი...
სახეზე ზღაპრის, ლეგენდის და მითის...
არ სჭირდება ფანჯარა და ხიდი...
სხვა ქვეყნებში უვიზოდაც მიდის...
აქვს ნამდვილი ანგელოზის „ვიდი“.
არც დამბაჩა, არც ტყვიების მჭიდი —

წყნარი, წყნარი, კეთილი და მშვიდი...
ყველას გვახსოვს მშვენიერი წამი —
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი...
— მორჩი, ბიჭო, სხვის ბუდეში ჭიტინს!
...ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი...

საქართველო, საქართველო, საქართველო, საქა...
უ-უ-უმშვენიერესი და უკვდავი საგა!
გაოცებულია ყველა, ვინც შეგავლო თვალი:
ეს როგორი მინა გაქვს და
ეს როგორი ცა გაქვს!
...ორი საყვარელი შვილი წაგართვეს და წაგა...
აფხაზეთი... სამაჩაბლო — წაგართვეს და წაგა...
მაინც გალობ სიყვარულის საგალობელს! საგა...
სიყვარული! — გადარჩენის შენც მხოლოდ ეს გზა გაქვს!
იცნობს მთელი დედამიწა შენს ეზოს და გზა-კარს...
— საქართველო!
საქართველო!
საქართველო!
საქარ...

ლექსრომები — რეპლიკა

საქართველო პანანინა, ერთიბენო ფართია —
როგორ უნდა დაეტიოს აქ ამდენი პარტია!
აქ იმდენი მხატვარი და პოეტი და ბარდია... —
ვის რად უნდა, რა ყედ გვინდა ეს ამდენი პარტია!
სულელურად ვიქცევით და ღმერთმა არ გვაპატიო —
ყველგან, ყოველი ხის ძირას ორი-სამი პარტია!
იმედია, გადაუვლის დიდ ერს ეს აპათია!
კი, ბატონო, დიდი-დიდი —
ერთი-ორი პარტია!
(ამ აზრის გაპროტესტება, „პროსტო“ სიაზანდია!)

პარლამია შიტი

— დნეპრს, ამაზონს, ლიახვს, პოს, მისისიპს, არაგვს... —
დიდი ანგარიშით მნიშვნელობა არ აქვს! —
ეს — წყალია ყველა —
დედამიწის წყალი, ისე, როგორც ყველა —
ქალი არის ქალი!
ისე, როგორც ყველა კაციც არის კაცი!
რაც გითხარი, ძმაო, დაიხსომე აწი!
ზოგადსაკაცობრიო გახლავთ, ხალხნო, ეგ სია!
არ გეგონოს, ეს ლექსიც...
მთლად საბავშვო ლექსია!
დედამიწა — სამშობლო —
ყველასათვის ერთია!
მისიც, ჩვენიც — პატრონი ერთადერთი — ღმერთია!

თქვენ — უბერავთ, თქვენ — გრილებთ, სვამთ ღვინოებს, არყებს, ლუდებს!
ჩვენ — თამაშის კაცები ვართ!
როგორ ქვია? — ჰომო ლუდენს!

რაც არ უნდა მოხდეს აწი —
მთლად ქვეყანა გადაბრუნდეს, ჩვენ ვერ შეგვცვლის ვერაფერი —
სულ ვიქნებით „ჰომო ლუდენს!“

სწორ არჩევანს ცხოვრებაში ვერავინ ვერ გაგვიმრუდებს:
— ნარდი, ძმაო! კარტი, ძმაო! —
დაარიგე!
ჰომო ლუდენს!

ტა-ტა-ტა... ტანდემი

მიდის მათი ცხოვრება —
ძირითადად — რიტმული!
თავს ირჩენენ ცალ-ცალკე —
რით — რძალი და რით — მული!

გადაუვლის დროდადრო
ყოფას მათსას აღმური —
ჩხუბს ინყებენ უაზროს
ხან — რძალი და ხან — მული!

უქმროდა და უშვილოდ
დარჩენილი ოჯახი,
რა დონეზეც შეეძლოთ,
იმ დონეზე მოჯაყეს!

ჩხუბს ინყებენ დროდადრო
ხან — მული და ხან — რძალი!
...ლოგიკურად, ცხადია,
სახლს გაუჩნდა ხანძარი!

არ სჭირდება მათ ბრძოლას
მსაჯული და სარდალი... —
თვითონაა ორივე
მტყუანიც და მართალიც...

გაბუ გაბრაზებულია

— მე არ დავდივარ, საცა კაფეა,
მე არ დავდივარ, საცა ბარია —
საცა კაფეა, საცა ბარია,
იქ კაცი — სანთლით საძებარია! —
საერთოდ, კაციც, საერთოდ, ქალიც —
ორივე სანთლით საძებარია!

როგორც ბუღბული, როგორც ტოროლა —
იქნება შეგხვდეს თითო-ოროლა,
მაგრამ იქ, საცა კაფე-ბარია,
როგორც ბუღბული, როგორც ტოროლა —
სუყველა სანთლით საძებარია!

რად არის კაცი საძებარო,
რად არის ქალი საძებარო —
ვიცი, ისევე მე გამამტყუნებენ —
რა ვქნა, არ სჯერა ჩემი ბარეორს...

არადა, არ ვთქვა? — საცა ბარია,
საცა კაფეა, საცა ბარია,
ნამდვილი ქალი — საძებარია,
ნამდვილი კაციც — საძებარია...

კვირა

მთელი ღამე ასე ვარ —
გაურკვეველ ბურანში! —
ხან — გაერთიანებულ
სახარება-ყურანში,
ხან — ჰოკეის გუნდში ვარ —
ფეხი ცუდად მისხლტება!
ხან, ევერესტზე ასულს,
შიშით გული მისკდება!
ხან — შვედი ვარ, ხან — ფრანგი,
ხან — ზანგი ინგლისელი,
ხან — ველოთი დაფორინავ,
ხან — დავცურავ გლისერით!
ხან — დაჭრილი ვაგდივარ
ფეხში ტყვიადახლილი!
მაინც, რომ უნდა ვიყო,
არ ვარ ისე დაღლილი...
დღეს ხელიდან მეორედ
გამოვუსხლტი ვამპირებს!
...ვემზადები — მარსისკენ
გადაფრენას ვაპირებ...

ციკლიდან: ჰომო ლუდენს

დავანებე თავი თამაშს —
ტუზ-კაროლს და ვალეტ-დამას —
სიცოცხლესთან სიკვდილის და
ბედთან — უბედობის თამაშს...
ვინ დაიჯერებდა ამას! —
დავანებე თავი თამაშს —
მურმანს, გურამს, პიკოს, რეზოს,
ლამას, საშას, გიგის, თამაზს...
დავანებე თავი თამაშს —
ალბათ თემით შევცვლი თემას...
არასოდეს კრიჭაში არ
ჩავუდგებით: ის — მე, მე — მას...
...ეს ჩემიო, ეს მისიო,
ის — სისხლიო, ეს — ოფლიო...
ებრძვის დღემდე საკუთარ თავს
საცოდავი ეს მსოფლიო!
რა ვურჩიო! დამიჯერებს? —
დაანებოს თავი თამაშს...
მიხვდებიან? გაიგებენ? —
ეს კაროლი და ის დამა...

...მოცარტის სტილში დაბეჯითებით
ყვებიან მითებს ეზოს ჩიტები,

და უსასრულო მელოდიისგან
გადაღლილი აქვთ სულის თითები...
და ცა სავსეა ცრემლის წვიმებით —
ანვიმს კლავიმებს... წყდება სიმები...
და ვდგავარ სველი ჭადრების ქვეშ და
თვითონ არ ვიცი, რად ვიღიმები...
ალბათ შაშვები! უფრო — ბუღბული...
ისე გალობენ ჩვენი ჩიტები —
შემირცხვენია ამათ ჰიტებთან
პოპულარული ჩვენი ჰიტები...

...დაისვენებს, და ის ვენებს
დაასვენებს ამით —
ვენებს, დაღლილს სირბილით და
ღვინის სმით და ჭამით!
დამძიმებულს ნევროზით და
დამთრგუნველი ჟამით,
იმედინანს მხოლოდ ფიქრით —
ერთად ქცეულ სამით,
იმედინანს რამდენიმე
წუთითა და წამით,
იმედინანს — მხოლოდ ფიქრით...
ღამით. მხოლოდ ღამით...
...
ამით. მხოლოდ ამით.
ამით... მხოლოდ ამით...

**ჰომო ლუდენს
ნარდი, კარტი და ა.შ.**

ვითამაშე, და თამაშს გული გადავაცოლე!
გულის გადაყოლებას ფულიც გადავაცოლე!
იმ ფულს ის ჯობს, რომ თამაშს გული გადავაცოლე
(თამაშები — ეს თითქოს მომენტია საგოლე)...
რა იქნება ცხოვრება, თუ თამაში ჩაქოლე —
თუ მუსიკა ჩაქოლე, თუ თეატრი ჩაქოლე,
თუ ღიმბილი ჩაქოლე, სიყვარული ჩაქოლე,
თუ ფეხბურთი, ჩოგბურთი, თუ პოკერი ჩაქოლე.
...
ითამაშე, ძამია, გული გადავაცოლე!
დიდი საქმე, თუ თამაშს ფულიც გადავაცოლე —
ჭუჭყი, ჭუჭყი, ნავაგი — ფულიც გადავაცოლე!

სამადლოპალი ლექსარომატი

— კიდევ ერთი ჩამომისხით —
ვადღეგრძელო ჩემი მესხი! —
ჩემი რძალი,
ანუ შვილი,
ანუ ირა — ირა მესხი!

მეც, ციალაც — ცოცხლები ვართ
მისი გარჯით, ვალით, სესხით!
...აფხაზეთის ტანჯვის სახე —
მიდღეგრძელებთ ირა მესხი!

პლიუს-მინუს ლექსარომატი

აქეთ — მტყუანი, იქეთ — მართალი! —
მტყუან-მართალის საღტო-მორტალე!
მე ვიცი კაცი — მუდამ მტყუანი!
ვიცი ჩვენ კაცი — მუდამ მართალი!
გაასვენებენ განთქმულ მტყუანს და
ყვავილებით და ხოტბით მორთავენ!
დიდი მართალი! დიდი მტყუანი! —
ქვეყანას მუდამ ახსოვს ორთავე!

— გადავლახავ დღეს არსებულ ყოველნაირ ზღვარს —
ყველა ტბას და ოკეანეს, მდინარეს და ზღვას,
გადავლახავ, რა თქმა უნდა,
უსასრულო ცას,
დავიკიდებ ყველა მეფეს,
იმპერატორს, ცარს... —
სულ იოლად გადავივლი უსასრულო სავალს —
სამოთხეში დროზე ადრე ჩემი ფეხით ჩავალ!
სამოთხეში? კი-კი-კი-კი,
უსათუოდ ჩავალ!
მრავალ-მრავალჟამიერო,
მრავალ-მრავალმრავალ...

ის, რაც მოხდა — უკვე მოხდა!
ის, ვინც მოკვდა — უკვე მოკვდა!
შესაცვლელი შეიცვალა! —
დრო გავიდა! — დრო დამოკლდა!

მუგუზალი იქცა ნაცრად,
ღიმბის ცრემლი ჩაენაცვლა,
ბოლოს მივხვდი, სიძულვილის
რომ არ შეიძლება აცრა...

საქართველო — ვგრძნობ და ვიცი —
სამოთხეში მგ ზავნის ვიზით...
მოუთმენლად ველი იმ წამს —
რჩეულ ხალხთან ძვირფას ვიზიტს!

ჩემს ასაკში, წესით, უნდა ხშირად ვიჯდე,
ჩემს ასაკში, წესით, მეტხანს უნდა ვინვე!
მე კი პირიქით ვარ, და ლოგიკურია —
გალიზიანებას და ღიმბის რომ ვინვე!

გეხვენები, ღმერთო, მეც გამომამტყრე,
რა ვქნა ახლა — იყოს,
რაც იქნება მერე...

ძლივს შევაჩვიე თვალი
ბებრის პროფილს და ანფასს!
ხან ვწერ, ვთამაშობ ზოგჯერ! —
ხან — პლიუსს ვამბობ, ხან — პასს!

ხან — კმაყოფილი ვარ და
ხანაც — ვემდური ხანას!
ლექსს ვუნერ ეკას, სანდროს,
ტარიკოს, თამოს, ანას!

ერთი გამომრჩა აგერ —
ლამაზი გოგო — სალი!
მეც ხომ შევძინე მამულს
ქვეყნის კაცი და ქალი...

ყინვა. 14^ე

— ფუჰ, რა სიცივეა, როგორი ყინვა!
მადლი ღმერთს, რომ ახლა ყველანი შინ ვართ!
ბავშვების — კისკისი,
ბებრების — ხვრინვა!
(საფლავეში ნაკლები იქნება ყინვა...).
არ ვიცი, ვინა ვარ — უკან ვარ, წინ ვარ.
იქ, სადაც ვილაცა მოდის ან მიდის,
რალაცას ყიდულობს, რალაცას ყიდის —
უკლებლივ ყველასი — პატარის, დიდის —
ერთიან დღის მტერი — ოხერი ყინვა...

კარგია — ჩვენ ახლა ყველანი შინ ვართ! —
ძილი. უძილობა. კისკისი. ხვრინვა...
...მოხუცებს თავისი ანუხებთ ფიქრი —
მინაში ნაკლები იქნება ყინვა...

(ცოცხალს კლავს, მოკლულს კი ინახავს დიდხანს —
ამაში ნამდვილად ჯობს სითბოს ყინვა...)
...
ტელევიზიას კი სურს გაგვაოგნოს —
ხვალისთვის საშინელს გვიკითხავს პროგნოზს...

რეალიკა

თამაში რომ ცოდვა იყოს,
ვინ გამოდის შოთა მაშინ! —
კეთილი და ბრძენთაბრძენი
სახე დიდი მოთამაშის!
ბევრი ვიცი — თამაშისთვის
უყვარს თავის არიდება!
ეს გზა ჯობდეს — ჩვენს თაროზე
ვეფხის წიგნი არ იდება!

მიყვარს პროცესი გათენების —
ღამისთვის დარდის გატანების! —
ანგელოზები ბრუნდებიან,
სადღაც ქრებიან სატანები...
ჩემი ბავშვობა მაგონდება —
სუფსა... ურეკი... ნატანები...
...ენგელოზები ბრუნდებიან —
აღმსრულებლები ცათა ნების...

მიყვარს პროცესი გათენების...
ვარჯიში. ჩაი. განტელები...

ნეტა როგორ გაგრძელდება —
მეც თუ ვიგრძნობ როსმე შევებას!
როგორ დამიმძიმდა ფიქრი,
ან ეს გული რას მიშვრება!
ალბათ უნდა წასულების
დიდ არმიას გადავება!
...ეჰ, სიცოცხლის გათავებაც
ნეტა გავდეს გათავებას...

პატიჟნებში! აწყობილი პირველი გვერდი დასაშლელია. ბიზნესმენი ავალანნი ზუსტად იმ დროს მოკლეს საკუთარ სადარბაზოსთან, გაზეთს სტამბაში რომ ვაგზავნიდით დასაბეჭდად. ჩვენი საპირველგვერდო თემებით ხვალ ველარავის გავაკვირვებთ, მენიუში მთავარი კერძი შეიცვალა. სტატიას ოთო დანერს, მაგრამ დილაზე რედაქციიდან ფეხს ვერ გავადგამ. ხვალინდელი ნომრის მორიგე ვარ. უჯრიდან შოკოლადის ფილა გამოვიღე და გაუხსნელად, ფოლგის ქალაღმძივე დავაშტვრიე. პატარა ნატეხი ენის ქვეშ დავიდე და სანამ ჩადენებოდა, ისევე სიგარეტს მოვუკიდე. დღეს იმდენი მაქვს მონეული, შავი შოკოლადის მძაფრ სიმნარესაც ვერ ვაგემოვნებ. პირველი სამი ნაფაზი ზედიზედ დავარტყი და მომდევნო ღრმა ნაფაზის მერე საკუთარ სამუშაო მაგიდაზე შემომჯდარ ნიკოს გავხედე. ეს ნიკოს საყვარელი ნაფაზია. კვამლს ნაკადად არ ვუშვებ, პირს ოდნავ ვაღებ და ზანტად და უფორმოდ გამოშავალ კვამლში ვეხვევი. ნიკოს მოსწონს, ასე რომ ვენევი, თვალს არ მაშორებს, მერე თვალს ხუჭავს და სიამოვნებისგან ილიმის.

— გეგონება ატომური ბომბი აგიფეთქდა მკერდში, ნაგასაკია, რა! — მითხრა რამდენიმე თვის წინ, ერთმანეთის გოგობიჭობა რომ დავთქვით და მთხოვა, სხვასთან არასოდეს მომიწინა ასე.

შევთანხმდით. ორ კვირაში სიგარეტს შევცვალე. თავიდან გამიჭირდა, მაგრამ ასე უფრო ადვილია — ახლა საერთო მარაგი გვაქვს. ნამშვებით გავსებულები საფერფლე ნავის ყუთში ჩავცალე და მაგიდაზე მიმოფანტული ფერფლი ხელით გადავწმინდე.

— ნადი შენ, დაიძინე! — ვეუბნები ნიკოს და თმებში ვეფერები. რამდენიმე თვეა, ერთმანეთის მორიგობის დროს ვრჩებით ხოლმე და გათენებულ ღამეებს ვიორმაგებთ.

— მოიცა რა, რა დავიძინო?! — ხელს მაშვებინებს და კარისკენ მიდის.

— ხო არ გაგიჟდი?! ოთოა გვერდით ოთახში, — ხმამაღალი ჩურჩულით ვეუბნები.

— იყოს, მერე რა! — დერეფანში აქეთ-იქით იყურება და კარს კეტავს, — ჰმ, ვითომ არ უნდა.

— არ მინდა! — ვუღიმი და მზერას ვინწერვებ.

— ოჰ, ტყუილი, ტყუილი, პაპიროსი პირში! — რამდენჯერ აქვს მოყოლილი, რატომ და როგორ თქვა ეს ფრაზა პირველმთქმელმა.

მაგიდაზე ვჯდები, ხელს ზურგს უკან ვაყრდნობ, ნიკო ნელზე ათროლოებულ ხელს მხვევს და ტურნებში მკოცნის. თამბაქოს გარდა ველარავის გემოს ვერძნობთ, მაგრამ დანამდვილებით ვიცით, რომ ახლა ამ კოცნაზე ტკბილი არაფერია. პურანგის ღილებს მე თვითონ ვისხნი და სიამოვნებისგან კიდურები მიბუჯდება. არ ვიცი რატომ, მაგრამ სამუშაო ოთახში ყოველთვის უფრო მძაფრი და მწველია ჩვენი ალერსი, ვიდრე ნიკოს პანანინა საძინებელში. ამიტომაც შანსს არასოდეს ვუშვებთ ხელიდან. კარის სახელურის ხმა გავფხიზლებს. ოთო ხვდება, რომ დაკეტილია, მაგრამ მაინც ცდილობს გაღებას. სასწრაფოდ ვინსრიგებ თავს და კარს ვაღებ.

— აუ, სოფო, წინა კვირის ინტერვიუს მოვუსმინე თავიდან, — ფურცლებით ხელში ჩქარი ნაბიჯით შემოდის ოთახში.

— მერე?! — ალღო და ნებისყოფა არ ეყო, რომ ათი წუთით გვიან შემოსულიყო.

— მერე და ეს კაცი მაშინაც ამბობს, რომ... — მე და ნიკოს ნახევარი არ გვესმის, სუნთქვას ვიმშვიდებთ.

— გასაგებია! — ფურცლებს ნერვიულად ვართმევ და უშინაარსოდ ჩავცქერი ოთოს ჩანანერებს.

— ახლა უყურე, რა ხდება... — ისევე თავისას აგრძელებს.

— გიჟია! — ნიკოსკენ ვბრუნდები და ტურნების მოძრაობით, უხმოდ ვეუბნები.

ნიკო სიგარეტს უწვდის და მიკიდებს, ორივე ვენევი. ბუღისგან შენუხებული ოთო ფანჯარას აღებს, რაფაზე ჯდება, განათებულ ანძას უყურებს და ისე აგრძელებს ლაპარაკს.

— იცი, რა ქენი, ახლა მაგ არქივს შეეშვი და დღევანდელი ამბავი დანერე. მაგდენი ადგილი არ არის გვერდში და ჟურნალისტურ გამოძიებასაც არავინ ელის ხვალ ჩვენგან, — აფორიაქებულ ოთოს ვამშვიდებ და წარბის ანევით ვანიშნებ, რომ საბოლოო გადაწყვეტილება დღეს მე მეკუთვნის.

რუსუდან რუხადე

ნაგასაკი



ოთოს ვისტუმრებთ, საკუთარ სამუშაო მაგიდებთან ვბრუნდებით და უაზროდ ვამტერდებით მონიტორებს.

— ერთი ღერილა დაგვრჩა, დაიწყე და დამიტოვე, — მოკიდებამდე თამბაქოს ყნოსავს ნიკო.

— დაგვისკდება ფილტვები, — ვეუბნები და ცალი ხელით საფეთქელს ვისრეს.

— მე დამისკდეს! — ზურგიდან მეხვევა და მუცელზე მაღებს ხელს.

— მისმინე, მონევა უფრო მალე კლავს თუ კორექტურა? — ხარბად ვარტყამ ნაფაზს და თემას მოულოდნელად ვცვლი.

— გააჩნია კორექტურას, — წარბებს ქმუხნის და ცდილობს, გამოიცნოს, რას ვგულისხმობ.

— აი, ჩილაჩავას მაგივრად ჩალიჩავა რომ წერილი ფოტოს ქვეშ, — მშვიდად ვანვდი ვაზეთს.

— აუუ, ჩემი! გაგიჟდება! — შუბლზე ირტყამს ხელს და სიცილს ვერ იკავებს.

კომპიუტერში ავალანნის ფოტოებს ვათვალიერებ და ვფიქრობ, გვერდში რომელი ფოტო ჩავსვა. მგონი, ის ჯობს, პარტნიორების წინაშე რომ გამოდის სიტყვით. იქნებ სულაც მათ შორისაა მკვლეელი.

ოთომ იყოჩაღა, გაზეთის კეთებას იმაზე მალე მოვრჩით, ვიდრე ველოდი. საქმე პირნათლად შევასრულეთ და პირსისხლიანებს პირველი გვერდის ზედა მარჯვენა კუთხე დავუთმეთ.

გამთენიისას ნიკოსთან ავედი. თითო ჭიქა კონიაკით გავხურდით და იატაკზე დაგდებულ მატრასზე გადავეშვი. აღარცერთს შეგვრჩენოდა ალერსის თავი. დილით დედარჩემის მესიჯმა გამაღვიძა. ბიძაჩემის გაუთავებელი ფილტვების ანთება თურმე სინამდვილეში ფილტვის კიბო ყოფილა. ცრემლები მახრჩობს, ნიკოს ვაღვიძებ და ტელეფონს ვანვდი მესიჯის ნასაკითხად.

— ჩვენც მოგვიწოდებს... — ცრემლით მევესება თვალები.

— მე მომიწოდებს! — მეუბნება და მხარზე მკოცნის.

— ამ ღერს ნუ ჩამაქრობინებთ და ხუთი წლის სიცოცხლეს დავთმობ, სულ ასე ამბობდა, — ვსლუკუნებ და მატრასის უკან გადავარდნილი ლიფს ვეძებ.

ყავას ვსვამთ და ვავრბივართ. გაზეთს რედაქციაში მისვლამდე ჯიხურში ვნახულობთ და უკან ვაბრუნებთ. თან ავტობუსის მოსვლამდე სხვა გაზეთებს ვათვალიერებთ.

— ნუხელ გამოუძინიათ ჯიგრებს! — ნიკო ერთ-ერთი გაზეთის პირველ გვერდზე ძიუღოისტების ნაკრების ფოტოს მაჩვენებს.

— გამოტოვებული ამბებისთვის მოეკითხებათ, — ვპასუხობ და იქვე, მიწისქვეშა გადასასვლელთან, მოხუცი კაცისგან მკვახე ალუჩას ვყიდულობ.

მომდევნო მორიგობისთვის სიგარეტისთვის თავის დანებება უკვე მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი. ნიკოს ვუთხარი, რომ სუნთქვა მიჭირს, რედაქციის კიბეზე სვენებ-სვენებით ამოვიდვარ, სარკეში აღარ მინდა ჩემი ფერმკრთალი სახის დანახვა და თითებიდან ნიკოტინის სუნს ველ-

არ ვიშორებ. და საერთოდაც, თავი ბებერი მგონია. ისიც ვუთხარი, რომ მარტო ვერ შევძლებ გადაჩვევას, მაგრამ ომში თუ ერთად ვიქნებით, უკან არ დავიხევე. არადა, ჟურნალისტურად ამბავი სულ სხვაგვარად უნდა დამენყო. ჯერ უნდა მეთქვა, რომ სიგარეტისთვის თავის დანებება გადაწყვეტილი და გულის პრანჭვებზე მერე მელაპარაკა. ცხოვრებაში ასე არ გამოდის.

„ნაგასაკი მომენტურა“ — მითხრა ნიკომ, ბოლო ღერს მოუკიდა და გადმომანოდა. ასე ნელა და დაგემოვნებით, მგონი, სიგარეტი არასოდეს მომიწევია. ვენეოდი და ვფიქრობდი, რომ არაფერია იმაზე რთული, ვიდრე შენ თავს უთხრა, რომ ამას აღარასოდეს გააკეთებ ერთხელაც კი, სანამ ხარ. არადა, შესაძლოა, კიდევ დიდხანს იყო, ბერი რამ მოხდეს, ნიკო შენს ხმას ველარც იხსენებდეს, მაგრამ საკუთარი თავის ერთგული რჩებოდე და მუდამ გახსოვდეს ოდესღაც მიცემული სიტყვა, რომელიც არც ტყდება და არც იზნარება.

უკანასკნელი „ნაგასაკი“ იმაზე ხანგრძლივი და ვენებიანი აღმოჩნდა, ვიდრე ოდესმე. მიყურა ნიკომ და ბლოკნოტიდან ამოხეული ფურცელი გადმომანოდა. თამბაქოს არომბიანი კოცნის შემდეგ ერთმანეთს დავპირდით, რომ აღარ მოვწევდით და ხელწერილებიც გავცვალეთ.

„მე, ნიკო ნოდა, ვდებ პირობას, რომ ხვალინდელ სიგარეტს მივავტოვებ და მხოლოდ იმის დარდი თუ მომკლავს, ვის გაჰყვება ცოლად სოფო ანჩაბაძე.“

„მე, სოფო ანჩაბაძე, გოგონა ჭრიჭინას ტატუთ, ვდებ სიტყვას — უტებს და მოხდენილს, რომ აღარ გავეკარები პაპიროსს და ვიცოცხლებ დიდხანს და ბედნიერად.“

საბერძნეთიდან ჩამოტანილი საფერფლე ლიკას ვაჩუქე. დარჩენილი სიგარეტის ღერები ხელის გულებით დავსრისებ, თითუნი გამოვაცალე, ფილტვის ქალღღეღი ნახევრად შემოვახიე და ყვავილებით გავშალე. მერე მე და ნიკომ ჩემი გაკეთებული კვარაკუნჩხები ყველა თანამშრომელს სათითაოდ ჩამოვურიგეთ და ვამცნეთ, რომ ახალ, უნიკოტინო ცხოვრებას ვინწყებდით.

როგორც მალევე გაირკვა, ხელწერილების დანერისას არც ერთს გვექონდა წარმოდგენა, წინ რა გველოდა. ოთოს ხასიათი და ხველა აუტანელი გახდა. პირგამშრალეები მუდმივად ერთმანეთის გუნების გამოკეთებაში ვიყავით. კამფეტებით და მზესუმზირით ვამარავებდით ერთმანეთს და თავებს ვიმშვიდებდით, რომ მალე ყველაზე რთულ პერიოდს უკან მოვიტოვებდით და მოწვევისთვის თავის დანებებაზე შესტელერსაც ერთად დავწერდით — „ზედმეტი მესამე“. როდესაც განსაკუთრებით გაუსაძლისი ხდებოდა უსიგარეტობა, ფანქრებს დავიჭერდით, ლიკას მაგიდიდან განუქებულ საფერფლეს გადმოვგდამდით, ღრმა ნაფაზებით „ვენეოლით“ და კვამლისგან შეგუბებულნი ხმით ვლაპარაკობდით. ორივე ვხვდებოდით, ერთმანეთისთვის მიცემული პირობა რომ არა, აქამდე დიდი ხნის გატეხილი გვექნებოდა სიტყვა.

— ეს რა შარნი ვართ, სიგარეტი მინდა! — მეუბნება ნიკო და რედაქტორისგან მობრუნებულ სტატიას დაჰყურებს.

— მეც ძალიან მიჭირს, ყველა სიგარეტის ფოტო ნაგასალე, სამწილად მაღიზიანებს, — მხარზე ამოსვირინებულ ჭრიჭინას დავხედე.

— სოფო, მგონი სარიტუალო ღერებს არ უნდა შევხებოდით, — ყავასთან, საწოლში ან სტატიას რომ გადავახევენ თავზე. ეს ფანქარი მიშველის?! — ფანქარს პირში იდებს და კბილებს ამჩნევს.

— ალბათ ჯობდა, ჰო! — ხმაში ბზარი მეპარება.

— ახლა რა ვქნა, კბილები ვალრჭიალო თუ ჭიქა მივამსხვრიო?! — მუშტს ურტყამს მაგიდას.

— არ გამომეცალო იცოდე ხელიდან, თორემ მეც მოვწევ, — განწირული ხმით ვეუბნები.

— ჰო, კაი, აველდი, აქამდე მოვდიოდი და ახლა არ ღირს უკან დახევა, — ნიკო მწვანე პასტით აჭრელბულ სტატიას დიდი ასობით აწერს — „შენი დედაც!“ და ახლიდან იწყებს წერას.

სამი თვის თავზე ვთქვი, რომ აღარც მახსოვს თუ ოდესმე ვენეოდი და მეტიც, სიგარეტის სუნი სამწილად მაღიზიანებს. ნიკომ მე ვერ ვვიწყებ, ხანდახან მესმის მზერება კიდევ, რომ ვენევი და ისე მსიამოვნებს, ეროტიკის ნახვას მირჩენიაო. მე და ნიკომ შავი შოკოლადის და ერთმანეთის გემო გავიგეთ. ჩვენი ფილტვები ადრე თუ ქვანახშირის შახტად წარმომედგინა, ახლა მის ნაცვლად თვალწვენდნელ პარკს ვხედავდი, ლამაზად გაკრეჭილი განზონებით და კრიზალ ცით. მეგონა, რომ ყანგზადს მხოლოდ კი არ ჩავისუნთქავდით, ამოვისუნთქავდით კიდევ და სხვებსაც ვუზიარებდით. თანდათან ვიგრძენით, რომ რედაქციის კიბე და ალერსი არაქათს ძველებურად აღარ გვაცლიდა. იმასაც მივხვდით, რატომ წუნუნებდა ბუფეტის მეპატრონეზე მთელი რედაქცია. ნამდვილად უფრო ძლიერი გამწოვია დასაყენებელი.

ჩვენი ფილტვები დაინმინდა, ბიზნესმენ ავალანნის საქმე კი კვლავ ბურუსითაა მოცული. ოთო შიგადაშიგ არქივს უზის, მაგრამ ჯერჯერობით განსაკუთრებულს ვერაფერს მიაკვლია. რედაქტორმა ისეთი თემა მომბაზრა, წესით ოთო რომ უნდა წერდეს. ახალი კომპანიაა, საინტერესო სოციალური პროექტები აქვთ და აბა, შენ იცი, როგორ დანერო. რა თქმა უნდა, ვიცი, როგორც დავწერ, მაგრამ ამბავი, რომელსაც ძებნა არ ჭირდება და აქვთ მოგაკითხავს, არასოდესაა საინტერესო. კომპანიის დირექტორი მხარგრძელი და სიმპატიური აღმოჩნდა. ასეთი ბიჭები ჩვენთან არ მუშაობენ, ასეთები მხოლოდ რესპონდენტები არიან, ლანჩისთვის ოფისს ტოვებენ, გასვლის წინ სარკეში იხედებიან და ძვირადღირებული ოდეკოლონების არომბატს აფრქვევენ. ჩვენებს კი ჯინსები აცვიათ, წვერში თამბაქოს სურნელი აქვთ გამაჯდარი და დღის ბოლოს არყით ითბობენ გულს. ინტერვიუ მალე დავასრულე, ნახევარზე მეტი ინფორმაცია სულ ფლაერებად და ბროშურებად გამომატანა. ფოტოგრაფს ნუ შეანუხებთ, ჩვენ თვითონ მოგანვდით მაღალი ხარისხის ფოტოებს, რომლებიც ჯერ არსად გამოქვეყნებულაო. მოკლედ, მოვიწყინე.

სტატიის გამოქვეყნება საკვირაო ნომრისთვის დაიგეგმა, მაგრამ მე იმ საღამოსვე დავწერე და ხელებიც დავიბანე. მერე დღეს მხარგრძელი რედაქციაში გვესტუმრა, რედაქტორი მონახულა მაღლობის სათქმელად და ჩემთანაც შემოიარა — თუ მზადაა, იქნებ გამოქვეყნებამდე გადამეხედაო. მძულს ეს გადახედვები, მაგრამ აღარ გავანანყენე, ამოვუბეჭდე და მივანოდე. ამასობაში ოთახში ნიკო შემოვარდა და მაგიდის უჯრაში რაღაც დაუნყო ძებნა.

— ნიკო! — გვიან შეამჩნია სტუმარი და თავაუღებლად გაეცნო.

— ალექსანდრე თავებრიძე! — მხარგრძელი წამოგდა, მაგრამ ნიკოს ხელის ჩამორთმევა არც უფიქრია.

— სასიამოვნოა, — ცივად უპასუხა და მესაკუთრის მზერით ფანჯარაზე მიმითითა, — მიხურო, არ მეცვიცდეს!

ნიკო როგორც კი გავიდა ოთახიდან, ალექსანდრემ თავი თითქოს უფრო თავისუფლად იგრძნო, ჰალსტუხი შეისხნა, ფეხი ფეხზე გადაიდო და კითხვას შეუდგა.

— მგონი, ძალიან კარგია, — დარწმუნებული ვარ, ბოლომდე არც წაუკითხავს.

— მგონი თუ? — მონიტორისთვის არ მომიშორებია თვალს.
 — არა, კარგია, უბრალოდ იქნებ... — ნამოვდექი და წინადადება აღარ დავასრულე ბინე.
 — ასე უფრო საინტერესოა! — გავუღიმე და ფურცლები ჩამოვართვი.
 — თქვენ უკეთ იცით! — საათზე დაიხედა და ჰალსტუხი შეისწორა, — სოფიო, ახლა ვჩქარობ და სადამოს თუ გეცლებათ, ერთად ვივარდებით. ახალ პროექტს ვინყებთ დამინდა, გეკავებოთ. თქვენი აზრიც მაინტერესებს.
 — ჩემი?! — გულწრფელად გავიკვირე.
 — დიას, რატომაც არა, — მონიტორის თავზე შემოსკუპებულ სათამაშო დათუნია თავის მხარეს მიაბრუნა.
 — კარგით, ვივარდით! — ხელი ჩამოვართვი თანხმობის ნიშნად და დათუნია ისევ ჩემკენ შემოვატრიალე.
 — ადგილს და დროს მოგვიანებით შეგატყობინებთ, — ხელი მზის წნულთან დაიდო და თავი ოდნავ დახარა.
 დღის ბოლოს ნიკოს ვუთხარი, რომ გოგონებმა სამიტი ერთი კვირით ადრე გადმოვინეთ და თინასთან ავდიოდით ღამისთევით.
 * * *
 მესამედ ვიცვლი ტანსაცმელს და დედაჩემის ნაჩუქარ საყურეს, რომელსაც ზარდახშიდან თავი არასოდეს დაუღწევია, პირველად ვიკეთებ. ატმისფერ პომადას ხელსახოცით ვიშორებ, ალბათ ჯობს, ისე გამოვიყურებოდე, ვითომ დღევანდელ ვახშამზე საერთოდ არ მიფიქრია. დავარცხნილ თმას ორივე ხელით ვინწინავ და სარკეში გაოცებული შევცქერი საკუთარ თავს — თითქოს არასოდეს მხიბლავდნენ ზედმეტად თავდაჯერებული ბიჭები საუფროსო სახელით და გვარი. ნიკოსთვის ნათქვამი ტყუილის გამო სინდისის ქენჯინას არ ვგრძნობ. ყოველთვის მჯეროდა, რომ პირადი ცხოვრების მიღმა კიდევ არსებობს უალერესად პირადი ამბები — არსებითად უმნიშვნელო, მაგრამ სასიცოცხლოდ აუცილებელი.
 ვახშამზე დროულად მივედი. ალექსანდრე ისე ჩაჰყურებდა ტელეფონს, ისიც კი გავიფიქრე, უკან გავებრუნებო, მერე მოვუბოდიშებ და არც არაფერი დაშავდება მეთქი. ის იყო, ნაბიჯი უკან უნდა გადამედგა, შევიცარი მომეგება და დარბაზისკენ გამიძღვა.
 — შეიძლება შემოგიერთდეთ? — ალექსანდრეს მზერაზე მივხვდი, რომ მის მოედანზე აღმოვჩნდი.
 — ვა, მოხვედი? — ფეხზე წამოდგა და სკამი გამოიმინია.
 — დიდხანს მელიდეთ? — მე ისევ თქვენობით გავაგრძელე საუბარი.
 — არც ისე, მენიუს ვათვალისწინებდი, კერძს, თუ მენდობი, მე შევარჩევ, სასმელი შენ თქვი, — ისევ მენიუში ჩარგო თავი.
 — შავი ღვინო, ალბათ, — ოდნავ წამოვიწინე და კაბის კალთა გავისწორე.
 — იყოს შავი ღვინო, ალბათ, — გამიღიმა და შემწვარი იხვი შეუკვეთა ალუბლის სოუსით.
 „ახლა რაშია საქმე“ — ალექსანდრე მაგიდასთან ახლოს მოინია და კომპანიის გეგმებზე დაიწყო საუბარი. ჩემთვის აზრი, რა თქმა უნდა, არ უკითხავს. მთელი საღამო ძირითადად თვითონ ლაპარაკობდა და შიგადაშიგ ერთი და იმავე კითხვას იმეორებდა — „ასე არ არის?“ „ასეა!“ ვპასუხობდი და უფიქრებლად და დასტურის ნიშნად თავსაც ვუქნევდი. კერძი მართლაც გემრიელი აღმოჩნდა. „უნდა ჩაგეფიქრებინა!“ — ამდენი „მდგრადობის“, „იმპლემენტაციის“ და „მონიტორინგის“ შემდეგ ამ ბავშვურმა ფრაზამ გული მომიღობო. პირველად არ გამისინჯავს-მეთქი რომ ვუთხარი, გულწრფელად გაცოცდა. ხოლო იმის თქმა, რომ იხვს იმერეთში ზაფხულობით კვირაში ერთხელ მაინც ვამზადებთ, უმადურობა იყო ჩემი მხრიდან და მეტი არაფერი.
 ღვინო თანდათან მომეკიდა და დაძაბულობაც მომეხსნა. ძირითადი კერძის შემდეგ სასაუბრო თემა შეიცვალა. ალექსანდრე უკვე ყოფილების ამბებს ყვებოდა და თავისივე ხელით ითხრიდა სამარეს. რა მნიშვნელობა აქვს, როგორ ეკეკლუცებოდნენ ის კეთილშობილები მის საუკეთესო მეგობრებს — სხვა ქალისთვის მოყოლა უკვე დამარცხებაა. ჩემთვის ვფიქრობდი, თორემ ამდენის ახსნას ალექსანდრესთვის ნამდვილად არ ვაპირებდი.

დესერტად ვაშლის შტრუდელი და კაპუჩინო შევუკვეთეთ. ალექსანდრემ სიგარეტი გამომიწოდა, დაუფიქრებლად ამოვიღე ერთი ღერი, ოდნავ გადავიხარე და მომარჯვებულ სანთებელს მივაგებე. პირველივე ნაფაზმა თავბრუ დამახვია, ალბათ ასეთი სიამოვნება სიგარეტისგან სკოლის ტუალეტში მალულად მონწევის მერე აღარ განმიცდია. ორივე დავდუმდით, დანაყრებული მზერით ვუცქერდით ერთმანეთს და აღარც ერთი ვაპირებდით პროექტზე საუბრის გაგრძელებას. სამი ნაფაზის მერე მკერდში აფეთქება ვიგრძენი, უნებურად გავეხსენი ბაგე და უფორმოდ გამომაველ კვამლში გავეხვიე. ალექსანდრემ გამონწევა მიიღო, რესტორანი მაღვევ დავეტოვეთ.
 დილით ქალაქის ძველ უბანში მტკვარზე გადავიდებოდი სასტუმროს რომ ვტოვებდი, ერთ რამეს ვფიქრობდი მხოლოდ გათანაგული: „ეს რა იყოს“ პასუხად, ორად ორი სიტყვა როგორ არ მივაგებე — „უნდა ჩაგეფიქრებინა.“
 * * *
 სახლში შეველა და გამოცვლა ვერც მოვასწარი. რედაქციაში მისვლა დამავიანდა. თათბირი უკვე დამთავრებულიყო და პირდაპირ სამზარეულოში შევედი ყავის ჩამოსასხმელად. ნიკოს ფანჯრიდანვე დავეუხაჩვარ და ჩემი კესანებებიანი ჭიქა გაურეცხავს.
 — რა მოხდა? — თვალეზავართოებულმა მკითხა, როგორც კი შემომხედა.
 — რავი, ისეთი არაფერი, — ზურგჩანთა მოვიხსენი და კარის უკან დავდე.
 — რა არაფერი, ფერი არ გადევს! — მხრებზე მომიკიდა ხელი და ფანჯრისკენ მიმბრუნა.
 — არ მეძინა, ყავა გამიკეთე რა, გთხოვ! — მაგიდაზე მოვინიღე ფურცლებს და ვუწყე თვალსაჩინოება.
 — თუ არ გინდა, ნუ მეტყვი... — მითხრა აღელვებულმა და საუბრისთვის თავის არიდება სცადა.
 — სიგარეტი მოვწიე, ნიკ! — სანამ ჩემკენ მობრუნდებოდა, გამიდალობა მოვიკრიბე და ზურგსუკან მივახალა.
 არ შემობრუნებულა, ყავაში შაქარი ჩამიყარა და თავჩალუნულმა დიდხანს ურია. მიუხალოვდი და ზურგიდან მოვეხვიე.
 — სიგარეტი მოვწიე... მე, სოფიო ან ჩაბაძემ, გოგონამ ჭრიჭინას ტატუთი... — ნაშში გაქვავებოდა ნიკოს სხეული.
 — როდის? — ყელი ჩაინმინდა და დადაბლებული ხმით მკითხა.
 — ნუხელ... — მღელვარებისგან სახეზე სიმზურვალე ვიგრძენი.
 — რა ხდებოდა ნუხელ თინასთან? — თავი გაითავისუფლა და ჩემკენ შემობრუნდა.
 — რა ვიცი, არაფერი ისეთი... — ხმა ჩამიწყდა და ცრემლები მომადგა.
 — მარტო გოგონები იყავით? — ყველა კაცის სახელით იკითხა ნიკომ.
 — თავიდან კი, მერე ვიღაცები ამოვიდნენ, თინას ძმის მეგობრები, — პაუზის შემდეგ ძლივს ამოვდერლე.
 ნიკომ ფანჯარა შემოაღო, მზერა ნაცრისფერი ცისკენ მიაპყრო და ხელები მკერდზე გადაიჯვარებინა.
 — ერთი კითხვა მაქვს, — მოულოდნელად შემობრუნდა და სახე ახლოს მომიტანა.
 — მკითხე! — ღრმად ჩავისუნთქე და ამბის ბოლომდე სათქმელად ძალა მოვიკრიბე.
 — ნაგასაკი? მითხარი, ნაგასაკი?! — მკვლელი პაუზის შემდეგ მეორედ გადამეკითხა.
 — ჰო, ნაგასაკი... მაპატიე... — ყველაზე უღირს ადამიანად ვიგრძენი თავი.
 — გასაგებია, — ნიკომ სამზარეულოში დატოვებული სხვისი კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო და ისე მოუკიდა, თითქოს არც ის სამი თვე ყოფილიყო და არც იმდენი რამ გამოგვევლო ერთად.
 „ამ კაბით სამიტზე იყავი, არა?“ — მკითხა გასვლისას და კედელს მუშტი მიარტყა...
 ბიზნესმენ ავალიანის საქმეში ახალი დეტალები, მკვლელობის დღეს სადარბაზოსთან ნაპოვნი სიგარეტის ნაშენის ექსპერტის დასკვნას დააფრიალებს ოთხ დერეფანში. დედაჩემის ზარს არ ვპასუხობ. ვხვდები, რომ ბიძაჩემი აღარ არის. მაგიდაზე დატოვებულ სიგარეტის კოლოფს ვიღებ და ნიკოს ნაჩუქარი კალმით ვანერ:
 რაც არ აძლიერებს, კლავს.

ხალხურთაქის მარჯვენა
 დავაშაპავი. ვალიარებ, რომ დავაშავე, მაგრამ სასჯელის ზომა ადეკვატური ხომ უნდა იყოს დანაშაულთან?
 მოკლედ, იქიდან დავიწყებ, რომ ჩემი შვილის ნათლიამ, ოთომ დამირეკა — მანქანა მათხოვე, ტყიბულში მივდივარო. ოთო წლების წინ ნავიდა ამერიკაში საცხოვრებლად, მერე დაბრუნდა, როგორც ხშირად საქართველოში დაბრუნებულმა ვიცით და ჩამოსვლიდან მესუთე დღეს საზოგადოებრივ ადგილას უღირსი ქცევისთვის (ეს უღირსი ქცევა კი ქცევაში მონაწილე გოგონას აზრით სულაც არ იყო ასეთი) ტყიბულის საზოგადოებრივ გამოსასწორებელში გააგზავნეს. იმავე გამოსასწორებელში მივდიოდი მეც, მე ნაკლებ მძიმე დანაშაულისთვის ალბათ, თუმცა ქალი აქაც მონაწილეობდა — სუპერმარკეტში დებოში ავტეხე ნაცნობი გოგოს გამო. მომეჩვენა, რომ გამყიდველი უხამსად გაეხუმრა. მარკეტის ადმინისტრატორმა სამსახურში მიჩივლა. უფროსი ცუდი კაცი არაა, ერთი ეგაა, რაიმე „სიბრძნეს“ რომ იტყვის, აუცილებლად უნდა დაეთანხმო, ამ სიბრძნეებს კი ყოველთვის მტკიცებითი მამაშვილურობით ამბობს. ასეთ დროს სახე ებრაულ-სომხური სევდით ევსება და ხმა სპარტაკ ბალაშვილივით უკანკალებს. მაგრამ წესი წესი, ჯერ ერთი, ჭკვიანი კაცი ქალის გამო შარ-
გურამ მეგრელიშვილი
ალტირნატიული
საქართველოს ამბები
 ში არ გაეხვევაო (თან მკითხა, განა ქალი ამად ღირსო?), მეორეცო, საუკუნეა არაფერი დაგინერია, წახვალ, დანერ რამეს, რამე ნორმალურს და იქნებ მადლობის ნერილიც მიწერო გამყიდველსაც, სუპერმარკეტსაც და იმ მანვე ადმინისტრატორსაცო.
 მე კი ვიცოდი, რა წერილსაც მივწერდი ადმინისტრატორს, რაც ზეპირად ვუთხარი და მერე შევუთვალე, იმაზე უფრო მხატვრულს, მაგრამ ტყიბული რომ არ ამცდებოდა, ნაღდი იყო.
 ტყიბულში ბოლოს გავლით ვიყავი, როცა რაჭაში მომიწია ჩასვლამ. კომუნისტური რეჟიმის მერე ასეთი „ნაჩერნობილარი“ ქალაქი საქართველოში მეორე არ იყო. არა მხოლოდ მოშლილი და დანგრეული ინფრასტრუქტურა, ხალხის სახეები, სრული უმოძრაობა და უმოქმედობა ადამიანს თვითმკვლელობამდე მიიყვანდა. ჩემი რაჭველი სიძე, ვაკო ვაჩაძე ამბობდა ხოლმე, ტყიბულს რომ გავივლი, თუ საჭესთან ვარ, თვალს ვხუჭავ, თუ გვერდით ვზივარ, ვიძინებო. ასეთი დანყველილი და მოუვლელი ადგილი ზესტაფონიც კი არ იყო შევარდნაძის მმართველობის ხანაში.
 თვითმმართველ ქალაქებად გამოცხადების შემდეგ, ტყიბულის მოსახლეობამ მცირე რეფერენდუმით ჩაატარა და მერად ზედმეტად სოციალისტური მიდრეკილებების მქონე ადამიანი, ტატო შვანგირაძე აირჩია. გამეგო, რომ ტყიბულში ისეთ ნაუსოციოლისტებდნენ, ბანგლადეშსა და შრი-ლანკას არ დაესიზმრებო. მაღალი გამავლობის მანქანა შეიძლება რომელიმე რადიკალმა საღებავით დასვაროს ან ძვირფას ტელეფონზე მოსაუბრე კლიენტს ბარში ცუდი ლუდი დაუსხანო და ეგეთები.
 შესაბამისად მოვემზადე. ოთოს შევუთანხმდი, ერთად წავიდეთ და ის სამდღიანი „გამოსასწორებელი ტური“ ერთად მოვიხადოთ-მეთქი (სინამდვილეში, ოთო ერთკვირიანში გაუშვეს, მე — სამდღიანში).
 ამ სადამსჯელო ამბებს და „რეაბილიტაციის ოთახს“, როგორც ამ საზოგადოებრივ გამოსასწორებელი ეძახდნენ, თავისი უპირატესობები ჰქონდა. ქართველი კაცი რომ წვრილმანი დანაშაულის ჩადენას ვერ გადაეჩვენებო, ძალის კუდის ოპერიდანაა და ხელისუფლებამაც, რაღა ჩვენ ხარჯზე ვაცხოვროთო — მიგისჯიდნენ 1,3,7 დღიან ან იშვიათად 1 თვიან „რეაბილიტაციის ოთახს“ და ტყიბულის
 ხომ უნდა მენთხია?!).
 პანსიონატში რუსი გოგონები აყვაროთ, ექსტრა ლუქსი ოთახი ვიქირაოთ და 3-2 ზე შევუბეროთო. კომბინაციები გამიგია 3-3-ზე, 1-3-ზე, 6-3-ზე, მაგრამ ეს 3-2-ზე რა გამოგონება იყო, არ ვიცი. ოთარას მეტი ამას ახსნას ვერავინ მოუძებინდა. არც გოგონების ხალხის მქონდა და არც აბაზანების. თავის დასჯის მიზნით, გადაწყვიტე, ბარემ მშრალი შიმშილობა გამომეცხადებინა და სამი დღე მხოლოდ მენერა, სანამ გულწაუსულს არ მომასულიერებდნენ.
 ტყიბულის გადასახვევთან მაყვლის პლანტაციები ჩამსკრებივლიყო. ტყიბულმა განვითარების ეს ხაზი აირჩია. მაყვალი ადვილი მოსაყვანი კულტურაა, კარგად მოვლის შემთხვევაში ღამაზადაც ყვავის და რაც მთავარია — შემოსავლიანია. თავის დროზე წნორედ ოთო არასამთავრობო ორგანიზაცია „მომაველის სოფელი“ იყო ერთ-ერთი პირველი პიონერი, ვინც მაყვლის პლანტაციების ჯიშები მოამრავლა საქართველოში.
 მოკლედ, ჩავედით. ვისაც ტყიბული არ უნახავს, მათთვის შემიძლია მოკლედ აღვწერო, რა ქალაქია ტყიბული და რა ხალხი ცხოვრობს ამჟამად იქ:
 ტყიბული დასავლეთ საქართველოს სტანდარტული ქალაქია ცხელი ზაფხულითა და ზომიერი ზამთრით. ვისაც ძველი ტყიბული ახსოვს, იქიდან თითქმის აღარაფერი დარჩა, ან რა იყო დასატოვებელი — არქიტექტურა იქ არ ყვავოდა და მრეწველობა ხომ კომუნისტების დაშლამდე მოკვდა.
 განახლებული ქალაქი ძალიან ეკლექტური გამოვიდა — გარეუბნები ეკოლოგიური სახლებითა და ცენტრი, სადაც ერთი საცხოვრებელი სახლი არ დგას და სამრეწველო უბნებია გაშენებული. ალბათ იკითხავს ჭკვიანი ადამიანი, რომელმა უტყინომ გააშენა ქალაქის ცენტრში ფაბრიკა-ქარხნებიო, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველა ეს სამრეწველო ობიექტი ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარების სფეროში მუშაობს, შეიძლება ტყიბულის ცენტრი მის გარეუბნებზე უფრო სუფთა ეკოლოგიისა იყოს. სახელმწიფო პროგრამა, რომელიც სპეციალურად ამ ქალაქისთვის დაინერა, სანამუშო აღმოჩნდა ბევრი განვითარებული ქვეყნებისთვისაც. მხოლოდ თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული მშენებლობა
დასასრული მე-12 გვერდზე



ჯუანშერ ტიკარაძე

ზამთარი. ნისლი. ღამე. ქალაქი

1. მაგრამ ლაგდება ბოლოს მაინც ყველაფერი, ისე კობტად ლაგდება, როგორც პისტოლეტის მჭიდში ლაგდება და მშვიდად თვლემენ ჯერაც უწყინარი ტყვიები და წინასწარ მოხაზულ კალაპოტს უბრუნდება ყოველივე და თავისას ირგებს მაინც ყველა — ვინ — ძვირფას კოსტუმს ან გიჟის პერანგს და ვინაც კიდეც — მათხოვრის ფლასებს და ვერაუშხდარ ბედისწერის ბამბასავით რობლ და არნივის კლანჭებივით მტკიცე არტახებში ყურდება საბოლოოდ ეს ამბოხი, ეს ფორიაქი, ეს ფუსფუსი, ეს ფაციფუსი, ეს წყურვილი, ეს ღმერთებისთვის წართმეული ცეცხლი ჩვენ შიგნით, ეს სინანული, ეს მოლანდებული მოქუფრული ცა და ამ ცაში ეს არასდროს არსებული ვარსკვლავები...

ეს ზამთრის ნისლში სათუთად გამოკრული ღამის ქალაქი, თითქოს შესაქმელად გადანახული მწერი ობობას აბლაბუდაში.

2. საკუთარი სულის დილეგებიდან ვეზიდები მე სიტყვებს, სიტყვებს და კიდეც სიტყვებს არყოფნის ნისლისგან ყოფიერის გამოსაძერწად.

3. ზამთარი. ნისლი. ღამე. ქალაქი. დღეებო, გზედავთ, როგორ იმსხვრევით. ამძუნებელი ცხადით დალაქილ სინდისს კორტნიან მორცხვი სიზმრები. და სინანულიც იძვრის, იზრდება, თითქოს გაფლანგულ დროთა ქარად ქრის... ნახატი ავღრით ნამიზეზები: ზამთარი, ნისლი, ღამე, ქალაქი.

4. აქა და იქ, აქა და იქ, აქა და იქ ნისლში ფეთქავენ გადღაბნილი ლამპიონები — ყვითელი ლაქები გიგანტური პითონის ტანზე.

წვიმს

თემურ კილაძის ხსოვნას

1. წვიმა დაიძრა კორპუსების მაღალი სართულებისკენ ახალდანაშული ასფალტის ნოტიო ოხშივარი და წამისწამით, წამისწამით, წარმავლობის კაემანზე დაგეშილ წამით (სადღაც, სადაგი ფიქრების მიღმა) თიხად ყოფნისას შეცნობილი სიმარტოვე წამოგვაგონდა... სივრცის და ჟამის გაგლეჯილ ქიტონს ულამბავს წვიმა მოთენითლ ქალაქს.

2. ქალაქი ამ ქალაქში სხვა ქალაქიცაა, უკვე აღარარსებული ქალაქი.

მე ვხედავ იმ სხვა ქალაქს ამ ქალაქშიც: მე ვხედავ სხვა დღეებს გასათენებელ ღამეებში, მე ვხედავ კონკას და ტრამვაის, ეტლებს და ჩარდახებს თანამედროვე ტრანსპორტით გაძედილ ქუჩებში, მე ვხედავ უკვე დანგრეულ სახლებს ახალაგებულ შენობებში, მე ვხედავ ჩაძირულ კუნძულს ჯებირებში მომწყვდეული მდინარის მღვრიე ტალღებში და მე ვხედავ ნასულ ადამიანებს ახლა მიმავალი ადამიანების ქვაფენილზე დაცემულ აჩრდილებში.

3. აჩრდილები ხავსმოდებული ნანგრევები. სურო. ყორნები. მიხრწნილი ბალი. ნაბიჯები. ქენჯნა — გიურზა. უკან: უმწეო სინანული სევდის მომრევი. წინ: განწირული სურვილებით მოკრწყლული გზა.

4. გზა ყველა გზა (მ)არადისობაში მიდის.

5. მარადისობა მეცეკვე, სიკვდილო, სიცოცხლის ცეკვა: წრეზე, წრეზე, თითქოს ბავშვის უმწიფარი ხელით მოხაზულ ოკრობოკრო წრეზე ვატრიალოთ ყოველთა ხილულთა უსასრულოდ და ყოველთა უხილავთა ეს სამყარო — და შენ — შენ არ ხარ... მაგიური შექმნილი. შენ არ ხარ... არ ხარ...

6. სიტყვა ის იტევს ჯერარდაბადებული პლანეტების მუხტს თავის წიაღში ან შეუძლია შედეგებული სისხლი დაძრას 96 საათის წინ გარდაცვლილი ადამიანის ძარღვებში. ის ხან ჩანასახის გულივით ბორგავს არარსის გარსში გამოკრული, ხან უშფოთველად თვლემს დასანერი ლექსების ტაეპებში როგორც ასახდენი სიზმარი ბედისწერის ქოტურ წარმოსახვებში, ვიდრე დაგესიზმრება; როგორც უფერული და თოთო ათინათი კუნაპეტ ღამეში, ვიდრე ხასხასა დღედ გათენდება.

7. დღე ჩვენ გავრბივართ გავრბივართ გავრბივართ გავრბივართ გავრბივართ ჩვენ გავრბივართ ბედნიერების მოლანდებულ სუნს ადევნებულები როგორც საცდელი ვირთხები ლაბორატორიის მტრულ ლაბირინთში

8. ლაბირინთი ჩამანყდა ხელში შენი ნაჩუქარი ძაფი, არიადნე, და ჩაქრა ბაცი მოლოდინი აუხდენელის, დღეების ბინდში უილაჯოდ რომ ციმციმებდა. ჩამანყდა ხელში შენი ნაჩუქარი ძაფი, არიადნე... პირდაპირ? მარცხნივ? — მარჩიელობს ნებელობა, ტანში გამჯდარი ინსტინქტების და ჩვევების სამანებში გამომწყვდეული.

ჩამანყდა ხელში შენი ნაჩუქარი ძაფი, არიადნე, არიადნე, მომანვდინე ხმა, ტალანებში მხარნაქცევი დავბორიალობ და მავინყდება, ვინ ვიყავი, არიადნე, სად მივდიოდი.

ჩამანყდა ხელში შენი ნაჩუქარი ძაფი, არიადნე, და ჩემთვის უხილავი ცა ბავშვობაში აფრენილი ყვავების გუნდმა გადაფარა და შორეული მუსიკის სუსხმა გაუმკვრივა მთვარეს კერტები.

ჩამანყდა ხელში შენი ნაჩუქარი ძაფი, არიადნე... აქირქილდა ბედისწერის მთვრალი ნილაბი — უკულმა არეკლილი მორჩილ სარკეში.

9. სარკე ,აილძუემ ავხანად ცასივ ,სვახანაიად ცასბელავთ სივათ იშბელავთ სმერ .ადნოქჰ მორ ედმაბედაბად

10. დაბადება მერე თანდათან იცრიცება რძისფერი ბანგი და ბეჩავ იერემოს ჯვალოსავით იფხრინება ადგილ-ადგილ და აი, ატანს, უკვე ატანს გარესენელის მყარი ნათელი — ჰო, ნელა-ნელა იფანტება ნისლი და ნელა-ნელა უჩინარდება ვარსკვლავების შემქმნელ სიცარიელეში და თითქოს ხელახლა ჩნდება ეს ყველაფერი, რაც ისედაც იყო ყოველთვის და რადგან იყო, ყოველთვისაც იქნება: ანძები, თავისფერი გორაკები, ქუჩები, შენობები, ეზოები, ტრამვაის გაუქმებული ლიანდაგი, აივნებზე გადმოფენილი ხალიჩები, ღამლამობით მდინარეში არეკლილი ლამპიონები, ეკლესიები, ჩიხი, ხიდები, გისოსებიანი ფანჯრები, პატარა სკვერი სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის ეზოში, 32 წლის წინ ხეზე ჯიბის დანით ამოკვეთილი ისარგაცილი გული და არამეცნიერული ფორმულა მის ქვეშ — ჯ+მ=ს, ციხესიმაგრის ნანგრევები, მანანწალა ძაღლები, სასაფლაოს კიპარისები, სტადიონის დაფერებული ტრობუნები, შუქნიშნები, შესახვევები, სარეკლამო აბრები, მანქანები, მანქანები, მანქანები, მანქანები, კიდეც მანქანები, ქოლგებსა და კაპუშონებში შეყუჟული აჩქარებული გამველეები, გუბებში მოჭყაპუნე ბიჭუნები და გოგონა ცისკენ აშვერილი გაკნაჭული მკლავებით, ცისარტყელაგამოვლილი წვეთები ციციქნა პეშეში რომ შეაგროვოს...

წვიმს ამ ქალაქში და უხილავი ხელი წარმავალსა და წარუვალს, სასრულსა და უსასრულოს ბანქოს ქალაღღვივით ურევს ერთმანეთში, ჭრის და არიგებს. წვიმს. წვიმს. წვიმს.

წესი №1

ბრძოლის დაშვებლობის შესახებ დათვთან ბრძოლა არ შეიძლება, დათვი უბრძოლველადაც მოგერევა თუ მაინც შეებრძოლები, დათვი გაბრაზდება და სხვებსაც მოერევა.

წესი №2

შეშფოთების შესახებ შეშფოთების გამოსახატავად რეკომენდებულია ქვემოთ ჩამოთვლილი ზედსართავი სახელები, ზმნიზედები და მეტყველების სხვ. ნაწილები: ღრმა, უძირო და უნაპირო ყოვლისმომცველი გაუგონარი სულით ხორცამდე და თხემიდან ტერფამდე უაღრესად, უკიდურესად და უ... უ... უ...

(სიტყვით ვერ გამოხატავ).
დიახ, მეც აგრეთვე, რამეთუ
როგორც არაერთხელ აღვნიშნე და კვლავაც
გავიმეორებ:
ბრაგ-ბრუგ (მკერდზე მუშტის დაშენის ხმა),
ამჯერად მართლაც რომ
დედა მომიკვდეს
ა.შ.

ნესი №3

მიტევების შესახებ

დათვის ყველაფერი მიეტევება.
დათვის ისიც მიეტევება,
რაც დათვისაც კი არ მიეტევება,
იმითომ, რომ დათვია.

ნესი №4

LGBT-ების შესახებ

ქისა იშიშვლე, რაინდო, სინმინდის დასაცავად!
თუ საპატარძლოდ მოკაზმული მამაკაცი
პადრეს კურთხევით ვერ შეჭფიცავს თავის გულისწორს,
რომ საკუთარი უკანალი მას მიუძღვნა მან საუკუნოდ,
ვიდრე სიკვდილი ან სხვა კაცი არ დააშორებთ,
თუ შენი რასის იშვიათი ეგზემპლარები
დედაქალაქის მთავარ გამზირზე ვერ გაფენენ
წინა ღამით ნასექსარ ნიფხვებს
ან არაიშვიათი გამვლელები
მათ ჩაცმულობას აღმაცერად თუ გახედავენ
და ბანჯგვლიანი რეტროგრადებიც
უბოდიშოდ გაქელავენ
ველის შროშანებს და ექვსფერ აღმებს,
დათვისაც წაულია მაშინ სუყველა —
სათითაოდ და კოლექტიურადაც.

ნესი №5

**ისევ შეშფოთების შესახებ
(პირველკლასელთათვის)**

შ ე შ ფ ო თ ე ბ ა
შ ე მ - ფ ო - თ ე - ბ ა
შ ე შ ფ ო თ ე ბ ა
შ



შეშა ტყეშია. შანშე ტყეში დათვის შეეჩეხა.
დათვი ტყეში საშიშია. შანშე შეშინდა.
დათვმა შანშე შეჭამა.
აშშ შეშფოთებულია. ევროკავშირიც. შენ აღშფოთდი.
ეჰ, შე შ, შენა.

ნესი №6

მედიტაციის შესახებ

უნდა მოადუნო ყველა კუნთი
და გათიშო გონება,
როცა დათვი შენ შეჭმასაც დააპირებს.
იქნებ ასე ბოლომდე არ შეგჭამოს
და შენგან რამე მაინც დარჩეს.
ვთქვათ,
კეთილი მოგონება.

ნესი №7

ვაჭრობის შესახებ

დათვი შემით მდიდარ ტყეში ბინადრობს,
დათვის ტყეში ბევრი, ბევრი, ბევრი შეშაა,
დათვს ტყეში ნაჯახი სჭირდება,
დათვი თავის მზეს ფიცავს,
რომ ნაჯახს მხოლოდ შეშის დასაჩეხად გამოიყენებს,
დათვი ფიცის გატეხვას არ იკადრებს,
არა,
არ იკადრებს.

ნესი №8

**გაგიკვირდებათ და, კვლავაც შეშფოთების შესახებ
(ამჯერად, აბიტურიენტთათვის)**

მხ.რ. მრ.რ.
მე შეშფოთდი ჩვენ შეშფოთდით
შენ შეშფოთდი თქვენ შეშფოთდით
მას ჰკიდია მათ ატომური ბომბი აქვთ

ნესი №9

გრძელვადიანი დოქტრინის შესახებ

დათვი კუთხეში არ უნდა მიიმწყვდიო
კუთხეში მიმწყვდეული დათვი
თავის ნებზე მიშვებულ დათვზე უარესია

დათვი უნდა მოთაფლო
დათვს თითი უნდა დაუქნიო
და მოფერებით უთხრა: თუუთ!
დათვს უყვარს მოფერება
განსაკუთრებით — ძუ დათვს
ოოო

სიკვდილი
პეპლის ფრთების ერთი აქნევით უმცროსია
სიცოცხლეზე.

როგორც სოფლის სამკითხველოს
გაცრეცილი და უხიაკი გამგე,
ის სასოებით ალაგებს თავ-თავიანთ ადგილებზე
ნესტიანი ლანდებით დაჭმულ ხის დარბაზში
უდიერად მიგდებულ წიგნებს.

ნაცარქაქიას ჩანაწერები

მთელი იანვარი თავს ვიმტვრევდი
დეკემბერში დასმულ შეკითხვებზე...

სულ გადავქექე,
რაც კი იყო ტვინში ნაცარი.

*
თებერვლის ეჭვებს ქარები და თოვლ-ჭყაპი მოჰყვა.
მომაკვდავი დევივით ბორგავდა ქალაქი
აშმორებულ სარეცელზე,
ნისლის დაგლეჯილი საბანი
ქონმოდებულ და მოჩვარულ ტანს ვერ უმაღავდა.

*
მოლანდებული ჟრუანტელის მოლოდინში
მოვიდა და წავიდა მარტი.

*
აპრილს კი ჯერაც გაუშლელი სინანულის
სურნელი ჰქონდა.
მე მბუჭტავ ნაკვერჩხლებში ვხედავდი ჩამწვარ იმედებს;
მე გამოგონილ მოგონებებში ვქექავდი
არარსებულ ქუჩებს, ჩიხებს, შესახვევებს;
მე ბუხრის წინ მოსაყალი თავგადასავლების
აღმური მაბრუებდა და თვლემას მგვრიდა;
მე...

*
ამასობაში შეუმჩნევლად შეეპარა მაისი ქედებს.
ფანჯრიდან მოჩანდა
საღამოს თქეშში აივნის ქვეშ შეყუჟული შეყვარებულები.
ელვა დროდადრო ანათებდა იმათ ბაგეებს.
მეც გამახსენდი.

*
მერე ცელის ხმა გავიგონე.
არა,
ჯერ დამესიზმრა, რომ დავფრინავდი.
გიგანტურ მატლებს გამოეღრღნათ დაქანცული ცა,
ჩაუდენელი ცოდვების ობი ედო
ფუტურო უსასრულობას ნაფარებულ
ჯანღისფერ მერქანს.

ქვემოთ,
სადამდისაც მზერა გადასწვდებოდა —
და უფრო იქითაც —
ყველგან,
მთელ დედამიწაზე,
ქალაქების, მთებისა და ოკეანეების მაგივრად
(როგორც ცირცეს გრძნეული ბანგი),
დონდლო,
უნდილი
და ულმობელი ჭაობი ბუყბუყებდა,
ხოლო მე კი
უკვე ვეღარ ვიმაგრებდი
დამძიმებულ ტანს
ჯალათის ხელებივით ხემშე ჰაერში
და არამხდარი წინათგრძნობის ცრუ სიმშვიდეში
ილბლის მწერლის უზრუნველი თანდათანობით
სამყაროს ჩასახვამდე მომლოდინე ჭაობისკენ
ვეშვებოდი,
ვეშვებოდი,
ვეშვებოდი,
ვეშვებოდი...

რომ გამელვდია,
სიზმარ-ცხადის არეულ ნაგლეჯებში,
გულის მიშნეულ ბაგაბუგში,
ივნისის ჩახუთულ ღამეში
დიდხანს,
დიდხანს ჩამესმოდა ცელის უცოდველი ხმა,
ბალახის ძვლებზე მოხვედრისას რომ გამოსცემდა.

*
ხოლო ივნისის ტყუპისცალი და
გაცილებით გრილი გამოდგა.
ნაცარიც ბევრი იყო
და დროც,
ნაცრის საქექად.

*
აგვისტო, აგვისტო —
ზედ ქორწილის წინ
ქალწულობანართმეული პატარძალი...
მდინარე ჰგავდა
კორპუსების ეკალ-ბარდებს შერჩენილ ფატას,
სისხლით დანიწკლული სიტყვები ლაგდებოდნენ
ჩამავალი მზის სავალ სტრიქონებზე
(მე დევის ზარდახშის კედლებზე
ლალის თვლების ათინათი მომაგონდა)
და ბედისწერის ჩახუთულ ეჭვებში ჩასახული
უხილავი ტალღები
ეხეთქებოდნენ არაფრიდან ამოზრდილ ქალაქს.

*
უფსკრული?
არა.
უფრო ძვიდე მაგ უფსკრულია:
გამოაჩინა სექტემბერმა
ამძალეზული ოცნებებით დასერილი ჭრილობები.

მე მითრევდა
სიკვდილამდე კიდევ ბევრჯერ სათქმელი
ფშუტე სიტყვების
შეგნებული განურჩევლობა,
მე გულისგარეთ ვისმენდი
ბუხრის წინ მოყოლილი შორეული ომების ამბებს,
მე ეჭვების დუმის მინდობილი ველოდი
გასათენებელ ღამეებს
სისხლნაკლული
დღეების ფითრში,
მე...

*
ზედ ჩემს ფანჯრებთან დაიბადა და
მოკვდა ოქტომბერი —
დაბზარულ სარკეში ჩახედეს ერთმანეთს
წარმავალმა და წარუვალმა:
ერთმა სევდის აბლაბუდა დაქსელა სულში,
მეორემ წამში შეიმწყვდია ყველა სხვა წამი —
მოსანყენი, მოსანყენი და კიდევ უფრო მოსანყენი.

*
ნათხიდან ახალამოღებული ყველივით
წურწურით გაუვიდა ნოემბერს ყვითელი ხსენი,
დაცვნილ ფოთლებში ეგდო
შინიდან გაგდებული
კბილბდამძვრალი და მუცელგამობერილი
ქალაქი
და მოახლოებული ზამთრის შიშით დაძაბუნებულ მზეზე
გაქუცული ბალნიდან ადგილ-ადგილ
წითლად ამოსაზიზღრებულ კანს ილოკავდა.
მთელი თვე თვლემდა ბედისწერაში
მონადირეების ტყვიას ამცდარი ვეფხვი,
მდორე, დამყოლი და მდუმარე დღეების მეხრე
აჩემებულ უამურ მოტივს
დუდღუნებდა ცხვირში მთელი თვე
და მეც მთელი თვე
გარდასაცვლელად დასაბადებელ ზმანებებში
ვიზმორებოდი,
ნაცრის ქექვაც კი მეზარებოდა.

*
დეკემბერის ბოლოსკენ კი როგორღაც
ერთბაშად გამოეცოცხლდი.
მასხოვს,
ნაცარში ახალთახალ ოცნებებს ვჩხრეკდი,
რძალმა შეშა რომ შეუკეთა მინავლულ ბუხარს.
მე ვუყურებდი,
როგორ ცოცხლდებოდა ხის ამომშრალ ძარღვებში
მენამული სიკვდილი,
ხოლო ჩემ შიგნით გარდასული მომავლის მთვარე
ლოდივით ეგდო
ვარსკვლავებით აჭედო კართან
და მერე უცებ —
თითქოს ნაღვერდლიდან
ამობურბურებულ ალს ამოჰყვაო —
მეხსიერების გაჭვარტლულ კედლებზე ალიცილიცდა
რომელიღაც უსახელო პოეტის

დიდი ხნის წინათ ჩამწვარი სტრიქონები
და ადამიანებზე დღეგრძელმა სიტყვებმა
სამყაროს ბინდში
კოცონისკენ გაფარფატებული პეპლების ფრთების
უხილავი კვალი დატოვეს:
ჩვენც ეს ვართ-მეთქი, ღმერთო ჩემო,
სხვა არაფერი,
ბუხარში ცეცხლის შესანახად შეყრილი შეშა,
მხრჩოლავი კვამლით მობლანდული მოლანდებები...
ვინ,
ვინ მოყვება
სხვა ბუხრის წინ
ჩვენს ზღაპარს,
როცა

კაცობრიობის ნაცარში ნაჩხრეკს
ზედ წაყრილი ღველფი და ფერფლი გადაფარავს?



ჯუანშერ ტიკარაძე

ივლისის ნოქტიურნი

მოიპარება ქუჩიდან ხვატი,
ასფალტს ვეფხვივით ფრთხილად აბიჯებს.
ეჭვების მხუთრი ძარღვებშიც ატანს,
მჭახე ყრანტალი გააქვთ ნაბიჭვრებს.

ხელზე ჩაბლაუჭებული გადაწყვეთ
დაპატარავებული დედაჩემი.
სიზმრის თავბრუდამხვევი სიცხადით
ირევიან ერთმანეთში
აღამიანები, მანქანები, მოგონებები,
მიცვალებულები.
ჯერ არ ჩამოხვლებულა,
მაგრამ უკვე ინთებიან ლამპიონები
აჩქარებული დღეების ბინდში.

ზამთრისპირისკან

ლამპიონებმა დანინკლეს ნისლი,
ბინდს უამური გემო გამოჰყვა.
ქუჩის გვენა ოთახშიც ისმის,
სულს მგლები ფლეთენ ქუჩის გამოღმა.
არ ცხრება ჟინი, ყრუ და უცები,
სასინანულოდ სინდისს წვეული...
ქარს შეხიზვნიან ბედის ფურცლები,
სხვა ცხოვრებიდან ამოხეული.

მამა. ჩრდილში მაინც სუსხია

შემოდგომის მზე. უკანასკნელი
თბილი დღე ამ წელს. ქალაქი —
ზოოპარკის მაძლარი მგელი — მოკუნტული თვლემს.
მე ვიღვენთები მამაჩემის საფლავს მიმხმარ ბალახებში,
ხოლო
გრძელი და უძირო ღამეები შეყუჟულან
ფოთლებმკვდარი ხეების ჩრდილში...
თბილა.

ნამით, ნამით

მამაჩემის ლანდს მოვკრავ ხოლმე თვალს —
ნამით, ნამით, ნამის მეთათსედით —
ხან მალაზიის მაცდურ ვიტრინებში —
ნამით, ნამით, ნამის მეთათსედით —
ხან მეტროს ვაგონის დანდგარით
დარწეულ ფანჯრებში —
ნამით, ნამით, ნამის მეთათსედით —
ხანაც შუქნიშანთან შეჩერებული მანქანების
ჩამუქებულ მინებში...
მერე კი,
სასწაულის ურწმუნო მოლოდინით შემცბარი
რომ შევაცქერდები,
ისევ ეს მზერაშეჩვეული მე ვხედები.



ირმა ბერიძე

მატარებლის ვაგონში ხდება ეს ამბავი
ორი დღის წინ.

ვუყურეთ დიდხანს,
ვათვალეირეთ ერთმანეთი,
ფეხები, მხრები, ტუჩები, სახე.

შევეხეთ კიდეც,
ვაკოცეთ კიდეც,
დავწეეთ კიდეც.
ვიჩურჩულეთ, აი, ასე:
— ჰო, ჩემო ტკბილო...
— ჰო...
— ჰო...

...
ეს ერთი ნამი,
ერთი შერევა,
ხშირად უფრო მართალია
ვიდრე, რასაც მერე იცხოვრებ.

არ ჩავსულვარ გაჩერებაზე, სადაც უნდა ჩავსულიყავი,
არც მომდევნოზე.
არც იმის შემდეგ.

ის კი წამოდგა.
რომელიღაც სადგურში მძიმედ,
წელში მოხრილი გავიდა კარში.
არ მოუხედავს.

მიდიოდა კაცი სახლისკენ,
თავის თავისკენ.
თავის ქალისკენ...

— მშვიდობით, კაცო.
უსახელო კაცო,
მშვიდობით...

რომ მხედავდე,
რომ მეხებოდე,
რომ გესმოდეს,
როგორ ჩუმად,
ლოცვასავით ვამბობ შენს სახელს,
რომ მითვლიდე გულისფეთქვას,
ხალეებს — კისერზე,
რომ იმწყვედედე მუჭებში პეპლებს
გაფრენილებს ჩემი ტანიდან...
შემიყვარებდი!

არ არსებობს
უფრო გრძელი უძილობა,
უფრო დიდი მარტობა,

უფრო მძიმე ეპიტემია,
უფრო წელი სიკვდილი,
ვიდრე სიყვარული!

ერთი სიყვარულის შესახებ

აქ მარხია ჩვენი სიყვარული
ორი კვირის ახალშობილი,
სახელდაურქმეველი,
თავდაუჯერებელი,
შიშის ბამბაზიებში გამოკრული,
შიშადქცეული
ყველა შენი წასვლის შემდეგ:
— რომ არ დაბრუნდეს!
— რომ არ დაბრუნდეს!
— რომ არ დაბრუნდეს!

აბა, როგორ იცოცხლებდა,
როგორ გაძლებდა...
ვარდის შემჭკნარი ფურცლებივით
გასცვივდა კანი
და შიგ თვალელები ჩამეყარა...

აი, აქ არის მისი საფლავი —
ჩემი თვალელების ბოლოებისკენ.

„რამეთუ დღე და ღამე დამიმძიმდა
ჩემ ზედა ხელი შენი“
(ფსალმ. 31-4)

ნეტავი იმას, ვინც მსუბუქად, ლალად მიდის,
ვარდს დაყნოსავს — ნამდვილია ვარდის სურნელი,
ნამდვილია მის თეთრ მკერდზე კაცის ხელები,
სუყველაფერი ნამდვილია!
იმას, ვისთვისაც დილის ყავა სიცოცხლეა,
სიგარეტი ყავაზე — ცხონება,
ვინც იხანგრძლივებს ყოფნის გემოს,
ვინც ამ ყოფნისთვის დაიბადა,
ვისაც არასდროს შეუსუნთქავს გლაკახთა მტვერი,
შემუსვრილობის მომწარო თაფლში
გულის ყუა არ ჩაუნია,
ვისთვისაც სიკვდილს არასოდეს შეუვლია მინისფერი,
ბრძენი თვალეები,
ვინც შეიფარეს ანგელოზებმა ლურჯი ფრთების ქვეშ
ვედრების და ლოცვის გარეშე,
ვისი ვარსკვლავიც ღამის ცაზე კამარას კრავს,
ტკბილად ჟიჟიკებს...

ნეტავი იმას,
ვინც სინანულით ჩამომდნარ ძვლებს
ვინრო გზებზე კი არ მიათრევს,
მსუბუქად მიდის...

გაგრძელება

— ინსტიტუტის მუშაობით კმაყოფილი ვარ... რა გითხრათ... წელიწადზე მეტია... მე თქვენთან ხელცარიელი არ მოვსულ- ვარ.

— რატომ არ გვადევნებ კისელს? — ამოისროლა უკბილო ასტრონომმა, — ფაღარათს ვერაფერი მოუხერხებ. თქვენი ხელქვეითები შეუგნებლები არიან...

ასურასტანს არ უპასუხია, საქალაქე გახსნა.

— ბატონო, მე ბევრს ვეცადე და მივალნი იმას, რისთვისაც ამდენხანს ვიბრძოდი. შაითანბაზარი იქნება განათლებული ქვეყანა. ორშაბათიდან ჩვენს ქალაქში გაიხსნება უნივერსიტეტი...

ხმა არავის ამოუღია. ვერავინ მიხვდა, რაზე ლაპარაკობდა საიდუმლო მრჩეველი.

— დიახ, — ხმას აუნია ასურასტანმა და საქალაქედან ფურცელი ამოაძვრინა, — ჩვენი ძველი უნივერსიტეტის შენობა კვლავინდებურად გადაეცემა მეცნიერებს და ახალგაზრდობას. ორშაბათიდან დაიწყება მზადება მისაღები გამოცდებისთვის. რექტორად, ქვეყნის ხელმძღვანელობის საერთო თათბირით, დანიშნულია ბატონი ვალთანგ ალათანგი, რომელიც ბევრს კი მეჩხუბება, მაგრამ მალე ნამდვილი მუშაობა მოუწევს. აქვეა იმათი სია, ვისაც აკადემიკოსის ნოდება მიენიჭა, ვინც პროფესორი შეიქნა. თქვენც, მუსიე არდამირ, უქნარობის მიუხედავად, ორშაბათიდან პროფესორი ხართ და კათედრა გიყრიათ. აქაური ბიბლიოთეკა ამ წუთიდან არის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ამ შენობაში გადმოვა ციხე და ძებნა გამოტყვის სამსახურის მთავარი განყოფილებები. უცხოეთიდან მოვა წიგნები და სამეცნიერო ჟურნალები. ასევე, სასწავლოდ აუცილებელი დანადგარები.

ასურასტანი მძიმედ წამოიმართა და გაშტერებულ ტუსალებს ძლივსძლივობით გაუღიმა:

— თავისუფალი ხართ, ბატონებო. ოღონდ, ერთის პირობით, ორშაბათიდან ყველანი სამუშაო ადგილას უნდა იყოთ. ბოლოსდაბოლოს, თქვენ ხელფასი გაქვთ, ბატონ ალათანგს კი ერთი ეტილიც გამოვუყავით.

სიჩუმე იყო და უცებ რომელიღაც ბერიკაცმა გაუდიამუსი წამოიწყო დამზრალი, ბებრული ხმით და მადლობაც კი გაისმა.

ილია აბულასანი სასადილოს კართან იდგა, საგანგებო მრჩეველმა რომ ჩაუარა გვერდით, ხელი გაუწოდა და უთხრა:

— ღმერთმა აღარ შეგვახვედროს ერთმანეთს.

აბულასანი დაიბნა.

— თქვენ გგონიათ, რომ იმქვეყნად მივემგზავრები? — ჩაეკითხა ასურასტანი.

— რა ჯანდაბისთვის მოგვპარეთ ამდენი წელიწადი? — ნაიბურტყუნა აბულასანმა.

— არა, არა, — თქვა რატომღაც პოლკოვნიკმა და გამოიშინა.

აბულასანი თავის ოთახში ავარდა, ქალაქელები ჩაიტენა უბეში, დაკემსილნიფხვებს მოავლო ხელი და გიჟივით დაეშვა კიბეზე.

სადამოს პირზე გამოიარა აფსუსის უბანი და მოედნისკენ წამოვიდა. იქ, სადაც შემდგომ გედამბარელის ძველი აღიშარ-თა, მაშინ საჭიდაო გაეხსნათ. ლუდხანებთან შემთვრალი ხალხი იპურჭყებოდა. ბიჭები კოჭებს აგორებდნენ. საჭიდაოს ბრბო შემოსალტვოდა და გვარიანი ხმაურიც იყო, ვაშლიანელები ეჯიბრებოდნენ ჭერმიჭალელებს.

— პირველდამრტყმელი ტურასაული და მეცხრე კატეგორიის ვაშლიანელი პეფუა. პირველი მოგებული აქ ოცდაორი დამახება, მეორე — ცხრაი. ორივე ჯილდოს ელოდება უფროსობისგანა... — მოისმოდა საჭიდაოდან.

მარცხნივ მედროვეები საუბრობდნენ ტკბილხმოვნად. მგონი, ქერის გამო ჩხუბობდნენ. ძველი საფართლოს ადგილას გაჯის საამქრო გაეხსნათ, ბული მოიწვედა საჭიდაოსკენ. მის გაყოლებაზე ადრე თეატრი იყო. უფრო იქეთ, სამხედრო კლუბი, ცოტა ქვემოთ, რესტორანი ადელიადა, უფრო ქვემოთ, იტალიური სიმღერის სახლი. ახლა იქეთ აღარაფერი ჩანდა, სახლები გამოეშინათ და დახლები ჩაედგათ.

აბულასანი ქუჩას აუყვავა.

— ილია, — მოესმა უცებ და წამსვე შედგა, — ილია არა ხარ? ილუმა აბულასანი. მე მიქელ სიამე ვარ, ილია, არ გახსოვს? სადა ხარ, ილია? დღეს გამოხვედი? აჰ, ღმერთო ჩემო, აჰ... მე? მე დარაჯად ვარ ჭიდაობის სახლში. აბა, რის ლათინური? დედაჩემი მოკვდა, კი... უნივერსიტეტი? რა? ორშაბათს? მოვალ, აბა, რა... ილია, როგორ გამახარე, ილია...

ილუმამ გზა განაგძო, თან ფანჯრები-სკენ გაუბრუნდა თვალი.

ქვაბებით სავსე ფანჯრის რაფებს ათვალთვალავდა, დაბზარულშუშებიან ნავთის ლამპებს და უგერგილოდ გაკრულ გახუნებულ შპალერს. ეზოებში მოუვლელი ბერიკაცები ისხდნენ, კამათლებს აგორავებდნენ დამსკდარ დაფებზე და იქექებოდნენ. ჭებთან სათლების და დოქების რიგი განოლილიყო.

უფრო ზემოთ კი ყარა ისმაილის აღმართი იწყებოდა. ზედ კუთხეში ლუდხანა გაეხსნათ. იქაც ბლომად ხალხი შეკრ-

აკა მორჩილად

ნანერები ვარდის და გულგულისა სუმბუქი საგაზეთო სერიალი



ბილიყო. ცარიელი კათხებით ხელში იდგნენ და ელოდნენ ახალი კასრის გახსნას.

— აფრო, არაყი ჩამოიტანე, — ბრძანებდა ერთი.

— ოცლიტრიანს გაამსეფ, ბიჭო?

— მაიცა, გავსხნი და ნახამ, ეს ამდენი ხალხი ქლიავს ხო არ ელოდება...

აბულასანი ვერავის სცნობდა. მხოლოდ გრძობდა, რომ ამ ქუჩაზე მაინც ძველებური სურნელი ტრიალებდა. დანარჩენი კი, ყურსა და თვალს სჭრიდა.

სახლთან ხალხი შეჯგუფულიყო. თქმა არ უნდოდა, აქაურები იყვნენ. საქმიანად ბუტბუტებდნენ რალაცებს.

— გამარჯობათ, — დაიწყო სულელურად.

იქ მყოფებმა ზერელედ ახედ-დახედეს, რადგან თავისი საქმეც ბევრი ჰქონდათ.

მერე ერთმა დედაკაცმა მიუგო:

— დღეს და ხვალე, კვირამდე... არა, ორშაბათამდე ვაჭრობა არ იქნება. გლოვაში ვართ

აბულასანმა მხრები აიჩჩა.

— არა, მე აქ ვცხოვრობ, — სადარბაზოს კარს გახედა ცალი თვალით.

— ვინა ხარ? — ჩაეკითხა მეორე ქალი, — როდის აქეთ არ, რო აქ ცხოვრობ?

აბულასანი გაახალისა მათმა სიბრაზემ.

— დიდი ხანია, — მიუგო ლიმილით, — მე ილუმა ვარ. გახსოვთ ეგეთი?

ქალთაგან ერთ-ერთმა წამოიტრია, მეორემ კი, ვაიმეო და ზურგი აქცია მოსულს.

აბულასანმა კარს ხელი ჰკრა და შევარდა.

ამალია ხის ტახტზე ესვენა, გულხელდაკრეფილი და თითქოს შეშინებული და დაღლილი.

ყველაფერი ძველებურად იყო;

დაბზარული კედლებიც და ჟანგიან ლუმელზე შემოდგმული ქვაბიც. კედლებზე აბულასანის ძველისძველი წერილები მიეკრა ამალია შვიდკაცას, თაროზე ქალაქში გახვეული შებოლილი ქაშაყის თავები მოჩანდა, დაბრეცილი სარკმლიდან კი მთელ ქალაქს დაინახავდი.

სამოცს მიტანებული იქნებოდა უკვე, ამბობდნენ ქვემოთ, თუმცა აბულასანს არ სჯეროდა. არც იცოდა, რატომ არ სჯეროდა, გაცდენილი დრო აღარ ახსოვდა. დღისით ღამე ეგონა, ნაშუალამევს დილა. არ ტიროდა, უაზროდ მიმოდოდა მთელს სახლში, მეზობლების ოთახებში და გამუდმებით ენოდა. ცოტათი სასაცილოც კი იყო იმ დღეებში, ზედმეტად საცოდავი და მდუმარი. წვერი წამოზრდოდა და ღონემიხილი ადი-ჩამოდიოდა კიბეზე ბარბაც-ბარბაცით.

ამალია კვირას დაკრძალეს, ქუჩის წესებით და კანონებით. სიამბეგის სასაფლაოზე გაუჭრეს სამარე და იქვე ნაუქციეს ჭიქა. ქვემოთ ლუდხანა დააკეტინა

ყმანვილი კაცია, ამბობენ, სამძიმარზე ვართო.

აბულასანი წამოჯდა და ქუთუხი შემოიცვია.

ზღურბლზე იდგნენ. დამწუხრებულნი არა და გაბრაზებულნი კი ჩანდნენ. კარგად ეცვათ და ეტყობოდათ, ლაპარაკის წამოწყებას ჩქარობდნენ.

— მოზიარენი ვართ თქვენი მწუხარებისა, — თქვა ერთ-ერთმა მტკიცედ.

აბულასანმა თავი დაუქნია და სკამზე მიუთითა.

— გმირის სახელი არ დაიკარგება, — თქვა მეორემ და ლოგინზე ჩამოჯდა.

— გმადლობთ და ვინ ხართ?

— მე ვარ ნათანიელ დედალოსი, უნივერსიტეტში ვაბარებ, არიტმეტიკის საგანზე, — უპასუხა პირველმა, — ეს კი სამსონ მედავითნა.

აბულასანმა თამბაქოს გახვევა წამოიწყო.

— დიდი მადლობა, მაგრამ რა გინდათ ჩემგან?

— თანადგომა და საუკუნოვანი გამოცდილება, — ჩამოსჭრა პირველმა, — ჩვენ გახლავართ შგასის მეთაურები.

— რისა?

— შაითანბაზრის განთავისუფლების ახალგაზრდული საზოგადოების, შგასის მეთაურები. საბოლოო მიზნად ქვაბლიანის დამხობა დავისახეთ. ეს საიდუმლო საზოგადოებაა.

— ბიჭო... — გაიკვირვა აბულასანმა.

— არ დაგიმალავთ, მამაჩემი პოლკოვნიკ ასურასტანის ახლობელია. ვენათესავეებით კიდევ. მაგრამ მიმიფურთხებია ამისთვის.

მედავითნემ თავი დაიქნია.

— თქვენ ჩვენს გვერდით უნდა იყოთ. ან სიკვდილი, ან გამარჯვება.

— მე რით უნდა დაგეხმაროთ? — ხელები გაშალა აბულასანმა.

— სახელით. სახელით მაინც. თქვენ არ იცით, მაგრამ გმირი ხართ მოაზროვნე ახალგაზრდობის თვალში.

— მე ვის უნდა ვახსოვდე? — მართლა გაუკვირდა აბულასანს.

— ბატონო ილია, უჩირაღდოდ გზას ვერავინ გაგვიჩინებთ. ხალხმა ყველაფერი იცის. იყავით ჩვენი ჩირაღდანი. მოვა დრო და ჩვენ გავიმარჯვებთ. ასე სწერია შაითანბაზრის ბედის წიგნში.

— არც კი ვიცი, რა გითხრათ. მე რა შემოიღია?

— მე მესმის, რომ თქვენ არ გვენდობთ. მაგრამ დაგვერწმუნეთ, ჩვენ სანდო და თავდადებული ხალხი ვართ. იცოდეთ, რომ ჩვენ ვარსებობთ, შაითანბაზარი არ მომკვდება. ხომელ რაინდებს სიკვდილი არ უწერიათ.

მეორე დღეს აბულასანი უნივერსიტეტში წავიდა.

ერთ დროს მედიდური შენობა ახლათითქოს დაპატარავებულიყო. უნივერსიტეტი ისეთი მობერებული ჩანდა, როგორც ერთი ვინმე ციხეში განვალეზული თავადი, ოდესღაც განთქმული მიხრ-მხხრითა და სიტყვა-პასუხით.

ადრე აქ საწყობების მთავარი განმკარგულელების საუფლო იდო. დერეფნები ყუთებით გამოეტენათ, ხოლო ძველ აუდიტორიებში ნაირ-ნაირი მოხელეები ჩამსხდარიყვნენ. მთელი შაითანბაზრის ავლადიდება აქ ინახებოდა და მთავარ განმკარგულელებად ესვათ ერთი გოდორა, ქაჩალი კაცი, რომელსაც ვახრამ ვახრამიანთი ერქვა.

ამ ვახრამიანთს ჩვევად მოედო თავისი დაწესებულების განუწყვეტელი ღებვა შიგნიდან და გარედან, რამაც აქაურობა იაფი საღებავის სუნში ჩააღობო. ახლა ვახრამი რომელიღაც ვინრო კანტორაში შეეხიზნათ, საწყობი კი ქალაქკარეთ გადაეტანათ.

ილიამ იოლად იპოვა ოთახი, რომლის ფანჯრიდანაც შაშხანა გადაეყო მრავალი წლის წინათ და პირმავე ამბობებულეებს ესროდა დაუმიხნებლად.

ქვემოთ უნივერსიტეტის გაქუცული ბალი ჩანდა.

აბულასანმა ფანჯრა გამოაღო, ზედ მობჯენილ ნეკერჩხლის ტოტებს შეხედა და რაფაზე აძვრა.

ასე არ სჯობდა?

დასასრული

(გონიერი აფორი სწორედ ტყიბულში გამ-
ოიგონეს — შენობა აკუმულატორი,
რომელიც მზის ენერჯით იმუხტება
დღისით და ღამე სახლს ანათებს) ტყიბუ-
ლის ხელწერად იქცა. ყველაფერი კი იდე-
ით დაიწყო. ქვეყანამ ტყიბული გადასახა-
დებისგან თავისუფალ ზონად გამოაცხა-
და (50 წლით) და იმ ადამიანებისთვის, ვინც
რაიმე ტიპის გამოგონებაზე მუშაობდა
საინჟინერო პარობები შექმნა. მალე,
ქალაქში პირველი ფლემ თამაშების ცენ-
ტრი გაიხსნა, რომელსაც ჯერ სტრატე-
გიული კომპიუტერული თამაშების შექმ-
ნისა და დაბატენტების ცენტრი, შემდეგ კი
Begreson Corporation-მა დიდი სანარმოც
გახსნა. „სამკლავო ჯაშუში“ (რომელიც
მშობლებს შეიფარების უსაფრთხო არეალში
ყოფნას მობილური აპლიკაციისა და მარ-
ტივი სამკლავო მუშევრებით უკონ-
ტროლებდა), კომპიუტერული წნევის საზომი
აპარატი (მაღალი არტერიული წნევის
მქონე ადამიანებს ავტომატურ რეჟიმში
რომ უმონებდა წნევას) და Finance Counter-
- (მცირე ზომის ხელსაწყო, მონაცემთა
დამუშავების შედეგად ფესხაცემლის სავარ-
აუდო ცვეთის თარიღს, ბაზარზე არსებუ-
ლი პროდუქციის ანალიზს, შემოსავლების
დათვლას და ყიდვის თარიღისა და ფასის
რეკომენდაციას რომ აძლევდა მფლო-
ბელს).

რაც უნდა ბევრი ფული გიჭყაოდეს
ჯიბში და იყო პერის პილტონივით პრე-
ტენზიული, ტყიბულში მერიოტის დონის
სასტუმროში ვერ დაისვენებ. ის კი არა,
რომ მომსახურებაა ცუდი, ან სასტუმროე-
ბი არ ვარგა — მაღალი დონის სასტუმ-
როების არსებობა გაუმართლებელია სო-
ციალისტური წყობის ტიპის ქალაქში.

სარეაბილიტაციო ცენტრი, სადაც მე
და ოთო გაგვამწესეს, ახალაშენებული სან-
ატორიუმის გვერდით იყო. დაჟინებული
თხოვნის მიუხედავად, ერთ ნომერში არ
შეგვიშვეს. სიმართლე ვთქვა, მარტო ძილი
კი ისედაც მერჩინა, მაგრამ ოთოსთვის
რომ არ მენყინებინა, გულწრფელი მუ-
დარით ვთხოვე ადმინისტრატორს —
მირონით ნათესავები ვართ, თუ რამე
არატრადიციულის გეშინიათ-მეთქი. ვით-
ომ ხუმრობები ხომ ასეთ სიტუაციაში შვე-
ლის, მაგრამ არც კი გაიღიმა.

სარეაბილიტაციო ოთახში წასვლა
სადილამდე გვინებდა. ჩვენმა კურატორ-
მა საშვები მოგვცა და მკაცრად
გაგვავრთხილა, ერთ გაცდენაზეც კი Fail-
ს დაგინერთ და მეორედ ჩამოსვლა მოგინ-
ევთო. რას იზამ. რაკი ანარქიაზე უკეთესი
წყობილება არ გამოუგონიათ, დამორ-
ჩილება ერთადერთი გამოსავალი იყო.

ოთახები მზიანი, კონდიციონერული და
ხალხმრავალი დაგვხვდა. რამდენიმე კი
იჯდა თხა და გიგოსავით, მაგრამ ნაწილი
მართლა კითხულობდა. თვალი გადავა-
ვლე წიგნებს — თავი გავიმხნევე, უხერხუ-
ლიც კი იქნებოდა, ვინმეს ჩემი დაწერილი
წიგნი სჭეროდა და მე „გამოსასწორებელ“
ოთახში ვმჯდარიყავი-მეთქი.

ფანჯარასთან ადგილები არ იყო,
გასასვლელთან ოთო დაჯდა, ალბათ
ფიქრობდა, გაძრომას მოვახერხებო, მე
ოთახის ყველაზე ცუდად განათებულ ადგი-
ლას მოვკალათდი და კითხვა დავიწყე.

მასობრივი კითხვის პროცესი რიტუ-
ალურ მსხვერპლშენივას ჰგავს. რალაც
მომენტში თავბრუს ეგვივება და ძილისა და
ღვიძილის გასაყარზე ტივიტივებ, როგორც
მტვერი წყალზე. ოთოს ხელმა შემანჯღ-
რია, დარაჯი გავიცანი, ერთი კაი ბარი მი-
მასწავლა, დროის გატარება თუ გინდათ,
იქ წასვლა აჯობებსო. ვერ მივხვდი, ან
დარაჯის გაცნობა როდის მოასწრო ან
რამდენი ხანი ვთვლებდი, ნამოვდექი და
როგორც ბრუტუსი კეისარს, გავყვივი მორ-
ჩილად და ჩუმი პროტესტი.

ბარი ქალაქის იმ ნაწილში იყო, საიდ-
ანაც ხიდიტ ტბისკენ გადადიოდა.
უზარმაზარი ტერიტორია შემოე-
სახლვრათ და მხოლოდ ფეხით მოსიარუ-
ლეებისთვის იყო ბილიები და მოვლებული.
„ეს სოციალისტები ცოტა დიქტატურ-
ისკენ მიდრეკილები არიან!“ — გავიფიქრე
მაშინ იმით გაღიზიანებულმა, რომ ამ
მოკირწყლული ბილიკის ჩავლა მომიწევ-
და.

დაახლოებით ასეთი წარმომედგინა
დუქანი სადმე ზესტაფონის მისადგომებო-

ან მე-17 საუკუნის საქართველოში —
ლამაზად სადა და გემოვნებთანად არეუ-
ლი. დახლთან ოციოდე წლის სტუდენტი
იღდა და ირგვლივ შემოკრებილი გოგოე-
ბის თვალწინ კოქტილის დამზადების
დემონსტრირებას აკეთებდა, როგორც ეს
რომელიღაც ძველ ჰოლივუდურ ფილმშია.
ოთო პირდაპირ ქალებისკენ წავიდა, მე
მუსიკალურ აპარატს ვეტაკე და ჯიბში
ხურდა მოვიჩხრიკე, რომ რაიმე ცოტა
უფრო ძველი ჩამერთო. Roy Eldridge ავირ-
ჩიე, Cozy Cole და Coleman Hawkins-ი
უკრავდნენ, 1958 წლის ჩანაწერი იყო.

ჩავრთე თუ არა მუსიკა, ყველამ მე გა-
მომხედა. სულ ასე ვიყავი მთელი ცხოვრე-
ბა — როცა ყურადღების მიპყრობას ვცდი-
ლობდი, არ გამომდიოდა, როცა ეს სულაც
არ მსურდა, განსაკუთრებული დაკვირე-
ბის ქვეშ აღმოვჩნდებოდი ხოლმე. წონამო-
მატებული ქალი რომ ზღვაში შედის
კურორტზე ჩასვლის პირველ დღეს, აი, ისე
წავედი დახლისკენ და ოთოს ამოვფარე-
მეთქი რომ ვთქვა, ტყუილი იქნება, ჩემზე
ოცი სანტიმეტრით დაბალი მაინც იყო,

გურამ მეგრელიშვილი

ალტერნატიული
საქართველოს ამბები



მაგრამ სადღაც იქვე მივიმალე.
ოთოს გოგოების გაცნობა მოესწრო, ის
კი არადა, სასმელზეც დაეპატიჟებინათ —
საოცარი ნიჭი ჰქონდა ქალების შეხუჭუ-
ჭებისა. ამას ისე ახერხებდა, რომ მისი სას-
მელისასაც ქალები იხდიდნენ. ბარმენი
ახლა ნაკლებად იგროხებოდა და ამ მომ-
ცრო ტანის კაცს ცოტა აგდებით უყურებ-
და დახლს იქიდან.

ხელბურთელების ნაკრები იყო ჩამოსუ-
ლი. ცხრა ერთმანეთზე გემრიელი გოგო
შემოკრებილიყო ოთოს გვერდით და მის
არცთუ ისე კულტურულ ხუმრობებზე
იცინოდა. არ ვიცი, გინახავთ თუ არა ხელ-
ბურთელი გოგონების დგომა, განსაკუთრე-
ბით თუ ისინი სვამენ, მაგალითად, თეთრ
ნეგრონს ანანასით. ყველაზე გამოცდილ
პიანისტსაც კი შემურდება ხელბურთელი
ქალის დახვეწილი უკანალის ფორმა და
გამართული მხრები. მე თუ მკითხავთ, ხე-
ლბურთი სწორედ იმიტომ არსებობს, რომ
ის ქალებმა ითამაშონ და ჰქონდეთ ძალა
მკლავში, რათა საჭირო დროს უზრდელსა
და თავხედს ერთი კარგად უთავაზონ. მა-
გრამ გოგონები ოთოს უხამს ხუმრობებს
სიცილით პასუხობდნენ, ალბათ მათ სავარ-
ჯიშო რეჟიმში ტანმორჩილ კაცებთან ჩხ-
უბი არ შედიოდა, ან შეიძლება ოთო იყო
ზედმეტად გამოცდილი. მოკლედ, მის
გამომეტქებზე მე უფრო ვწილდებოდი,
ვიდრე — გოგოები.

დახლთან მდგომ ყველაზე ახლო მაგი-
დასთან ხუთი ბიჭი იჯდა. შემოსვლისას
პირველად სწორედ ისინი მომხვდნენ
თვალში. სადაც ცხრა ასტონ მარტინივით
ქალი დგას და სვამს, იქ კრაზივით მქმი-
ნავი ხუთი ბიჭი ყოველთვის მოიძებნება.

ჩემსა და ამ ბიჭებს შორის გუნდის კაპი-
ტანის მოკლეზე მოკლე შარვალი იდგა.
რამდენჯერაც თვალი ქალის ყველაზე
გამოკვეთილი ნაწილისკენ გამექცა, იმდენ-
ი ბიჭების ამღვრეული მზერა დავინახე.
ასეთი ამბები კარგად რომ არ მთავრდება,
ვიცი. მეც მომხვედრია ორ-სამჯერ და მეც
მომირტყამს. ძირითადად ყველაფერი
იქით მიდის ხოლმე, რომ ჩემი და ოთო-
სნაირები ჯერ იჭაჭებიან, მერე გარბიან
ხოლმე. არც იატაკზე ხობვა მინდოდა და
მითუმეტეს — არც სირბილი. ოთოს
გახვებდე და თვალთ ვანიშნე, წავიდეთ-
მეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ყუ-
რიც არ შეუბერტყავს.

National Geographic-ს არსზე მინახავს
ერთი ფილმი იმის შესახებ, როგორ ნად-
ირობს უსურის ვეფხვი ირემზე. ამაში მას
რალაც კონკრეტული ჯიშის მაიმუნი ეს-
მარება, რომელიც რომელიღაც ხეზე ზის
და ტოტებს არხევს. ხიდან ჩამოყრილ
ფოთლებს და ნაყოფს ირემი ჭამს, ამ ხის
მახლობლად კი ვეფხვია ჩასაფრებული და
ელობება მსხვერპლს. ამ მაიმუნივით

გაქნევა ვერ გავებდო, მაგრამ არც იმდე-
ნად გულადი, რომ ბოლომდე ვიბრძოლო.
ოთოც შემეცოდა. აი, მაგას კი ყველაზე
მეტად მოსდებდნენ იმ თავისი ლაქლაქის
გამო, მაგრამ განსაკუთრებით გოგოები
შემეცოდნენ. არ ვიცი, რატომ წარმოე-
იდგინე, რომ შუასაუკუნეების ტომში
ვიყავით და რაიმეს დაუშვებდნენ, მაგრამ
ცხრავე კი მაგრად გამოვიგლოვე.

იმან, რომელიც მოგვიახლოვდა, გო-
გოებს შორის გაიარა და ბარმენს ლუდი
შეუკვთა, ტრაკი ლამის ოთოს სახესთან
ჰქონდა მიტანილი და ისე უხერხულად
ჩადა, თერთმეტივე მომენტალურად დაგ-
ვაცალცალკევა თითქოს.

ოთო ასეთ მომენტებში მაგარია. ვით-
ომც აქ არავფერო, ისე გააგრძელა ხითხი-
თი. თავი ლამის იმ ტიპის ილიაში გაჰყო
და კონიაკი მოწრუპა. ეს ისე ბუნებრივად
გამოუვიდა, რომ სიტუაციის მთელი სიმძ-
იმე წამიერად გაიფანტა. ალბათ ყვე-
ლაფერი მშვენივრად დასრულდებოდა,
გუნდის სამ ნომერს კაცისთვის შენიშვნა
რომ არ მიეცა. შენიშვნამ მოსული დაძაბა
და ოთოს თავი ილიაში ისე მოიჭეჭყა,
ლამის თვალები ბუდიდან ამოუხტა.

ის უხამსი სიტყვები, რაც წარმოვთქვი,
მეტნაკლებად ოთოსაც ეკუთვნოდა, ალ-
ბათ ამ ხელბურთელ გოგოებსაც და
რასაკვირველია, თავად მეც, ამ ბარში რომ
წამოვხეტიალდი, მაგრამ იმ ოცლაყმა
სწორედ საკუთარ თავზე მიიღო და გაშ-
ლილი სილით მიპასუხა.

National Geographic-ზე ნახავ დოკუმენ-
ტურ ფილმში, სადაც ვეფხვი ირემზე ნად-
ირობს, ერთი საინტერესო მომენტი იყო.
როგორც კი ჩასაფრებული ვეფხვი ხეს მი-
უახლოვდებოდა, მაიმუნი ჩყვილს ატეხ-
და და ირემს აფრთხილებდა, გაიქეციო. ამ
ჭყვილს ხშირად ისიც მოყვებოდა, რომ
გამოჩნდებოდა მეორე, უფრო დიდი ზო-
მის ვეფხვი და მისი ტერიტორიის
საზღვრების დამრღვევს თავ-ბედს აწყე-
ვლინებდა. სანამ დანარჩენი ოთხი ჩვენს
მოდოდა და ოთოს თავი კომუნისტური
სიმბოლოსავით განითლებულიყო, გულის
სიღრმეში იმედს ვიტოვებდი, რომ ერთი
ასეთი ვეფხვი ამ გუნდის მწვრთნელის სახ-
ით გამოჩნდებოდა და შეხლა-შემოხლას
შორიდან ვუყურებდი. რასაკვირველია,
ასეთები კინოებში და ნიგნებში ხდება, ნამ-
დვილ ამბებში კი ჩემისთანა კაცები ძირს
ყრიან და ხუთიდან ოთხი მასზე ფეხებს ინ-
მენდს.

მახსოვს, წლების უკან, მაშინ მეორე
კლასელი ვიყავი, სკოლის წინ ოთხი ქურ-
თის ბიჭი დამხვდა. მე და ჩემი მერხის მე-
გობარი გოგო სახლისკენ მივფიქვით და
ამ ბიჭებმა მასტიკის ცელოფანგადაკრუ-
ლი საშუალოის წართმევა მომიხდომეს.
ერთი გავიბრძოლე, ესე იგი, ერთს ჩავე-
რინდი ბოლო იმედის ჯარიმსავით, მაგრამ
დანარჩენ სამს ჩემმა კლასელმა ისეთი დღე
აყარა, წლის ბოლომდე სკოლაში სალაპარ-
აკო მხოლოდ ეს იყო.

ბუნებაში ხომ რალაცები მეორდება.
ძირს დაგებული კარგად ვერ ხედავ
თითქოს, მაგრამ იმის გარჩევა კი ნაღდად
შეიძლება, როგორ სცემს ცხრა ხელ-
ბურთელი ქალი ხუთ ვირგლას ისე, რომ
ბარში ერთი თეფში და ჭიქა არ ტყდება.

მერე ბარის მეპატრონე გვეუბნებოდა,
ეგენი ადგილობრივი ხულიგნები არიანო.
მაგათთვის ხმის გამცემი ამ ქალაქში
არავინ ყოფილა ჯერ და ამ ქალაქმა კიდევ
ისეთი ქნეს, სირცხვილით ხმას რომელი ამ-
ოილებს ამის მერეო. თან ვიდუო ჩანანერის
geotube-ზე ატივრთვას აპირებდა, ხვალ
მთელი ტყიბული მაგათზე ილადავებსო.

მოკლედ, ამბავი იმით დასრულდა, რომ
საზოგადოებრივ გამოსასწორებელში
კიდევ ერთი კვრა დარჩენა გამომიწერეს.
საკითხავი ოთახიდან ფეხი აღარ გამიდ-
გამს, ჩალურჯებული თვალი მალე რჩება,
სწავლა კი სიბერემდეაო, აკი არის ასეთი
ნათქვამიც. დედაქალაქში დაბრუნებულს,
რასაკვირველია, დაგვიანების მიზეზი
მკითხეს, სამსახურის ხელმძღვანელმა კი
ირონიულად ჩაიქრქილა და კიდევ ერთხ-
ელ მკითხა, აბა, რას იტყვი, ქალი ამაღ-
ლირსო? სრულიად სერიოზული სახე
მივიღე, მისი ტრაკის წმენდის თავი ნაღდად
არ მქონდა, ვიცოდი, რა ჩუმი ქალთმოძუ-
ლე ვირიშვილიც იყო და ხმამალა, ისე,
რომ ყველას გაეგონა ვუპასუხე: კი, ქალი
ამაღ ღირს!

თივის ლობინი

სკოლაში შორს მიხედვით სიარული. ამიტომ დილით ძალიან ადრე მიწვედა ადგომა. სკოლის შემდეგ კი იმ ოთხ კილომეტრიან აღმართს ამოვათავებდი, ჩანთას დავაგდედი, ყველს და პურს ავიღებდი და საქონლის საძებნად მივდიოდი. ვეძებდი გაუთავებლად ტყე-ღრეებში, ხეებზეა თუ სათიბებში, ძლივს მოვუყრიდი თავს. ასე ხდებოდა თითქმის ყოველდღე. ხშირ შემთხვევაში, უკვე შეღამებულზე ვბრუნდებოდი შინ. თუ ერთი მათგანი მაკლდა, დასჯა არ ამცდებოდა, თუ ძილის წინ გაკვეთილებს არ ჩავაბარებდი, მაშინაც მერე, როცა არდადეგები იწყებოდა, დიდი შვება იყო ბავშვებისთვის — ეძინათ, ენებოვრათ, დავსვენათ. მე, როგორც ჩემი სოფლის ყმანელების უმეტესობა, ზაფხულს მთაში ვატარებდი. იქ კი, დილის ექვსზე თუ არ ადგებოდი, ძროხების ჩამონვლას ვერ მოასწრებდი — აიშლებოდნენ, საძოვრებზე გაგასწრებდნენ. არადა, ყველაზე მაგრად იმ დროს მინდებოდა ძილი, გამთენიისას, როცა მთის პირველყოფილი შეცივებული ქარი დაბერავდა, ჩვენი ქობის ქვემოთ, მარად მოხმაურე ჩანჩქერებთან ხევიდან. მე კი ჩათბუნული ვინეკი უხეშად გამოთლილ ხის ლოგინში, რაც მაშინ საერთოდ არ მანუხებდა. ერთი დიდი დღესასწაული იყო ჩვენთვის მარიამობის წინა დღეებში ბარად ჩამობარგება, მერე ისევ სკოლაში სიარული, ფეხით, რვა კილომეტრის გავლა ყოველდღე და ასე შემდეგ. მაგრამ იყო ამაზე უფრო რთული პერიოდი, რასაც ყველაზე მეტად ვერ ვიტანდი — ეს იყო შემოდგომის დასაწყისში მთიდან ხარებით თივის ჩამოტანა! ეს ერთადერთი იყო, რასაც სკოლაში სიარული მერჩივნა. ღამის პირველი-ორი საათისთვის ვინცებდით სახლიდან გასვლას, მთელი ღამე უნდა გვეწონიალა ჩვენი ხარებიდან ხან ხეებზე, ხან რიყეზე, ხან კედელივით აღმართულ უღრანში, უცნაურად დაკლაკნილ სამარხილე გზაზე, რომ გამთენიისას ადგილზე ვყოფილიყავით. სულ ტანში მტრიდა ხოლმე, როცა მამაჩემი სამზადისს იწყებდა, უღელს ადგამდა ზანტ ხარებს, ხმამაღალი შეძახილებით აჩქარებდა. მათ, ცხადია, ჩემზე მეტად ეზარებოდათ ეს ყველაფერი. შემდეგ უღელზე ჯაჭვით მარხილს აბამდა, უღლის შუაში ჭრატს ამავრებდა, იმ კუნაპეტ ღამეში ხარებსაც რომ დაენახათ გზა.

ასე ზოზონით ავივლიდით სოფლის ორღობებს, ორივე მხრიდან რომ მარხილის ხრიგინით დამფრთხალი ძაღლები გვხვდებოდნენ ჭიშკართან ყეფით, რასაც ჩვენი ძაღლებიც აყვებოდნენ ხოლმე. სოფლის ბოლოს შორიდან მოგკრავდი თვალს შორს, ტყის სიღრმეში მოციმციმე რამდენიმე წერტილს, ვიდაცებს უკვე გაესწროთ ჩვენთვის, ისინიც ისე ნელა მოძრაობდნენ, მეგონა, ის წერტილები ერთ ადგილზე ციმციმებდნენ...

გავიარეთ წისქვილებიანი ხევი, შევედით თხმელიან უღრანში, სადაც ხშირი ნეშომპალა ფარავს საურმე გზას. ამ რბილ ნიადგზე უხმაურად მივდივართ, მე უკან მივყვები ბარბაცით, ნახევრადმძინარე ჩემი პატარა, ანთებული ხელის ფარანს მოვატარებ ხოლმე გარშემო, ზოგან, ხის ძირში, ღორები ერთმანეთზე მიწოლიან ერთ ადგილას დახვავებულ ხმელ ფოთლებზე. ისე ტკბილად სძინავთ, მეც მინდება მივუწვე და მზის ამოსვლამდე ჩავთვლიმო. ისევ შორს ვიხედები, იმ მოციმციმე წერტილებს ვუახლოვდებით, წუთით მათზე სწრაფად ვმოძრაობთ? არა მგონია! იქ ერთი დიდი მოლია, სადაც დიდი პანტა მსხლები დგას, ასევე ბებური კაკლის ხეები, სადაც თხმელის ძირას, ცვიც ნყარო მორაკრავებს, იქ ვისვენებთ ხოლმე და ერთმანეთს ველოდებით. ამ ადგილს „მოცალადაშტე“ — „უბრალოდ სადათვე“ ჰქვია, რადგან ზაფხულის მინურულს ამ მნიფე მსხლებს დათვეები შემოუჩვენებია ხოლმე. წლების წინ, როცა მამაჩემთან ერთად აქ ამოვიარეთ, მსხლის ჭამით გართულმა ერთმა დამშეულმა დათუნიათ ეტყობა გვიანდა იყნოსა ჩვენი მიახლოება. ჩვენ იმ სიბუნელები, ცხადია, ვერაფერი დავინახეთ, მაგრამ მივხვდით, ჩვენი ბალანაშლილი ძაღლი როგორ გავარდა ყეფით. შემდეგ ტოტების ლენვის, ძირს დავარდნის ხმაც გავიგეთ. ფარანს შუქზე ნამიერად უზარმაზარი მხეციც კი დავლანდეთ. ადრე ჩვენი მონადირეები ხშირ-

ად იჭერდნენ მსხალზე დაგებული „ტროსებით“. ალბათ რომელიმე მათგანმა ბელეზიანი დათვი დაიჭირა, უპატრონო ბელები კი მთიდან ძაღლით მომავალ მამაჩემს გადაყრიან, ასე უთავბოლოდ რომ დაეხეტებოდნენ ტყეში. მაშინ უზარმაზარი აზიური ჯიშის ძაღლი გვყავდა — თეთრი, გრძელბეწვა „ჯოლორი“. გაავებული დატაკებია იმ საცოდავებს, უსუსური ბელები ყოფილან, ჩარევიან მამაჩემი, გაშველება უცდია, ვერაფერი გაუნყვია სიავისგან დაბრმავებულ ძაღლთან, შემდეგ იძულებული გამხდარა, ნაჯახის ყუთი ეცემა. გაუშველებია, მაგრამ ერთი ბელი გზაზე მოკვდომია, მეორე სახლში მოიყვანა გვარიანად დასისხლიანებული. მახსოვს, რა საყვარელი არსება იყო, დამფრთხალი, ოთახის კუთხეში მიყუყუდი, ახლოს რომ არავის იკარებდა. კი მოუარეს, მაგრამ რამდენიმე კვირაში მაინც მოგვიკვდა.

როგორც იქნა, ჩვენც ავივაკეთ. უძინარი, მძიმე დღის მომლოდინე კაცები უხასიათოდ, უბრად ისხდნენ თავჩაქინდრულნი, ზოგი მათგანი იქნებ თვლემდა კიდეც. მხოლოდ ხარების ქშენა და ერთმანეთს გამომწვევად დატოლებული ძაღლების ღრენა არღვევდა იმ შიშისმგვრელ სიჩუმეს. შემდეგ ვდგებოდი

სოსო მეშველიანი



აულ-მაული

და ასე ზოზონით მივყვებოდი აღმართებს. მე, ხშირ შემთხვევაში, გავუსწრებდი ხოლმე. მერჩია, მამაჩემის ამოსვლამდე სულ ბეჭით მეზიდა თივა კლდოვან, ძეძევიანი ადგილებზე, ვიდრე აქოშინებული, გატანჯული ხარებისთვის მიყუყუებინა უკნიდან. თივა ისედაც ბეჭით იყო გამოსაზიდი იქამდე, სადაც მარხილი უნდა შეგვეკრა. ისედაც სხვებზე ადრე უნდა მოვრჩენილიყავით, მაღლიდან წამომსვლელთათვის ხელი რომ არ შეგვეშალა.

ადგილზე მისულს სწორედ ის შემთხვევა გამახსენდა. ერთხელ იმ მთაში ჩვენს მიერ დათიბული თივის შესაგროვებლად წავედით მე და მამაჩემი. პატარ-პატარა ზვინებს ვდგამდით. თივას ისე ვანაწილებდით, წინასწარ ვიცოდით, მარხილზე რამდენი მოთავსდებოდა, რამდენი მარხილი გამოვიდოდა. დამთავრება ვერ მოვასწარი, მზე ჩასვლაზე იყო. მეორედ ამ სიშორეზე ამოსვლა არ ღირდა. მან დარჩენა გადაწყვიტა. რადგან საგზალი უკვე შემოლეული გვქონდა, მე მირჩია, სახლში წავსულიყავი. რა თქმა უნდა, არ დავთანხმდი, ან მარტო როგორ დავტოვებდი, როცა იმ დროს ისედაც ვერ იყო კარგად. ლოგინად ბლომად თივა შევაგროვეთ ერთ დავაკებულ ადგილას, ცხადია, ღია ცის ქვეშ. ვეებერთელა, ბებერი იფნებს შორის. მამაჩემი ცოტა ხნით სადაც გაუჩინარდა. მერე დაბრუნდა. სვანური ქუდი მოცვის და მაცვლის მწიფე ნაყოფით ბოლომდე გავესო. ისეთი გემრიელი არასდროს ყოფილა ეს დალოცვილი კენკრა. თავიდან დაძინება გამიჭირდა. ღამეული, უცნაური ხმები მიშლიდნენ ხელს. ბოლოს კი, როგორც იქნა, ჩამთვლინა. მთელი დღე უამრავ, სხვადასხვანაირ მსხვილ კალიებს ნაყურებს ეტყო-

ბა, სიზმარში ჩამყვა ის იდუმალი განცდა, რასაც მაშინ განვიცდიდი. მეძინა და მთელი ღამე სიზმრებში დავხტოდი, სანამ დილის სიცივემ არ გამომავლიდა.

რალაცის თარგმნას რომ გადაწყვეტ, ჯახირობ, ბორძიკობ, თითქოს ფეხშიშველი მიაბიჯებ რიყის გახურებულ ლოდებზე და უცებ საოცრად რბილ, გრილ ნიადგს იგრძნობ ტერფებქვეშ და ახლად დათიბული ბალახის, სასიამოვნო მსუბუქ ჩხვლეტებს: „იქ, სადაც ენთუზიაზმით მიშვლდებიან ნიშვები, ბებერ მუხებს და თივის ზვინებს შორის“. ისე, რა დალოცვილი რამეა ეს პოეზია.

აულ-მაულ

წუხელ დედაჩემი მესიზმრა, კერიასთან იჯდა. შუაცეცხლის კვამლი გახვეულს თითქოს სახე უნათებდა. მივუახლოვდი. გაოგნებული დავრჩი, ძველ, ობოკიდებულ პურს ჭამდა. იქვე ტაბლაზე კი ცხელი, ნაცრიანი პურები ელაგა. უცნაური ფორმის ტაბლა იყო — ყველაფერი უცნაური ფორმის. კვამლით დაბურულ უზარმაზარ

უფრო ახლოს გამოჩნდა პირინის ნახევარკუნძული, კიდეც უფრო ახლოს ბასკეთი, შემდეგ ბოლბო, ბარაკალო, პლაცა დელ ტორო, შემდეგ იქვე მდებარე წითელი კორპუსი, ამ კორპუსის მეექვსე სართულის ფანჯარაც გამოჩნდა, ფანჯარაში კი მე ვჩანვარ უაზროდ ჭერს მიშტერებული.

მთელი დღე ამ სიზმარზე ვფიქრობდი, აულ-მაულზე, ამ უძველეს დღესასწაულზე. მთელი მარტივი რიტუალი იმაზეა, როგორ დავიცვათ შინაური ფრინველები მელიებისა და ქორებისაგან. ოჯახის დიასახლისი ახლადგამომცხვარ ხაჭაპურებს მაგიდაზე ალაგებს, სახლის კარი ნახევრად ღიაა, ლუმენში ან ბუხარში, ისე რომ ხელის მოსაკიდი დარჩეს, სანახევროდ შენთებული, აალებული (მაცვი) მუგუზალია გამზადებული. მე სწრაფად ვწვდები მაგიდაზე დადებულ პურს, კარში გავრბივარ, დედაჩემი იმ აგიზგიზებულ შემას მესვრის — ცხადია, არ მიმიზნებს, არ მიტყამს, უბრალოდ მესვრის (არის ცოტა ტრაგიკული შემთხვევებიც). მე კი გავრბივარ, სირბილით ვტოვებ ეზო-გარემოს, ყანას, გავრბივარ და გავიძახი: „აულ-მაულ! აულ-მაულ!“ ასევე გამორბიან სხვა სახლებიდან, ერთმანეთს ვუწყობთ შეძახილს: „აულ-მაულ! აულ-მაულ!“ სოფლის განაპირას უზარმაზარ კოცონს ვანთებთ. თემებად დაყოფილ სოფელში ყველა თემი ცალ-ცალკე იკრიბება. ვსვამთ, ვჭამთ, ვმზიარულობთ, ერთმანეთს გავძახით, ერთმანეთისკენ მივერეკებით ქორებს და მელიებს. შემდეგ გადავდივართ, ერთმანეთში ვირევიტ, ერთმანეთს ვეჯიბრებით კოცონზე ხტომაში.

სისტემა რომერო

როგორც უნდა ეცადო, ძნელია, გაეცეცე ზოგ უსიამოვნო მოგონებას. მაინც ადამიანი ხარ და ხშირად გეფიქრება ამაზე. რთულია, თვეები, შეიძლება წლებიც, იმგვარი ხალხის გარემოცვაში გაატარო, ერთხელაც ვერ გადააწყდე ისეთ თვალებს, ისეთ გამოხედვას, სულ მცირედი სიყვარული ან პატივისცემა რომ გამოსჭვივის შენს მიმართ. ასეთ დროს, ცხადია, შენც იხურები მათთვის, იკეტები საკუთარ თავში. შინაგანად მძიმდები. მერე ასეც ხდება, ზოგიერთი უფიცი აქეთ გადმოდის შეტევაზე. ამაზე ბევრგან დავხერე, ამიტომ მეტის გაგრძელებას აზრი არ აქვს. ახლა სხვა შემთხვევაზე მინდა, მოვყვე.

ეს მაშინ მოხდა, როცა პირველად ჩავიქნიე ხელი და გავცეცალე არამზადა ქართულ საქმოსნებს, უცხო სხეულზე ამოსული ძირმაგარევიტ რომ მრავლდებოდნენ; რომლებიც მარტო ფულს კი არ შოულობდნენ მათივე თანამემამულე მუშახელისგან, არამედ მათი ფსიქიკური მდგომარეობითაც ერთობოდნენ. რომელიც ფანტასტიკური ფილმის მსგავსად, ასე გრძელდებოდა, სანამ ყველა მათგანს საბოლოოდ თავად არ დაიმსგავსებდნენ. სამაგიეროდ, ქურდები ჰყავდათ დიდ პატივში, აფერისტულად ეთავყვანებოდნენ, უძვრებოდნენ, არაფერს აკლებდნენ ერთმანეთის შურიანობით გართული მუშების ხარჯზე. „მუშები“ კი ფულის გამო თვალს ხუჭავდნენ ბევრ უსამართლობაზე. ამაო იყო, ვინმე გამწარებულ მუშას მათთან დაეჩივლა, ისევ ის საწყალი რჩებოდა დაზარალებული. ისე, ბევრი მათგანი უარესის ღირსიც იყო, მაინც ისეთი ალტაცებული იყვნენ ქურდული გაგებით, თან ძველები-ჭობდნენ, თან, „გადოსო-კარდოსო“ აკრავდნენ, ერთიანად მტკვერში ამოთხვრიდები.

ერთ ზაფხულს გამიმართლა და უშუალოდ ესპანელებთან მოვეწყვე სამუშაოზე, დავისვენე — რასაც ჰქვია. სათქმელად არ ვარგა, მაგრამ ბოლო დროს უკვე გავურბოდი ქართველებთან კონტაქტს. მათთან ურთიერთობას. ესპანელებთან კი ერთგვარი შვება ვიგრძენი. რომეროს „ემპრესაში“ გავეფორმე. ეს ერთ-ერთი ძველი და ძლიერი სამშენებლო კომპანია იყო მთელს ბასკეთში. რომეროს პირადად არ ვიცნობდი, არ შევეცდარივარ, კანტაბრიელმა ნიჭებმა, რომელიც ვერაფერს მრავალი ხელი მუშაობდნენ იმ ემპრესაში, რომლებსაც თვადახუჭული ენდობოდა რომერო, შემთხვევით სხვა ობიექტზე შემნიშვნეს, სადაც მათაც მოუწიათ მუშაობამ, მოეწონათ ჩემი ნამუშევარი და რადგან ეს ხელობა არ



იცოდნენ, თან მათთვის ძალიან საჭირო იყო, აქეთ შემომთავაზეს. მეც, რა თქმა უნდა, დავთანხმდი, ერთი სიტყვით — გამომართლა. ვიტორიიდან ათ კილომეტრში, ნანკლარესში შენდებოდა რომელიღაც სავაჭრო კომპანიის უზარმაზარი სასაფლაოები. იქ მომიწია წასვლა. მშვენიერი სამუშაო იყო, კარგი ანაზღაურებით, არც არავინ მარქებდა, არც არავინ მაკონტროლებდა. მეტრ-კვადრატებზე ვიყავით გარიგებულნი, ყურადღებით მეპყრობოდნენ. შუადღისთვის ერთი საათი მეკუთვნოდა დასვენება, მე ნახევარ საათს ვისვენებდი, ისინი ექვსამდე მუშაობდნენ, მერე ზე ვრჩებოდი, რა ჰქონდათ სათქმელი. პირიქით, იმას მსაყვედურობდნენ, ამდენს რატომ მუშაობ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს პატარა დასახლება მთელ ქვეყანაში თავისი ციხესაპყრობილებით იყო ცნობილი (ალბათ სწორედ ამის გამო), საოცარი სიმშვიდე სუფევდა. მომეჩვენა, რომ ტრანსპორტის მოძრაობაც შეზღუდული იყო. იმ განაპირას კი, სადაც მე ვმუშაობდი, გარედან საერთოდ ჩამი-ჩუმიც არ ისმოდა. იქვე, ახლოს ერთი დამრეცი ქუჩა იყო, სადაც მთელ სიგრძეზე ძველი, დაბალი ქვის სახლები იდგა, ხის ძველი ფანჯრებით და მუხის გაშავებული კარებით. ვინრო, გრძელ აივნებზე, ჩემთვის უცნობი ნათელი ყვავილები გადმოედგათ ქოთნებით. რომლებსაც რატომღაც ყველა ერთდროულად რწყავდა. ისიც მხოლოდ მოხუცები. მომეჩვენა, რომ იქაური მოსახლეობის ძირითად ნაწილს სწორედ მოხუცები შეადგენდნენ. დიდ ქალაქებში ბევრ რამეს, ცხადია, ვერც ამჩნევ, აქ კი ისე არღვევდა სიჩუმეს ყოველ ნახევარ საათში ეკლესიის საათის რეკვა, რაღაც განგამის ზარს ჰგავდა. როცა იქ ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო, სწორედ მაგ დროს, სწორედ იმ წუთისთვის, ამ ათკომლიანი სოფლიდან დანწყებული, უზარმაზარი ქალაქებით დათავრებული, მთელ ქვეყანაში, ათასობით ეკლესიის ზარი იწყებდა რეკვას, ყოველი დღე, ყოველ ნახევარ საათში. ერთ დღეს, რადგან კვირის ბოლო იყო და ობიექტი ცოტა ადრე იკეტებოდა, მე კი სამშენებლო მასალა თითქმის შემოღებული მქონდა, იმ კანტაბრიელი ბიჭებიდან ერთს, როხელიოს დავურეკე. ავუხსენი ყველაფერი. ორშაბათისთვის დამპირდა, მე კი ვურჩიე, იმავე დღეს მოეტანათ, რადგან ვიცოდი, მათ ლოდინში ორშაბათი დღე გამიცდებოდა. ცოტა ყოყმანის შემდეგ შემპირდა, მითხრა, ერთ საათში მომიტანდნენ. მართლაც, ერთ საათში თეთრი სატივრით მიკროავტობუსი ჩემოდგა, წარწერით ვიცანი — „სისტემა დე რომერო“.

უკვე ობიექტის ზედამხედველსაც, რა ხანია, ვალოდინებდი, დრო ცოტა მქონდა. სატივრის საჭესთან ხანში შესული, ერთიანად თმაგათეთრებული კაცი იჯდა. ასაკის მიუხედავად, ისე ცოცხლად გადმოხტა მანქანიდან, გამიკვირდა. გამხდარი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი, საშუალო სიმაღლის კაცი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მანამდე არასდროს მენახა, ხელი ჩამომართვა, მომიკითხა, ოჯახის ამბებიც კი გამომკითხა. შემდეგ ტელეფონი აიღო და სადაც დაიწყო რეკვა, თან ტანსაცმელიდან ალაგ-ალაგ შერჩენილ შპაკის ტომრების თეთრ მტვერს იფრთხავდა. მე სატივრის ჩამოცლა დავინწყე, ორ-ორ ტომარას ვეზიდებოდი ზედამხედველის გამოხედვით შეწუხებული. იმან მაინც ვერ მოითმინა და უკვე საყვედურებით დამიწყო დანქარება. ისედაც დაღლილი ვიყავი, მთელი დღის ნამუშევარი, ამან კიდევ ტვინი წაიღო, სხვა გზა არ მქონდა, მძლოს გავეხდე, რომელიც ისევე ტელეფონზე ლაპარაკობდა. „ბოდიში, სენიორ, მაგრამ იქნებ დამეხმაროთ, ამის დაკეტვა ეჩქარებათ და... იქნებ უბრალოდ მალა ახვიდეთ და ტომრები მომანოდოთ“ — მივმართე ხათრიანად. რაღაცნაირად გადმოხედა, „კი, კი, რა თქმა უნდა, ახლავე!“ — მითხრა, ტელეფონი გათიშა და ასევე ცოცხლად ახტა სატივრით მიკროავტობუსზე. ცოტა ხანს გაკვირვებული მიყურებდა, როცა ორ ან სამ ტომარას ვეზიდებოდი ერთდროულად, ბოლოს საყვედური მითხრა, გამაფრთხილა, ასე შემდეგ არ მოეკიდებოდა. როგორც იქნა მოვრჩით, ასევე ტელეფონი დასრულდა და მისწვილობა და წავიდა. ზედამხედველსაც ელრისა თავისი ობიექტის დაკეტვა, ხელი ამინა და თავის მანქანაში ჩაჯდა. მე კიდევ ჩაუყვები იმ დამ-



სოსო მეშველიანი

აულ-მაული

რეც ქუჩას, სადაც მთელ სიგრძეზე ძველი ქვის სახლები იდგა. ქუჩის ბოლოში გაჩერება იყო და ალაგის პროვინციის კუთვნილი მწვანე ფერის ავტობუსს უნდა ჩამოველო, რომელიც ქალაქში წამიყვანდა, სადაც იმჟამად ვცხოვრობდი. ავტობუსში გამახსენდა, რომ ამ კვირაში ხელფასი უნდა ყოფილიყო, ისევე როგორც დავურეკე, ვკითხე, მან კი ისეთი მოულოდნელი რამ მითხრა, ცხადია, ხუმრობანარევი ტონით, თითქოსდა ისეთი არაფერი, მაგრამ მე ერთიანად დავიძაბე. „კი მაგრამ, მე რომ მეკითხები, რომეო იქ არ გყავდა, იმისთვის გეკითხა...“ მე კი, უსაშველოდ დაბნეულს, ხმა არ ამომიღია.

ქუჩა „სან-ფრანცისკო“

სრულიად შემთხვევით მოვხვდი იმ ქუჩაზე. სულ რაღაც ერთი კვირის ჩასული ვიყავი ბილბაოში. ერთმა რუსმა ქალმა მომწერა ელფოსტაზე, რომ იქ მდებარეობდა ის რუსული მალაზია, რომელიც ასე მაინტერესებდა. სადაც შემეძლო, შემეძინა მეოცე საუკუნის რუსული პოეზიის ანთოლოგია — „*поэзия серебряного века*“. შემთხვევით მოვხვდი და გაცოცხლებიან პირდაღებული დავრჩი, მეგონა, სულ სხვა სამყაროში, სულ სხვა განზომილებაში აღმოვჩნდი ჩემი ბინიდან, ფეხით სულ რაღაც ნახევარი საათის სავალზე — ქალაქის ცენტრის ახლოს. ეს წმინდა ფრანცისკეს ქუჩა იყო. რა ჯიშის, რასის თუ სარწმუნოების ხალხს არ შევხვდებოდი აქ, გარდა ადგილობრივებისა, დიახ! აქ ესპანელის ჭაჭანებაც არ იყო. ეს იყო უალრესად პირქუში, სხვა უზნებისგან განსხვავებით ბინძური ადგილი, გაშავებული სახლების ფასადებით, უნესრიგო ხმაურიანი საშაურმეებით, აზიელების, აფრიკელებისა და სამხრეთ ამერიკელების ერთმანეთზე მიბმული ფოსტებით, განთქმული ყველაზე იაფიანი პუტა-კლუბებით. ეს იყო სუტინიორების, ბარბეკების და არალეგალი ბოზების უბანი, და ეს იყო წმინდა ფრანცისკეს ქუჩა. პოლიცია მხოლოდ ძირითად შესასვლელთან პატრულდებოდა, ისიც უფრო იმიტომ, რომ უცხოელი ტურისტებისთვის დაეშალათ შესვლა, ან უბრალოდ გაეფრთხილებიათ მაინც. მე კი სულ სხვა მხრიდან მოვხვდი იქ, ჩემდა უნებურად, „ჩიორნი ხოლით“. აქ სუტინიორებში რუმინელები ლიდერობდნენ, ნარკობიზნესში ლათინო ამერიკელები, სხვა არალეგალურ ბიზნესში პაკისტანელები და მაროკოელები, ბინების ძარცვაში კი ყველაზე მცირერიცხოვანმა ქართველებმა მოიპოვეს უპირატესობა, მაგრამ ამ უბნის გარეთ, ნადავლს კი, ძირითადად, აქ ასკლებდნენ. ეს ისე, სხვათა შორის, ამას უფრო სხვა ამბის გამო ვყვები, უფრო იმის თქმა მინდა, რომ არის თურმე ისეთი ქვეყნები, სადაც სიტყვა „მეძავე“ სულ სხვა მნიშვნელობა, სულ სხვა დატვირთვა აქვს ოჯახისთვის — „ბიზნესს“. აი, მაგალითად, რას ნიშნავს რუმინელისთვის ბოზი, აქ ცხადია, ყველა რუმინელს არ ვგულისხმობ, მაგრამ ვგულისხმობ ემიგრანტ რუმინელთა უმრავლესობას.

მე სადაც ვმუშაობდი, ერთ დიდ „ობიექტზე“ ორ მეგობარ ბიჭთან ერთად, ჩვენთან ორი რუმინელი ბიჭი მოხვდა, ნორმალური ხალხი იყო. დავგიახლოვდნენ, რატომღაც ჩვენს მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ.

ხშირად სამუშაოზეც კი დავყავდით თავიანთი მანქანით. მერე რა, რომ ამ ევროპულ ქვეყანას იქ მხოლოდ დრაკულას ლეგენდებით იცნობენ. ისიც არაფერი, რომ ამდენი რუმინელიდან, რაც მე იქ შემხვედრია, არავინ იცოდა, ვინ იყვნენ მიხილემენესკუ და ემილ ჩორანი, არ იცოდნენ მათი ყველაზე ცნობილი კლასიკოსები, წარმოდგენაც არ ჰქონდათ, ვინ იყვნენ. არ იცოდნენ, მაგრამ მაინც ჩემზე უკეთ გრძობდნენ თავს. მე ხომ ვიცოდი, მერე და რა? მეც მათსავით სავსე მქონდა პირი და ცხვირის ნესტოები მტვერით. მათ კი ჩემზე მეტი ანაზღაურება ჰქონდათ, და სულ ფეხებზე ეკიდათ ჩემი ზემოთ ნახსენებები მათი დიდი თანამემამულეები. ერთ უქმე დღეს მე და ჩემმა მეგობარმა ქალაქში გავისეირნეთ, საღამო იყო. რადგან ინტერნეტი გვეჭირდებოდა, სან-ფრანცისკოს ქუჩისკენ დავანექით. იქ შედარებით იაფი იყო როგორც ინტერნეტი, ასევე სხვა ქვეყნებში დარეკვა. ჩვენ უკვე მიჩვეული ვიყავით იქაურ ქაოსს. ერთ ვინრო ქუჩაზე, სადაც ისედაც ავადმყოფურად ყვითელი მთვარე შარდის პატარ-პატარა გუბებზე ირეკლება, გვერდზე გავუხვიეთ ძირითადი ქუჩისკენ. იქვე კუთხეში, ერთ ყოველთვის ხალხმრავალ, ხმაურიან კაფეთან ჩვენ ნაცნობ რუმინელს გადავეყარეთ. გარეთ ისხდნენ მრგვალი პლასტიკატის მაგიდასთან, ორივეს ქალი ახლდა. ჩაცმულობაზე მივხვდით, რომ ქუჩის ქალები იყვნენ. „ნახე, ამათ რა ქალები დაუთრევიათ“ — ნამწურულა მეგობარმა. დავაკვირებულხარ, ხელეფით და ხმამაღალი ძახილით მაგიდასთან მიგვიპატიჟეს, თითო კათხა ლუდი დავგიდგეს. ცოტა ხანს რაღაცაზე ვისაუბრეთ. „თქვენ ისე გეტყობათ, აქ ქალებს ეძებთ“ — ლომილით მოგვმართა ერთმა. მეგობარმა დამიასწრო: „ხო, ქალებს ვეძებთ, ოღონდ ამათზე ნაკლებები არ უნდა იყვნენ“. ერთმა ხმამაღლა გაიცინა: „მერე აქ არიან და ნაიყვანეთ“. დავიბენით, მან კი გააგრძელა: „ამათზე იაფად მაინც ვერსად ნახავთ, უკეთესზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი“. ქალებს გავხედე. ისინი გულბრყვილო ლომილით მოგვეჩერებოდნენ. შევთანხმდით, ცოტა ხანს იქ დავყავით, თითო კათხა ლუდი ისევე მოვატანინეთ, ამჯერად ჩვენს ხარჯზე. მერე ნაიყვანეთ, ნავედით. რადგან არალეგალი მეძავეები იყვნენ, პუტა-კლუბებში მუშაობის უფლება არ ჰქონდათ. იქვე, სპეციალურად საამისოდ განკუთვნილ იაფფასიან ოთახებს აქირავებდნენ. თანხა დროის მიხედვით იყო განსაზღვრული. ოთახების ხარჯი მათ გაიღეს. შესასვლელში ზოგან რიგი იყო, ჩვენც ამ რიგში მოგვინია დგომამ. ოთახებიდან ისმოდა მოძველებული სანოლები ღრჭიალი, კვენესა, ხვნემა. მოკლედ, ოთახში შესვლამდე მადის ამღძვრელი იყო ეს ყველაფერი, შესვლისთანავე კი ხასიათი გამიფუჭდა. ეს იყო ნახევრადბნელი ოთახი, ჭუჭყიანი, შპალიერჩამოხეული კედლებით, თხელი, ჭუჭყიანი ფარდები. დიდი ოთახი სამ პატარ-პატარა ოთახად იყო დაყოფილი. ძველ, მორყეულ საწოლს მხოლოდ ნახევრის ქვემოთ ჰქონდა ორად გადაკეცილი ზენარი გადაფარებული, ეტყობა, ერთჯერადი იყო. იქვე ნახარი პრეზერვატივებით სავსე პატარა პლასტმასის ჯამივით რაღაც იდგა. ამ ოთახს, სადაც სამ ადგილას ერთდროულად, მთელი დღის განმავლობაში, ასეთი ამბავი იყო, მხოლოდ ერთი პატარა ფან-

ჯარა ჰქონდა (ალბათ მალე რომ არ განიავებულყო ასეთი არომატული სურნელი). ყნოსვა ხომ ყველაზე მაგიური რამ არის. ამიტომ მომეჩვენა, რომ ოთახში სწორედ ის სუნი იდგა, ბოტებს რომ აქეთ თხების მაკობის ჟამს. ეს მთავი გაზრდილი კაცისთვისაც ყველაზე ველური სანახაობა იყო, რაც კი ოდესმე მენახა. ყველა ის სპეციალურად გამოყოფილი კუპე, ცალცალკე, ჭერიდან გრძლად ჩამოშვებული ნათურებით იყო განათებული. ამ სუსტ შუქზეც კი, მუქ-ლურჯ გამჭვირვალე ფარდების მიღმა ილანდებოდნენ ორალური სექსით გართული ადამიანები, ხმები ხომ თავისთავად ჩვეულებრივად ისმოდა. ან რას უნდა ჩაეხსოვ? უცებ, ვითომდა აქ არაფერი, ერთმა ხორციანმა შავკანიანმა ქალმა გადმოკვეთა ჩვენი ოთახი, დედიშობილამ. ახლოს მოსულმა ჩემს გვერდით დადგმულ კომოდის უჯრიდან რაღაც აიღო და ასევე ზანტად ნატანტაღდა. ამ მოულოდნელობით ისე ამინრილდნენ თავში ფიქრები, ვერ მოვახერხე იმაზე მომეხდინა კონცენტრირება, რისთვისაც აქ ვიყავი მოსული. დრო ნახევარი საათი მქონდა, ამაზე ფიქრმა კიდევ უფრო დამიძაბა გონება, ასე ნაძალადევად ძლივ-ძლივობით მოვრჩი ყველაფერს. გავედი. ჩემი მეგობარი კმაყოფილი ჩანდა. ამ ხნის განმავლობაში ერთი სიტყვაც არ მითქვამს იმ ქალისთვის. ეტყობა, გავანვალე. უხასიათოდ მომეჩვენა. ბოლოს მაინც გამოველაპარაკე. ვკითხე, იმ ბიჭებს საიდან იცნობთ-მეთქი. გაკვირვებულმა ამომხედა:

- რომელ ბიჭებს?
- იმთ, ვისთანაც წელან იყავით!
- ერთი ჩემი ქმარი, მეორე მისი ძმა!
- გაოცებისგან ყბა ჩამომივარდა
- და ის ქალი? — ძლივს ვკითხე.
- ის ჩემი მულია! და რატომ გაინტერესებს ასე?

არაფერი მითქვამს, უფრო სწორად, სათქმელს ვერ მოვაბი თავი. ან რა უნდა მეთქვა, როცა ქუჩაში ჩასულმა თვალი მოვკარი, შორიდან როგორ გვილიმრდა მისი ქმარი. რადგან გვერდის ავლა არ შემეძლო, მაშინვე მაჯახა:

— ხომ მოგეწონა?

ისეთი თვალებით გავხედე, სახტად დარჩა. ასეა, ისინი უქმე დღეებშიც უქმად არ კარგავდნენ დროს, თავიანთ ცოლებს ეხმარებოდნენ კლიენტების შოვნაში.

დეკემბრის დღიურიდან

ისევ ბილბაოში ვარ, ისევ ბოლოვიელებს გან ნაქირავებ ოთახში მათთან ვცხოვრობ. რატომღაც მივეჩვიე კიდევ. ისევ ეს შემწვარი ბანანის სუნი, რაც უცნაურ ასოციაციებს იწვევს ჩემში. ამ გარეუბნის ხმაურიან ქუჩაზე წლების წინაც ვცხოვრობდი. საოცრად ცოცხალი ქუჩა იყო. ყველაფერი ძველურად დამხვდა, თუმცა ცოტა ხნის შემდეგ შევატყვე, რაღაც ისე ვერ იყო. თითქოს რაღაც გამომრჩა თუ დამაკლდა, მაგრამ ვერაფრით ვიხსენებდი, რა. და აი, ბოლოს გამახსენდა — იმდენი არც არაფერი, მაგრამ მაინც. გამახსენდა და რაღაცნაირად დავსვედიანდი კიდევ. ამ ქუჩაზე საღამოსხანს, ყოველ დღე ერთსა და იმავე დროს, ერთი გონებაზე ზღუდული ბიჭი ამოივლიდა ხოლმე ერთი და იმავე ნითელი ცელოფნის პარკით ხელში, ამოივლიდა და უცნაური, თითქოსდა არამინიერი ხმით გაჰყვიროდა ერთი გოგოს სახელს: „მარიალუს!“ „მარიალუს!“ ჩემთან მცხოვრებ ბიჭებს ეს შეძახილი რატომღაც ალიზიანებდათ, ჩემზე კი უცნაურად მოქმედებდა, რაღაცნაირად თავბრუსაც მახვევდა, თითქოს ბოლომდე მასში მინოვდა ეს უცნაური ამოძახილი. რაღაცნაირი წინადაგონება მქონდა ჩემთვის უცნობი, იდუმალი სამყაროსკენ. ეს ის ხმა იყო, ასე მონოტონურად რომ კვებდა ღამის სივრცეს და თითქოს სამუდამოდ ერწყმოდა მას, თან უცნაურ მისტიკურობასაც სძენდა. ვიდექი ფანჯარასთან და მინახავდა ვიროიაქებული, მშვიდი, სევდიანი სახით დავყურებდი ხმაურიანი კაფეების წინ, ვინრო ქუჩაში განლაგებულ მაგიდებს შორის მიმავალს. ერთ ხანს რომ მიყურებოდა, ხელების ძალიან ზანტი მოძრაობით ცელოფნის პარკს გახსნიდა და იქ მყოფთ თავზიანად აიძულებდა, რამე გაეღოთ მისთვის. შემდეგ კმაყოფილი სახით ყველა მათგანს

გაუღიმიდა, ერთს შემოატარებდა მზერას გარშემო და... „მარილუს!“ „მარილუს!“ ასე ნელ-ნელა იკარგებოდა თავის შეძახილიანად რომელიღაც ბნელი ქუჩის ბოლოში. ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს საკუთარ შეძახილს მოჰყვა ამ ქვეყნად. თითქოს, კი არ გაიძახოდა, ამ შეძახილს ეკუთვნოდა თავად.

მეორე დღეს იქვე მდებარე კაფე-ბარში შევიარე, სადაც ის ხშირად ჩნდებოდა ხოლმე. ბარმენს ვკითხე — „ის ბიჭი, ლამაზობით რომ აქ ამოივლიდა ხოლმე და რაღაცას გაჰყვიროდა, ხომ არ იცი, სად არის? სად დაიკარგა?“ მისმა გაკვირვებულმა გამოხედვამ მეც დამაეჭვა, სისულელეს ხომ არ ვეკითხები-მეთქი. „მე რა ვიცი, გიჟი იყო სანყალი, ალბათ მოკვდა!“ — შემდეგ დაამატა — „რას დაღვეთ, სენიორ?“ არაფერი მითქვამს, ნამიერად თვალი თვალში გაუყუარე და გარეთ გამოვედი. ალბათ იმდენად ცივად შევხედე, ვგრძნობდი, როგორ გამომაყოლა თვალი კარამდე. მაინც ვინ იყო? სად წავიდა? ჩემს ხსოვნაში კი სამუდამოდ დაიღვეა... „მარილუს!“ „მარილუს!“

სამუშაოზე გასვლის პირველი დღეა. ველავ, ახალი ემპრესა, ახალი უფროსობა, ახალი ხალხი. გამოსაცვლელი სახეა მუშებით — რუმინელები, პორტუგალიელები, ლათინოები, ესპანელები. შემოდის „ხევე დე ობრა“, ვისაც ობიექტი აბარია.

— ეს ახალია? — ჩემს ზედამხედველს მიაჩნდა.

— დახ! ქართველია! — თავიდან მეგონა, მომეჩვენა დაბნეულობის გამო, მაგრამ არა! მე შემომხედა ყველამ, უცნაურად მომაშტერდნენ. უფრო დავიბენი, მთელი შეგნებული ცხოვრება ამ ქვეყანაში, ამ ხალხში გავატარე, ახლა კი... მგონია, სულ სხვაგან მოვხვდი, სრულიად უცხო გარემოში. გარშემო მოვატარე მზერა, თითოეულ მათგანს გადავხედე. „რა ჯანდაბა ეტაკათ?“ — გავიფიქრე. ხმაბალა კი, გაღიზიანებულმა, ისე, რომ უფროსიც არაფრად ჩავაგდე: „მოხდა რამე?“ — ისე ცივად მივმართე, საკუთარი ხმა ძლივს ვიცანი. არავის არაფერი უთქვამს, გამოიცვალეს, გაიკრიფნენ. მთელი დღე უხასიათოდ ვიყავი, დახვედრაც ამას ქვია. საღამოს სახლში დაბრუნებულს მეგობარმა შემომჩვილა, რომელიც იმავე ემპრესაში მუშაობდა:

— მე ამის დედა ვატირე, ერთმა ჰაშიშით დასირებულმა ელექტრიკმა პირდაპირ მომახალა, თქვენისთანა სამიში ხალხი აქ არ ჩამოსულაო! მიზეზი რომ ვკითხე, იმ ფილმზე დამინყო საუბარი...

— რა ფილმზე? — დავინტერესდი, რადგან რაღაც ვიგუზმანე.

— იმ ფილმზე, ორი დღის წინ რომ გაუშვეს აქაურმა წამყვანმა არხებმა...

— მე უნდა ჯანდაბამ ვიყავი, რა ფილმი ასეთი?

— ერთ ძალიან ცნობილ ქართველ ავტორიტეტზეა, აქ მოქმედ ქართულ მაფიაზე. მაგრამ მომზადებული ფილმი. თან „კუატროზე“ და „ტელესინკოზე“ გადასცეს, განსხვავებული ვერსიები იყო. გაოგნებული საუბრობდნენ — საიდან კრიმინალურ ავტორიტეტში ამხელა ინტელექტი და გავლენებიო. ისეთი რაღაცები მოყვნენ, ამათ კი არა — თმები ყალბზე დამიდგა. ვიღაც ცნობილ ესპანელ პუბლიცისტს ნაშრომიც კი მიუძღვნია მისთვის. მთელ ესპანეთში ყველაზე ძვირად შესანახი პატიმარი ყოფილა. დიდი ესკორტი დააქანებს აქეთ-იქეთ, მთელი სპეცრაზმი და რავი კიდევ ჯანდაბა მათი. თან ერთ ციხეში თვეზე მეტს ვერ აჩერებენ, შემოატარეს მთელი ესპანური ციხეები. არ იციან, რა უყონ, რუსეთში ექსტრადირებაზე ფიქრობენ. ახლა რომ ახალი საათი გამოვიდა, მობილურიც რომ არის და კიდევ ათასნაირი ფუნქციები აქვს, რაზეც ასეთი ამბავია ატეხილი, დონ შაქროსთვის ერთი წლის წინ შეუგზავნიათ ციხეში, აზრზე ხარ? მაშინ ესენი აზრზეც არ ყოფილან, სინამდვილეში თუ საათი ტელეფონიც იყო. ინტერნეტით აგვარებდა თურმე ტიპი საქმეებს. კაცი, რომელიც ამათი ჭკუით თითქოს ასანთის კოლოფში გამომწყვდეული კრაზანა იყო. კავკასიელ გამბინოდ მოიხსენიებდნენ. უი, ისეთი რაღაცები მოყვნენ, გავვიფიქრე — სასტიკი მკვლელობები, გამოძალა, ნარკობიზნესი, პროსტიტუცია, დაპირისპირებული კლანების ისე მოშორება, დღესაც რომ ვერ გაურკვევიათ... — ყვებოდა ჩემი მეგობარი ვითომ გაღიზიანებული, მაგრამ სახეზე ვატყობდი, აშკარა სიმპატიებს კავკასიელი გამბინოს მიმართ.

მე კი ცოტა გულზე მომეშვა, რადგან მივხვდი იმის მიზეზს, რამაც ამ დღით ასე მომიწამლა ხასიათი.

რა ხანია, ფეისბუქში არ შევსულვარ, საერთოდ არ გავაკრებივარ ინტერნეტს. ამისი არც დრო მქონდა და რატომღაც არც სურვილი. ერთ საღამოს ინტერნეტ კაფეში შევიარე, შევედი საკუთარი ფეისბუქის გვერდზე, მივედ-მოვედე რაღაცებს, ერთი თვის წინ ახალი ლექსი დავდე, აქ ბევრი არაფერს მეუბნება, მაგრამ მაინც გადავხედე კომენტარებს. ბოლომ ხასიათი გამიფუჭა, თუმცა ამაღ ნამდვილად არ ღირდა.


მოკლედ, ცოტა ხნის წინ ერთი ბავშვობის მეგობარი დამემატა. გამიხარდა — როგორია, ოც წელზე მეტი იყო, არაფერი მსმენოდა მასზე. დედულეთი იყო ჩემი სოფელი მისთვის. ქალაქელი, თავზეხელაღებული ქეციანი ბავშვი იყო, ყველა გაურბოდა მასთან მეგობრობას. ჩვენ კი დავმეგობრდით. არ ვიცი, ეს როგორ მოხდა, მთელ დღეებს ერთად ვატარებდით, ხშირად ერთად გვეძინა კიდეც. უცნაური იყო, აბა, რა. ის ასეთი ავარა, მე კი სულ პირიქით. და როგორ არ გამიხარდებოდა

მისი თუნდაც აქ გამოჩენა და შეხშიანება. გავაჩაღეთ მიმონერა, მაგრამ ცოტა ხანში მივხვდი, რომ ის სულ სხვა ტალღაზე იყო გადართული, რაღაცნაირი ტონით გამიბა „ბაზარი“. მერე მის ფოტო-ალბომს გადავავლე თვალი. ესეც პროფილის სურათი — მდიდრულ სავარძელში ზის ტიპი, ძვირფასი ტელეფონით თითქოს ვილაცხას ემასლაათება, უკანა პლანზე ქართული დროშა, მდიდრული ინტერიერია, მეორე ფოტოზე ძვირფასი ჯიპის კარს მიყრდნობია და ასე შემდეგ. მოკლედ, გულაობს და არის ბიჭი. რა თქმა უნდა, არა ამ ფოტოების გამო, მისი რაღაცნაირი, ცინიკური ტონის გამო შენელდა ჩვენი მიმონერა. და აი, ახლა ჩემს ლექსზე მის კომენტარს ვკითხულობ: „ვახ, მენაბდე (ჩემი ბავშვობის მეტსახელია), გიჟოეცა ვახდი, ტო?“ ...და ახარხარებული სმილიკი. სუნთქვა შემეკრა. ცხადია, გამიტყდა, მარტო მე რომ წამეკითხა, კიდევ ჯანდაბას. თითქოს ისეთი არაფერი, მაგრამ ისეთი რამ ამოვიკითხე მის ამ კომენტარში, ცემაც კი მომინდა. არ შემომჩნევია, არც ვუპასუხე, ან რა უნდა მეპასუხა? იმასაც ვერ მივხვდი, რა უნდოდა. ნუთუ დაიბოღმა? კი მაგრამ რითი? რა ქონდა ჩემი შესაშური? ასე აუწყია ცხოვრება ჯიგარს. შემდეგ ჩემმა მეგობარმა გოგომ ჩემი გვერდი გახსნა, როგორც ავტორის — ფონად სურათია, თიხვით დაღლილი კედელჩამონგრეულ ქობთან ვზივარ, იქაც აკომენტარებს: „უი, მენაბდე, ძაან შორს ხომ არ იხედები?“ არც იქ გავეცი პასუხი. ალბათ ამან კიდევ უფრო გააღიზიანა. ამას წინათ ერთი პოსტი გავაზიარე, სადაც ცნობილი პოეტი და მთარგმნელი ჩემს ბოლო კრებულს განიხილავს რადიო თავისუფლებაზე. სადაც სხვა ცნობილი ადამიანების კომენტარებიც იყო. იქ კი საშინლად იგვსლება: „ოო, პოეტო მენაბდე, ის თუ გახსოვს, მთაში რომ თხებს ვნევილით და ერთმა თხამ რძით სავსე ვედროში ჩავიცურცლა?“ იწყანება, ერთ ამბავშია. საშინლად ავენთე, სიბრაზისკან კანკალი ამიტყდა. მაგრამ ძალიან მშვიდად, დალაგებულად მეც დავაკომენტარე მხოლოდ მის პასუხად:

— მახსოვს, ჯიგარო, როგორ არ მახსოვს! ისიც მახსოვს, შენი წაქეზებით რომ მეზობლის ნინილები დავხოცეთ რაგატკით, შემდეგ გავპუტეთ და ჩხართვებად გავასაღეთ. ისიც, ვირებს რომ დავაჭენებდით ლაორჩხალის ოღრო-ჩოღრო სათიბებში, გარეული თხილის მაღალ ბუჩქებს შორის, მაგრამ უცებ ასე მოხდა — ჩემი სახედარი მოულოდნელად ზღაპრულ რაშად იქცა და იმ ფერდობიდან დაქანებული, ასევე მოულოდნელად მოწყდა მინას და ავფრინდით, შენ კი იმ ყურებჩამოყრილ ვირზე დარჩი დღემდე, ასევე ყურებჩამოყრილი!“

ვალბარებ, უსასტიკესი პასუხი იყო. ის კი საერთოდ გაქრა, ვერსად მივაგენი. ალბათ მეგობრობიდან წამლას არ დაჯერდა და დამბლოკა კიდეც. აი, ასეთი რამეებიც ხდება ხოლმე...

ხორხე ლუის ბორხესი



სმლის ფორმა

სახსის ამაზრუნენი ნაჭრილობები უმახინჯებდა: ფერფლისფერი, თითქმის მთლიანი ნამგალი — ერთი ბოლოთი საფეთქელს მიტანებული, მეორე ბოლოთი კი ღანავს. მის ნამდვილ სახელს მნიშვნელობა არ ჰქონდა. ტაკუარემბოში ყველა „ლა-კოლორადოელ ინგლისელად“ მოიხსენიებდა. კარდოსო, ამ ადგილების მეპატრონე, კარ-მიდამოს გაყიდვას არ აპირებდა, მაგრამ, როგორც ამბობდნენ, ინგლისელმა მოულოდნელ ხერხს მიმართა: კარდოსოს თავისი დაჭრის საიდუმლოება გაანდო. ინგლისელი საზღვარგარეთიდან, რიუ-გრანდი-დუ სულიდან ჩამოვიდა. ხმები დადიოდა, რომ იქ, ბრაზილიაში, კონტრაბანდას ეწეოდა. აქ შამბნარინი მინდვრები, დამშრალი სარწყულე ბლები დახვდა. ეზო-კარის ნესრიგში მოყვანისას, ინგლისელი მისი პეონების მხარდამხარ მუშაობდა. ამბობენ, სისას-ტიკემდე კუშტი, მაგრამ წერილმანებამდე სამართლიანაც იყო. იმასაც ამბობდნენ, რომ ძლიერ ბევრს სვამდა. ნელინადში ორჯერ მანსარდში იკეტებოდა და ორი-სამი დღის შემდეგ გამოჩნდებოდა, თითქოსდა ბატალიების, ანდა მძვინვარე რყევის შემდეგ: ფერგაცრეცილი, ნანჯღრევი, მშფოთვარე, მაგრამ მაინც ძველებურად დესპოტური. მახსოვს მისი ცივი თვალები, უნთოვანი სიგამზდრე, რუხი, პატარა ულვაშები. ურთიერთობა არავისთან ჰქონდა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ცუდი, ბრაზილიურში შერეული ესპანურით ლაპარაკობდა. კომერციული წერილებისა და პროექტების გარდა, სხვა ფოსტა მასთან არ დაჰქონდა. ჩრდილოეთის დეპარტამენტში ჩემი უკანასკნელი მოგზაურობისას, მდინარე კარაგუატას ნაპირებიდან მძვინვარე გადმოსვლამ სურვილი აღმიძრა, ღამის გასათევი „ლა-კოლორადოში“ მომეძებნა. მაშინვე შევნიშნე, ჩემი გამოცხადება მთლად სასურველი რომ არ გამოდგა ინგლისელისთვის და მისი მოთაფლვა ჩვენი ვნებებიდან ყველაზე ბრმით — პატრიოტიზმზე აპელირებით გადავწყვიტე. ვუთხარი, რომ დაუმარცხებელია ქვეყანა, სადაც ინგლისური სული ბატონობს. ჩემმა თანამოსაუბრემ თავი დამიქნია, მაგრამ ჩაცინებით დაუმატა, რომ ის სრულებით არ არის ინგლისელი — ირლანდიელია, დარგორვანადან. თქვა და ენა დაება, თითქოსდა საიდუმლო გასცა.

ტრაპეზის შემდეგ გარეთ ცის საცქერლად გამოვედით. გამოდარებულიყო, მაგრამ სამხრეთის გორაკებიდან მოცოცავდა, იბურცებოდა და ელვით იპობოდა ახალი შავი ღრუბლები. პეონმა, რომელიც უბრალო სასაადილოში სუფრას შლიდა, ერთი ბოთლი რომი მოგვართვა... დიდხანს და მდუმარედ ვსვამდით.

არ ვიცი, რომელი საათი იყო, როცა თავს შეზარბოვება შევატყვე. არც ის ვიცი, რა დამემართა, მაგრამ ალგზნებისა და მოწყენის გამო საუბარი ნაჭრილობებზე გავუბი. ინგლისელი დაიმანჭა; იყო მომენტი, როცა მეგონა, სახლიდან გამაგდებდა, მაგრამ ჩვეული ხმით მითხრა:



— ჩემი დაჭრის ისტორიას ერთი პირობით მოგიხსობთ, არ გამოვტოვებ არც ერთ გარემოებას, არც ერთ წვრილმანს, რომელმაც თავის მოჭრამდე მიმიყვანა.

თანახმა ვიყავი. აი, ეს ინგლისურად, გზადაგზა ესპანურისა და პორტუგალიურის შერევით მოყოლილი ისტორიაც:

„1922 წელს, სხვა მრავალთა დარად, კენტონის პატარა ქალაქებიდან ერთ-ერთში ფარულად ვიბრძოდი ირლანდიის დამოუკიდებლობისათვის. ჩემი ცოცხლად დარჩენილი ახანაგებიდან ზოგიერთი ამჟამად მშვიდობიანად შრომობს, სხვები — პარადოქსია — ინგლისური დროშის ქვეშ იბრძვიან ზღვაზე და უდაბნოში. ერთი, ყველაზე ღირსეული, ყაზარმის ეზოში დაიღუპა, ჯერ კიდევ გამოუფხიზლებელმა ჯარისკაცებმა განთიადისას დახვრიტეს. სხვებმა (არამც და არამც ყველაზე ბედკრულებმა) სიცოცხლე სამოქალაქო ომის უსახელო, თითქმის ყველასთვის უცნობ ბრძოლებში გასწირეს. ჩვენ რესპუბლიკელები ვიყავით. კათოლიკეები, ალბათ, რომანტიკოსებიც. ჩვენთვის ირლანდია არა მარტო ბრწყინვალე მომავალს და აუტანელ აწმყოს განასახიერებდა, არამედ საყვარელი თქმულებების სიმწარეს, მრგვალ კოშკებს და გაუვალ ჭაობებს, პარნელის სიძულვილს და ვრცელი ეპოპეების ჟინს, ხარების მოტაცებაზე რომ მოგვითხრობენ, ხარებისა, ხან რომ გმირებად, ხანაც თევზებად გადაიქცევიან.

ერთხელ, დღის მიწურულს, რომლის დავიწყებაც ვერასდროს შევძლებ, მუნსტერადან ჩვენთან მოვიდა ვინმე ვინსენტ მუნი. იგი ჩვენს რიგებში ითვლებოდა.

მუნი ოცი წლის იყო. გამხდარი და უილაჯო, უხერხემლო არსების უსიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდა. გზებითა და შეუნელებელი ინტერესით ფურცელ-ფურცელ სწავლობდა რომელიღაც კომუნისტურ სახელმძღვანელოს, მაგრამ დიპლექტიკური მატერიალიზმი მხოლოდ იმისთვის სჭირდებოდა, დისკუსიები თავის სასარგებლოდ წარემართა. მიზეზები, რომელთა გამოც ერთ ადამიანს შეუძლია მეორის სიძულვილი, უთვალავია. მუნს მსოფლიო ისტორია ბანალურ ეკონომიკურ წინააღმდეგობებზე დაჰყავდა. ამტკიცებდა, რომ რევოლუციის საქმის ტრიუმფი წინასწარაა განსაზღვრული. მე ვუთხარი, რომ მხოლოდ „ჯენტლმენებს“ ძალუძთ, წასაგებად განწირულ საქმეს მიუძღვნან თავი... ღამე იყო. ჩვენ პოლემიკა გავაგრძელეთ დერეფანში, კიბეებზე, შემდეგ — უკაცრიელ ქუჩებში. ჩემზე შთაბეჭდილებას ახდენდა არა იმდენად მუნის მოსაზრებები, რამდენადაც მისი უაპელაციო, მენტორული ტონი. ახალი თანამოსაზრე არ კამათობდა. ის, უბრალოდ, თავის შეხედულებებს მამცნობდა, უპატივცემულოდ და გაღიზიანებით.

როდესაც უკანასკნელ სახლამდე მივალნივთ, ჩვენი ყურთასმენა იარაღიდან გასროლის მჭახე ხმად დაახმო (აქამდე და ამის შემდეგაც ჩვენ ფაბრიკის, ან ყაზარმის ყრუ კედლის გასწვრივ მივიდოდით). რომელიღაც ყრუ შესახვევში შევეცვივდით. ცხლმოკიდებული სახლიდან გამოვარდა ჯარისკაცი, რომელიც ალის ფონზე უზარმაზარი მოჩანდა და გვიბრძანა, შეეჩერებულებით. ნაბიჯს აუჩქარე. ჩემი ამხანაგი აღარ მომყვებოდა. მივტრიალდი. ჯონ ვინსენტ მუნი უძრავად იდგა, როგორც მონუსხული, ან საშინელებისაგან გაქვავებული. უკან დაებრუნდი, ჯარისკაცი ერთი დარტყმით ძირს დაგვანარცხე, ვინსენტ მუნი შევანჯღრიე, გამოვლანძმე და ვუბრძანე, უკან გამომყოლოდა. მაგრამ მისთვის ხელის მოკიდება მომიხდა, რადგან სასიკვდილო შიში დაუფლებოდა. ხანძრის ალით გახლეჩილ ღამეში გავრბოდით. დაგვეჩინა იარაღიდან გასროლილი ტყვია, რომელმაც იდაყვი დაუნვა მუნს. როცა

ფიჭვებს შორის გზას ვხლართავდით, იგი ხვნეშოდა და სლუკუნებდა.

იმ 1922 წლის შემოდგომაზე თავშესაფარი გენერალ ბერკლის ვილაში ვპოვე. ვილის მეპატრონეს (მე იგი არასდროს მინახავს) იმჟამად ბენგალიაში რომელიღაც ადმინისტრაციული პოსტი ეჭირა. სახლს ჯერ კიდევ არ შესრულებოდა საუკუნე, მაგრამ უკვე გაცვეთილი და გავერანებული, უსარგებლო დერეფნებითა და არაფისთვის საჭირო ჰოლებით იყო სავსე. მთელი პირველი სართული ეკავა მუზეუმსა და უზარმაზარ ბიბლიოთეკას: მოჩმახული, ურთიერსაწინააღმდეგო ნივთები, რალაცნაირად, მე-19 საუკუნის ისტორიას წარმოადგენდა. ნიშაპურის ნახევარწრედ გაქვავებულ იატაკანებში თითქოსდა ბრძოლის გრიგალი და იერიში იმალებოდა. ჩვენ (როგორც მახსოვს) ფარული შესასვლელით შევედით. მუნმა ათრთოლებული, გამშრალი ტურები ჩაილულღულა, რომ ღამეული თავგადასავალი ძალზე საინტერესო იყო. ჭრილობა გადავუხვიე. ფინჯანი ჩაი მივანოდე. დავერწმუნდი, ჭრილობა კი არა, ნაკანრი ჰქონდა. მან უეცრად განცვიფრებით ჩაიბუტბუტა:



ხორხე ლუის ბორხესი

— თქვენ მაინც დიდ რისკზე წახვედით. ვთხოვე, არ შემფოთებულიყო (სამოქალაქო ომის ტრადიციები მაგალებდა, მოვეცეულიყავი ასე და არა სხვაგვარად. ამას გარდა, თუნდაც ერთი მონაწილის დაპატიმრება მთელი ჩვენი მოძრაობის დაღუპვას გვიქადდა).

მომდევნო დღეს მუნს ჩვეული რიხი დაუბრუნდა. შეთავაზებული სიგარეტი აიღო და „ჩვენი რევოლუციური პარტიის ეკონომიკურ რესურსებზე“ მკაცრი დაკითხვა მომიწყო. მისი კითხვები მიზანში ხვდებოდა. ავუხსენი (და ეს მართლაც ასე იყო), რომ მდგომარეობა ძალზე ძძიმეა. შაშხანების გრუხუნმა შეარყია მთელი სამხრეთი. მუნს ვუთხარი, რომ ამხანაგები გველოდებოდნენ და ჩემს ოთახში პალტოსა და რევოლვერის ასაღებად გავედი. უკან დაბრუნებულმა დავეინახე, მუნი თვალდახუჭული ინვა სოფაზე. მაცნობა, რომ ციებ-ცხელება ჰქონდა და მხარში მწვავე ტკივილს გრძნობდა.

აქ მივხვდი, რომ მისი სიმხდალე განუკურნელია. შეცბუნებულმა ვურჩიე, თავს გაფრთხილებოდა და გამოვეთხოვე. ისე მრცხვენოდა ამ ადამიანის გამო, თითქოს მე ვიყავი მხდალი და არა ვინსენტ მუნი. აკი იმის, რასაც ერთი ადამი-

ანი სჩადის, თითქოსდა თანამონაწილეა ხალხი. ამიტომ, ძნელია უსამართლობად მიიჩნიო ის, რომ ერთ ბაღში ურჩობა მთელი კაცობრიობის წყევლად იქცა; ძნელია, უსამართლობად მიიჩნიო ის, რომ ერთი ებრაელის ჯვარცმა მთელი ხალხის ხსნად იქცა. შესაძლოა, მართალია შოპენჰაუერი, როდესაც ამბობს:

— მე სხვები ვარ, ნებისმიერი ადამიანი — ეს მთელი ხალხია.

შექსპირი, რალაც მოსაზრებით, იგივე საბრალო ვინსენტ მუნი.

ცხრა დღე ჩვენ გენერლის უზარმაზარ ვილაში ვცხოვრობდით. ომის საშინელ და ნათელ დღეებზე არაფერს ვიტყვი. მოგიხსრობთ ნაიარევზე, რომელმაც თავს ლაფი დამასხა. მთელი ეს ცხრა დღე ჩემს ხსოვნაში ერთმანეთს შეერწყა — უკანასკნელი დღის გამოკლებით. მაშინ ყაზარმაში შევეცვივდით და შური ვიძიეთ იმ თექვსმეტი — არც მეტი, არც ნაკლები — ელფინში ტყვიამფრქვევით დახვრეტილი ჩვენი ამხანაგისთვის. სახლიდან განთიადისას, ალიონის მღვრიე ნისლში გამოვსხლტი და ბინდბუნდისას დავებრუნდი.

ჩემი თანამომძე მალლა მიცდიდა, ჭრი-

სახლიდან განთიადისას გამოვედი. შუადღისას მოვასწარი დაბრუნება. მუნი ბიბლიოთეკაში ელაპარაკებოდა ვილაცას. მივხვდი, ტელეფონზე საუბრობდა. შემდეგ ჩემი სახელი გავიგონე, შემდეგ — რომ შვიდ საათზე დავებრუნდებოდი, შემდეგ — თხოვნა, რომ ჩემთვის ბაღში, სახლის ახლობლად გამოვევლოთ. ჩემმა ბრძენმა მეგობარმა ძალზე ბრძნულად გამცა. მესმოდა, როგორ ითხოვდა თავისთვის უსაფრთხოების გარანტიას.

აქ ჩემი თხრობა იბურდება და მთავრდება. მხოლოდ ის ვიცი, რომ მოლაატეს მივდევი ჯოჯოხეთურად ბნელ დერეფნებში და საშინლად მიხვეულ-მოხვეულ კიბეებზე. მუნი ვილას ბრწყინვალედ, ჩემზე შეუდარებლად კარგად იცნობდა. ერთი-ორჯერ მხედველობის არედან დავეკარგე, მაგრამ მანამ წამოვენიე, სანამ ჯარისკაცები ჩამავლებდნენ. გენერლის იარაღის კოლექციიდან ამოვგლიჯე მოკლე ხმალი. ფოლადის ამ ნახევარმთვარით მის სახეზე სამუდამოდ აღვებჭდე სისხლიანი ნახევარმთვარე. ბორხეს, მე თქვენ არ გიცნობთ და ამიტომ გიყვებით ყველაფერს ისე, როგორც იყო. ასე უფრო იოლია ჩემთვის თქვენი ზიზღის ატანა.“

ხმლის ფორმა

ლობა ხელს უშლიდა, ძირს, პირველ სართულზე დაშვებულიყო. თითქოს ახლაც გხედავ მას, სტრატეგიაზე ფ.ნ. მოუდის ან კლაუზევიცის ნივთების მფურცლავს. „შეიარაღების ყველა სახეობიდან უპირატესობას არტისტული ვანიჭებ“ — გამომიტყა და ღამით როგორღაც. ის გამუდმებით აწყობდა ჩვენს გეგმებს და მერე სიამოვნებით აკრიტიკებდა და ასწორებდა მათ. ჩვეულებისამებრ, კიცხავდა „ჩვენს საბრალო მატერიალურ რესურსებს“ და პირქუში რწმენით წინასწარმეტყველებდა ტრაგიკულ ფინალს.

„C'est une affaire tlambee!“ — სისინებდა იგი. ცდილობდა, ჩემთვის დაემტკიცებინა, რომ მისი სიმხდალე არაა მის აშკარა გონებრივ უპირატესობასთან. ასე ცუდუბრალოდ გავიდა ცხრა დღე.

მეთავე დღეს ქალაქი მთლიანად Blek and tans-ის ხელში აღმოჩნდა. ვეება, მდუმარე მხედრები პატრულირებდნენ ქუჩებში. ქარს ფერფლი და ნამწვის სუნი მოჰქონდა. სადღაც კუთხეში მინაზე გამხლართული გვამი დავინახე, მაგრამ უფრო მყარად მეხსიერებას სხვა რამ შემორჩა: მოედნის შუაგულში მანეკენი, რომელსაც ჯარისკაცები სავარჯიშოდ ესროდნენ...

მთხრობელი დადუმდა. შევამჩნიე, ხელები უკანკალებდა.

— მუნი? — ვკითხე მე.

— მიიღო იუდამ ფული და ბრაზილიაში გაემგზავრა. გამგზავრებისას ხედავდა, როგორ ხვრეტდნენ მოედანზე მანეკენს მთვრალი ჯარისკაცები.

ამოდ ველოდი ისტორიის გაგრძელებას. ბოლოს ვკითხე, რა მოხდა შემდეგ.

მაშინ მას კვენესა აღმოხდა და გაუბედავი ჟესტით თავის მრუდე ნაიარევზე მიმითითა:

— თქვენ ჩემი არ გჯერათ? — ლულულღებდა ის, — თუ ვერ ხედავთ ჩემს სახეზე ჩემი უსინდისობის ამ ბეჭედს? მე განზრახ ვხლართავდი ჩემს მონათხრობს, ბოლომდე რომ მოგესმინათ. მე გავყიდე ადამიანი, რომელმაც სიკვდილისგან მიხსნა. მე ვინსენტ მუნი ვარ, ახლა კი შეგიძლიათ შემეზიზღოთ.

¹ დაღუპული საქმე (ფრ.)
² შვედები და ყავისფრები (ინგ.) — აქ დიდი ბრიტანეთის კოლონიების მცხოვრებთაგან ფორმირებული ინგლისური არმიის ნაწილი.

თარგმნა ნანა პასკინამა

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ყურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 772346 794004